პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 24, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირს 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- ავსტრიის პროფბიუროკრატების და მრეწველთა კონფერენცია.
- დარბაზობა ათინის საბჭოთა საელჩოში.
- 12 იაპონელი ინჟინერის მოწვევა საბჭოთა კავშირში სამუშაოდ.
- ინგლისის არმიის ოფიცრებს აუკრძალეს მონაწილეობა „ანტი-საბჭოთა წირვა-ლოცვაში“.
- შეტაკება მუშებსა და ფაშისტებს შორის ბერლინში.
- ჰამმერის ფირმის კონცესია შეისყიდა საბჭოთა მთავრობამ.
- დღეს შესრულდა აფხაზეთში საბჭ. ხელისუფლების დამყარების 9 წ. თავი.

სამშაბათი, 4 მარტი 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 51 (2699)

თავბრუდახვევა წარმატებებისაგან

ი. სტალინის წერილი

ახლა ყველა ლაპარაკობს საბჭოთა ხელისუფლების წარმატებებზე კოლმეურნეობრივი მოძრაობის სფეროში. მტრებიც კი იძულებულნი არიან აღიარონ ჩვენი სერიოზული წარმატებები. ეს წარმატებები კი მართლაც დიდია. ფაქტია, რომ 20 თებერვლისათვის საბჭოთა კავშირში უკვე გაერთიანებულია კოლექტიურად გლეხურ მეურნეობათა 50 პროცენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ 1930 წლის 20 თებერვლისათვის ჩვენ ორჯერ მეტი გადაჭარბებით შევასრულეთ ხუთწლიანი გეგმა. ის ფაქტი, რომ ამა წლის 28 თებერვლისათვის კოლმეურნეობებმა უკვე მოასწრეს შეეგროვებინათ გაზაფხულის თესვისათვის 36 მილიონ ცენტნერზე მეტი თესლი, ე. ი. გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის 90 პროცენტზე მეტი, ე. ი. დაახლოვებით 21 მილიონი ფუთი თესლი მხოლოდ კოლმეურნეობათა ხაზით პურის დამზადების გეგმის წარმატებით შესრულების შემდეგ, უდიდეს მიღწევას წარმოადგენს.

რას მოწმობს ყოველივე ეს? იმას, რომ სოფლის ძირითადი მობრუნება სოციალიზმისაკენ უკვე შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოს.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ამ წარმატებებს უდიდეს მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბლისათვის, მთელი მუშათა კლასისათვის, როგორც ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელი ძალისათვის, და, დასასრულ, თვით პარტიისათვის. პირდაპირ პრაქტიკულ შედეგებზე რომ არ ვილაპარაკოთ, ამ წარმატებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ თვით პარტიის შინაგანი ცხოვრებისათვის, ჩვენი პარტიის აღზრდისათვის. ეს წარმატებანი სიმხნევესა და თავისი ძალ-ღონის რწმენას უნერგავენ ჩვენს პარტიას. ისინი ჩვენი საქმის გამარჯვების რწმენით აიარაღებენ მუშათა კლასს. ისინი ახალ მილიონიან რეზერვებს უქმნიან ჩვენს პარტიას.

აქედან გამომდინარეობენ პარტიის ამოცანები: განამტკიცოს მიღწეული წარმატებანი და გეგმაშეწონილად გამოიყენოს ისინი შემდგომი წინსვლისათვის.

მაგრამ წარმატებებს ნაკლიც აქვს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათი მიღწევა ხდება შედარებით „იოლად“, ასე ვთქვათ „მოულოდნელად“. ასეთი მიღწევები ზოგჯერ აღვივებენ გულზვიადობას, თავგასულობას: „ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია“, „ჩვენთვის დაბრკოლება არ არსებობს“. ეს წარმატებანი ხშირად ათრობენ ზოგიერთ მუშაკებს, ამ მუშაკებს თავბრუ ეხვევათ მიღწეულ წარმატებების გამო, ისინი ჰკარგავენ ზომიერების გრძნობას, ჰკარგავენ სინამდვილის გაგების უნარს, იჩენენ იმის მისწრაფებას, რომ ზედმეტად შეაფასონ თავიანთი ძალ-ღონე, ნაკლებად შეაფასონ მოწინააღმდეგის ძალები, იწყებენ ავანტიურისტულ ცდებს—„ერთბაშად“ გადასჭრან სოციალისტური მშენებლობის ყველა საკითხები.

აქ უკვე აღარ აქვს ადგილი იმაზე ზრუნვას, რომ განმტკიცებულ იქნას მიღწეული წარმატებები და გეგმაშეწონილად გამოყენებულ იქნას ეს მიღწევები შემდგომი წინსვლისათვის. რატომ უნდა განვამტკიცოთ მიღწეული წარმატებები, ჩვენ ისედაც შევსძლებთ „ერთბაშად“ მივაღწიოთ სოციალიზმის სრულ გამარჯვებამდე: „ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია!“, „ჩვენთვის დაბრკოლება არ არსებობს!“

აქედან გამომდინარეობს პარტიის ამოცანა— გადამჭრელი ბრძოლა გაუმართოს ამ საშიშარ და საქმისათვის საზიანო განწყობილებებს და განდევნოს ისინი პარტიიდან.

არ შეიძლება ითქვას, რომ ყველა ეს საშიშარი და საქმისათვის საზიანო განწყობილებები ფართოდ გავრცელებული იყოს ჩვენი პარტიის რიგებში. მაგრამ ამ განწყობილებებს მაინც ადგილი აქვს ჩვენს პარტიაში, ამასთან საფუძველი არა გვაქვს ვთქვათ, რომ ეს განწყობილებები არ გაძლიერდება. თუ ამ განწყობილებებმა მოქალაქეობის უფლებები მოიპოვეს, უეჭველად შეიძლება ითქვას, რომ კოლმეურნეობრივი მოძრაობის საქმე თვალსაჩინოდ შესუსტდება და ამ მოძრაობის ჩაშლის საფრთხე შეიძლება რეალური გახდეს.

აქედან გამომდინარეობს ჩვენი პრესის ამოცანა: სისტემატიურად ამხილოს ეს და ამის მსგავსი ანტილენინური განწყობილებები.

რამდენიმე ფაქტი:

1) ჩვენი კოლმეურნეობრივი პოლიტიკის წარმატება, სხვათა შორის, იმით აიხსნება, რომ ეს პოლიტიკა ეყრდნობა კოლმეურნეობრივი მოძრაობის ნებაყოფლობას და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონების პირობების სხვადასხვაობის ანგარიშის გაწევას. არ შეიძლება კოლმეურნეობების შექმნა ძალით. ეს სულელური და რეაქციონური ნაბიჯი იქნებოდა. კოლმეურნეობრივი მოძრაობა უნდა ეყრდნობოდეს გლეხობის ძირითადი მასების აქტიურ დახმარებას. არ შეიძლება მექანიკურად გადავნერგოთ განვითარებული რაიონების კოლმეურნეობრივი მშენებლობის ნიმუშები განუვითარებელ რაიონებში. ეს სულელური და რეაქციონური ნაბიჯი იქნებოდა. ასეთი „პოლიტიკა“ ერთი დაკვრით გაუტეხდა სახელს კოლექტივიზაციის იდეას. კოლმეურნეობათა მშენებლობის ტემპისა და მეთოდების განსაზღვრის დროს გულდასმით უნდა გაუწიოთ ანგარიში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონების პირობათა სხვადასხვაობას.

კოლმეურნეობრივ მოძრაობაში ყველა რაიონებზე წინ დგანან მარცვლეული რაიონები. რატომ? იმიტომ, რომ ამ რაიონებში ჩვენ გვაქვს განსაკუთრებით ბევრი [illegible] განმტკიცებული საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები, რომელთა მეოხებითაც გლეხებს საშუალება ჰქონდათ დარწმუნებულიყვნენ ახალი ტეხნიკის ძალასა და მნიშვნელობაში, მეურნეობის ახალი კოლექტიური ორგანიზაციის ძალასა და მნიშვნელობაში. იმიტომ, რომ ამ რაიონებს გავლილი აქვთ პურის დამზადების კამპანიების დროს კულაკობასთან ბრძოლის ორი წლის სკოლა, რასაც არ შეეძლო არ გაეადვილებია კოლმეურნეობრივი მოძრაობის საქმე. იმიტომ, რომ უკანასკნელ წლებში ამ რაიონებში განსაკუთრებით გაძლიერებით იგზავნებოდნენ საუკეთესო კადრები სამრეწველო ცენტრებიდან.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ეს განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები არსებობს სხვა რაიონებშიაც, მაგალითად, ისეთ სამომხმარებლო რაიონებში, როგორიც არის ჩვენი ჩრდილოეთის ოლქები, ან ჯერ კიდევ ჩამორჩენილ ეროვნებათა რაიონებში, როგორც მაგალითად, თურქესტანში? არა, ამის თქმა არ შეიძლება.

ცხადია, რომ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონების პირობათათვის ანგარიშის გაწევის პრინციპი ნებაყოფლობის პრინციპთან ერთად წარმოადგენს სალი კოლმეურნეობრივი მოძრაობის ერთ-ერთ უაღრესად სერიოზულ წინასწარ პირობას.

ნამდვილად კი ზოგჯერ რა ხდება ჩვენში? შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ნებაყოფლობისა და ადგილობრივ თავისებურობათათვის ანგარიშის გაწევის პრინციპი მთელ რიგ რაიონებში არ ირღვევა? არა, სამწუხაროდ, ამის თქმა არ შეიძლება.

მაგალითად ვიცით, რომ სამომხმარებლო მხარის მთელ რიგ ჩრდილოეთ რაიონებში, სადაც კოლმეურნეობათა დაუყოვნებლივ მოწყობისათვის ხელსაყრელი პირობები შედარებით ნაკლებია, ვიდრე მარცვლეულ რაიონებში, ხშირად სცდილობენ კოლმეურნეობათა მოწყობისათვის საჭირო მოსამზადებელი მუშაობა შესცვალონ ჩინოვნიკური მბრძანებლობით კოლმეურნეობრივ მოძრაობაში, ფორმალური რეზოლიუციებით კოლმეურნეობათა ზრდის შესახებ და ფორმალური კოლმეურნეობების მოწყობით, რომლებიც სინამდვილეში ჯერ კიდევ არ არსებობენ, მაგრამ რომელთა „არსებობის“ შესახებ დაწერილია უამრავი მკვეხარა რეზოლიუციები.

ან ავიღოთ თურქესტანის ზოგიერთი რაიონები, სადაც კოლმეურნეობათა დაუყოვნებლივ მოწყობისათვის ხელსაყრელი პირობები კიდევ ნაკლებია, ვიდრე სამომხმარებლო მხარის ჩრდილოეთის ოლქებში. ცნობილია, რომ თურქესტანის მთელ რიგ რაიონებში უკვე ჰქონდა ადგილი იმის ცდებს, რომ „დასწეოდნენ და გაესწროთ“ საბჭოთა კავშირის მოწინავე რაიონებისათვის სამხედრო ძალით დამუქრების საშუალებით, იმის მუქარით, რომ სარწყავ წყალსა და სამრეწველო საქონელს წაართმევდნენ იმ გლეხებს, რომლებსაც ჯერ-ჯერობით არ სურთ შევიდნენ კოლმეურნეობებში.

რა შეიძლება იყოს საერთო ამ ძალდატანებითი „პოლიტიკასა“ და პარტიის პოლიტიკას შორის, რომელიც ემყარება ნებაყოფლობას და ადგილობრივ თავისებურებისათვის ანგარიშის გაწევას კოლმეურნეობათა მშენებლობის საქმეში? ცხადია, რომ მათ შორის საერთო არაფერია და არც შეიძლება იყოს. ვის ესაჭიროება ეს დამახინჯება, ეს ჩინოვნიკური მბრძანებლობა კოლმეურნეობრივ მოძრაობაში, ეს არასაკადრისი მუქარა გლეხების მიმართ? არავის, ჩვენი მტრების გარდა! რის გამოწვევა შეუძლია ამ დამახინჯებას? ჩვენი მტრების გაძლიერება და კოლმეურნეობრივი მოძრაობის იდეისათვის სახელის გატეხა. განა ცხადი არ არის, რომ ამ დამახინჯებათა ავტორები, რომლებსაც თავი მოაქვთ „მემარცხენეებად“, სინამდვილეში წყალს ასხამენ მემარჯვენე ოპორტუნიზმის წისქვილზე?

2) ჩვენი პარტიის პოლიტიკური სტრატეგიის ერთ-ერთი უდიდესი ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ პარტიას აქვს უნარი ყოველ განსაზღვრულ მომენტში ამოირჩიოს მოძრაობის ძირითადი რგოლი და შემდეგ გასწიოს მთელი ჯაჭვი საერთო მიზნისკენ იმისათვის, რომ მიაღწიოს ამოცანის გადაჭრას. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობის სისტემაში პარტიამ უკვე ამოირჩია კოლმეურნეობრივი მოძრაობის მთავარი რგოლი? დიახ, შეიძლება და უნდა ითქვას კიდეც. რაში გამოიხატება ეს ძირითადი რგოლი? იქნებ ეს არის მიწის საერთოდ დამმუშავებელი ამხანაგობა? არა და არა. მიწის საერთოდ დამმუშავებელი ამხანაგობანი, სადაც საწარმოო საშუალებანი ჯერ კიდევ არ არის განსაზოგადოებული, წარმოადგენენ კოლმეურნეობრივი მოძრაობის უკვე განვლილ საფეხურს. იქნებ ეს რგოლი არის სასოფლო-სამეურნეო კომუნა? არა, ეს არ არის კომუნა. კომუნები ჯერ-ჯერობით ერთეულ მოვლენებს წარმოადგენენ კოლმეურნეობრივ მოძრაობაში. ჯერ-ჯერობით არ მომწიფებულა პირობები სასოფლო-სამეურნეო კომუნებისათვის, როგორც გაბატონებული ფორმისთვის, სადაც განსაზოგადოებულია არა მარტო მთელი წარმოება, არამედ აგრეთვე განაწილებაც.

კოლმეურნეობრივი მოძრაობის ძირითადი რგოლი, მისი გაბატონებული ფორმა, რომელსაც ხელი უნდა ჩავსჭიდოთ, ამჟამად არის სასოფლო-სამეურნეო არტელი. სასოფლო-სამეურნეო არტელში განსაზოგადოვებულია ძირითადი საწარმოო იარაღები, უმთავრესად მარცვლეული მეურნეობის ხაზით: შრომა, მიწათსარგებლობა, მანქანები და დანარჩენი ინვენტარი, მუშა საქონელი და სამეურნეო ნაგებობანი. მასში არ არის განსაზოგადოებული: კარმიდამოსთან მდებარე მიწები (პატარა ბოსტნები, პატარა ბაღები), საცხოვრებელი შენობები, მეწველი პირუტყვის განსაზღვრული ნაწილი, წვრილ ფეხა საქონელი, შინაური ფრინველი და სხვ. არტელი კოლმეურნეობრივი მოძრაობის ძირითადი რგოლია იმიტომ, რომ იგი არის ყველაზე მიზანშეწონილი ფორმა მარცვლეულის პრობლემის გადასაჭრელად. მარცვლეულის პრობლემა კი ძირითადი რგოლია მთელი სოფლის მეურნეობის სისტემაში იმიტომ, რომ მისი გადაჭრის გარეშე არ შეიძლება გადაჭრილ იქნას არც მესაქონლეობის (წვრილ-ფეხა და მსხვილ ფეხა) პრობლემა და არც იმ ტეხნიკურ და სპეციალურ კულტურების პრობლემა, რომელნიც იძლევიან ძირითად ნედლეულს მრეწველობისათვის, სწორედ ამიტომ სასოფლო-სამეურნეო არტელი ამჟამად წარმოადგენს ძირითად რგოლს კოლმეურნეობრივი მოძრაობის სისტემაში.

ამას ეყრდნობა კოლმეურნეობათა „სანიმუშო წესდება“, რომლის საბოლოო ტექსტი დღეს ქვეყნდება *). ამასვე უნდა დაეყრდნონ აგრეთვე ჩვენი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, რომელთა ერთ-ერთი მოვალეობა მდგომარეობს იმაში, რომ შეისწავლონ ეს წესდება არსებითად და ბოლომდე გაატარონ იგი ცხოვრებაში.

ასეთია პარტიის გეზი ამჟამად.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ პარტიის ეს გეზი ცხოვრებაში ტარდება დაურღვევლად და დაუმახინჯებლად? არა, ამის თქმა, სამწუხაროდ, არ შეიძლება. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის მთელ რიგ რაიონებში, სადაც ბრძოლა კოლმეურნეობათა არსებობისათვის ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული და სადაც არტელები ჯერ არ განმტკიცებულა, ადგილი აქვს იმის ცდებს, რომ გაშორდნენ არტელის ჩარჩოებს და ერთბაშად გადავიდნენ სასოფლო-სამეურნეო კომუნაზე. ჯერ არტელი არ განმტკიცებულა და ისინი უკვე ახდენენ საცხოვრებელ შენობების, წვრილ-ფეხა საქონლის და შინაური ფრინველის განსაზოგადოებას. ამასთანავე ეს „განსაზოგადოება“ გამოიხატება ფორმალურ-ბიუროკრატიულ დეკრეტების გაცემაში, ვინაიდან ჯერ კიდევ არ არსებობს პირობები, აუცილებლად ხდიან ასეთ განსაზოგადოებას. შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ კოლმეურნეობებში უკვე გადაჭრილია მარცვლეულის პრობლემა, რომ ის უკვე განვლილ საფეხურს წარმოადგენს და რომ ამჟამად მთავარი ამოცანაა არა მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა, არამედ მესაქონლეობის და მეფრინველეობის პრობლემის გადაჭრა.

იბადება კითხვა, ვის რათ უნდა ეს უთავბოლო „მუშაობა“—კოლმეურნეობრივი მოძრაობის სხვადასხვა ფორმების ერთმანეთში დომხალივით არევა. კოლმეურნეობის წევრი გლეხის გაღიზიანება, საცხოვრებელ შენობების, მთელი მეწველი საქონლის, მთელი წვრილ-ფეხა საქონლის და შინაური ფრინველის განსაზოგადოებით მაშინ, როცა კოლმეურნეობების საარტელო ფორმა ჯერ არაა განმტკიცებული, განა აშკარა არ არის, რომ ასეთი „პოლიტიკა“ ხელსაყრელი და სასარგებლოა მხოლოდ ჩვენი მოსისხლე მტრებისათვის? ერთ-ერთი „ყოჩაღ“ განმასაზოგადოებელი იქამდისაც კი მივიდა, რომ გასცა ბრძანება არტელისადმი „სამი დღის ვადაში აღრიცხულ ყოფილიყო თვითეულ მეურნეობის შინაური ფრინველი“, დაწესებულიყო აღრიცხვისა და მეთვალყურეობის სპეციალურ „მეთაურთა“ თანამდებობა, „დაკავებულიყო არტელში მბრძანებელი მაღლობები“, „სარდლობა გაეწიათ სოციალისტური ბრძოლისათვის, პოსტების მიუტოვებლად“ და, ცხადია, არტელი მოქცეული ყოფილიყო რკინის სალტეებში. რა არის ეს—კოლმეურნეობის პოლიტიკური ხელმძღვანელობა, თუ მისი გახრწნისა და მისთვის სახელის გატეხის პოლიტიკა? არაფერს ვამბობ იმ, უკაცრავად პასუხია, „რევოლიუციონერებზე“, რომელნიც არტელების ორგანიზაციის საქმეს იწყებენ ზარების ჩამოხსნით. ზარების ჩამოხსნა—თითქოს ეს დიდი რევოლიუციონერობა იყოს!

როგორ წარმოიშვა ჩვენში ეს უთავბოლო ვარჯიშობა „განსაზოგადოების“ საქმეში, ეს თავის თავზე გადახტომის სასაცილო ცდები, ცდები, რომელთა მიზანია გვერდი აუხვიონ კლასებს და კლასობრივ ბრძოლას და რომელნიც ნამდვილად წყალს ასხამენ ჩვენი კლასობრივი მტრების წისქვილზე? ისინი შეიძლება წარმოშობილიყვნენ მხოლოდ იმ „იოლი“ და მოულოდნელი“ წარმატებების ატმოსფეროში, რომელსაც მივაღწიეთ კოლმეურნეობრივი მშენებლობის ფრონტზე. ისინი შეიძლება წარმოშობილიყვნენ მხოლოდ ანტილენინურ განწყობილებების შედეგად პარტიის ერთი ნაწილის რიგებში: „ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია!“, „ჩვენ ყველაფრის ნება გვაქვს!“, „ჩვენთვის არავითარი დაბრკოლება არ არსებობს!“ ისინი შეიძლება წარმოშობილიყვნენ მხოლოდ იმის შედეგად, რომ ზოგიერთ ჩვენ ამხანაგებს თავბრუ დაესხათ წარმატებებისაგან და მათ ერთი წუთით დაჰკარგეს სალი გონიერება და ფხიზელი მიდგომა.

იმისთვის, რომ გამოსწორდეს ჩვენი მუშაობის ხაზი კოლმეურნეობათა მშენებლობის სფეროში, საჭიროა ბოლო მოეღოს ამ განწყობილებებს. ეს არის ამჟამად პარტიის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა.

ხელმძღვანელობის ხელოვნება სერიოზული საქმეა. არ უნდა ჩამორჩე მოძრაობას, რადგან ჩამორჩენა—ნიშნავს იმას, რომ მოსწყდე მასებს. მაგრამ არ შეიძლება აჩქარებაც, რადგან აჩქარება ნიშნავს მასებთან კავშირის გაწყვეტას. ვისაც უნდა ხელმძღვანელობა გაუწიოს მოძრაობას და ამასთან ერთად შეინარჩუნოს კავშირი მილიონიან მასებთან, მან უნდა აწარმოოს ბრძოლა ორ ფრონტზე როგორც ჩამორჩენილთა, ისე აჩქარებულთა წინაალმდეგ.

ჩვენი პარტია ძლიერი და უძლეველია იმიტომ, რომ მას აქვს უნარი ხელმძღვანელობა გაუწიოს მოძრაობას და ამავე დროს შეინარჩუნოს და გააძლიეროს კავშირი მუშათა და გლეხთა მილიონიან მასებთან.

ი. სტალინი.

---

*) „კომუნისტი“-ს დღევანდელ ნომერში. რედ.

ტარდიემ შეადგინა „ახალი“ მთავრობა

მთავრობაში გაძლიერდა მემარჯვენე რეაქციონურ პარტიების გავლენა

ქარხკომის არჩევნების დროს გერმანიაში ყველგან იმარჯვებს რევოლიუციონერი პროფოპოზიცია

შეერთ. შტატებში საჭიროდ სთვლიან ამერიკის დელეგაციის გაწვევას საზღვაო კონფერენციიდან

ტარდიეს კაბინეტის შემადგენლობა

პარიზი, 2 მარტი. ტარდიემ შეადგინა ახალი მთავრობა, რომელშიაც შედიან: პრემიერი და შინაგან საქმეთა მინისტრი ტარდიე (მემარცხენე რესპუბლიკანელი), იუსტიციის მინისტრი პერე (დემოკრატიულ კავშირის სენატის ჯგუფი), საგარეო საქმეთა მინისტრი ბრიანი (რესპუბლიკანელი სოციალისტი), სამხედრო — მაჟინო (დემოკრატიული მოქმედების ჯგუფი), საზღვაო—დიუმენილი (რადიკალი), ფინანსთა—რენო, ბიუჯეტის—მარტენი, განათლების — მარრო (სენატის მემარცხენე დემოკრატიული ჯგუფი), კოლონიების — პიეტრი (მემარცხენე რესპუბლიკანელი) და სხვ.

საფრანგეთის ახალ დელეგაციაში ლონდონის კონფერენციაზე შედის პრემიერი—ტარდიე, საგარეო საქმეთა მინისტრი—ბრიანი, საზღვაო მინისტრი დიუმენილი და კოლონიების მინისტრი —პიეტრი. (ადს).

ახალი მთავრობა განაგრძობს ძველ იმპერიალისტურ პოლიტიკას

პარიზი, 2 მარტი. ახალ მთავრობაში ზოგიერთი რადიკალი ინდივიდუალურად იღებს მონაწილეობას, თუმცა რადიკალურმა პარტიამ, რომელიც კვლავ ოპოზიციაში რჩება, დაადგინა—არ მიიღოს მონაწილეობა ახალ მთავრობაში.

იმ მიზნით, რომ მთავრობაში სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენელთა მეტ რაოდენობას მიეღო მონაწილეობა, სამინისტროების რიცხვი გადიდებულ იქნა 18-მდე. დაარსდა ბიუჯეტის და ჯანმრთელობის სამინისტროები. თუმცა მთავრობაში მონაწილეობას იღებს სამი რადიკალი სენატორი, 2 რადიკალი დეპუტატი და 2 დეპუტატი ფრანკლენ ბუიონის ჯგუფიდან, ახალი მთავრობა სრულიად არ მოასწავებს „მარცხნივ გადახრას“. პირიქით, იგი უფრო მემარჯვენეა, და ახლანდელ მომენტში შეუძლებელია მაზე უფრო მემარჯვენე კომბინაციის მიღწევა. რადიკალებს რამდენიმე პორტფელი დაეთმოთ. ამის საკომპენსაციოდ მთავრობაში გაძლიერებულ იქნა მემარჯვენე ბურჟუაზიული პარტიების ოპოზიცია. ასეთ პირობებში უნდა მოველოდეთ, რომ მთავრობა უცვლელად განაგრძობს იმ იმპერიალისტურ საგარეო და რეაქციონურ საშინაო პოლიტიკას, რომელსაც ჯერ კიდევ ტარდიეს პირველი მთავრობა დაადგა.

ტარდიეს ახლანდელი მთავრობა სრულებითაც არ წარმოადგენს კონცენტრაციის მტკიცე მთავრობის შექმნის ამოცანის გადაწყვეტას. ტარდიეს მთავრობა ვერ განამტკიცებს საფრანგეთის შინაპოლიტიკურ მდგომარეობას და არ არის უზრუნველყოფილი იმისაგან, რომ არ დაიშლება მისი საკმაოდ მერყევი საპარლამენტო უმრავლესობა. (ადს).

მოითხოვენ ამერიკის დელეგაციის გაწვევას საზღვაო კონფერენციიდან

ნიუ-იორკი, 1 მარტი. ვაშინგტონიდან იუწყებიან: სენატორმა კელერმა წინადადება შეიტანა, რომ შეერთებული შტატების დელეგაცია ლონდონის კონფერენციიდან უკან დაბრუნდეს. კელერის სიტყვით, კონფერენციის დანარჩენი ოთხი მონაწილე სახელმწიფოს ახლანდელი სულიერი განწყობილების გამო, ცხადია, განიარაღება და შეიარაღების შემცირება ან თუნდაც შეიარაღებათა ზრდის შეზღუდვა ვერ მოხერხდება. (ადს).

მანევრი ეკონომიური კრიზისის მისაჩქმალავად

შეერთ. შტ. მთავრობა „წითელი საფრთხით“ აშინებს მოსახლეობას

ნიუ-იორკი, 1 მარტი. ვაშინგტონიდან იუწყებიან: ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატების იუსტიციის სამინისტრო ბრალს სდებს მოსკოვს, რომ იგი ფულით ეხმარება უმუშევართა დემონსტრაციებს. სენატორებმა ლაფოლეტმა და ბორამ პრესაში განცხადება მოათავსეს და გაილაშქრეს მთავრობის წინააღმდეგ. მთავრობა მათის აზრით, სცდილობს „წითელი საფრთხის“ მუქარით ჩამოაშოროს საზოგადოებრივი ყურადღება უმუშევრობას, რომელიც, მართლაც, სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. ბორა და ლაფოლეტი აღნიშნავენ, რომ ამ ტაქტიკას უკვე მიმართა მთავრობამ 1928 წელს. ბორა აცხადებს, რომ იუსტიციის სამინისტრო ამ გზით ცდილობს დამალოს უმუშევრობის ფართოდ გავრცელების ფაქტიო. (ადს).

ჰამმერის კონცესია საბჭ. მთავრობამ გამოისყიდა

მოსკოვი, 2 მარტი. რადგან ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჰამერის კონცესია ფინანსიურ გაჭირვებას განიცდიდა, კონცესიონერმა „გლავკონცესკომ“-ის წინაშე აღძრა საკითხი საწარმოს ვადამდე გამოსყიდვის შესახებ, მთავრობის წინაშე კი — საკონცესიო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ. თუმცა კონცესიონერი სახელმწიფო ბანკში დიდ კრედიტებს იღებდა, მაგრამ მას საკუთარი სახსრები იმდენად მცირე ჰქონდა და იმდენად გაძნელებული იყო უცხოეთის კრედიტების მიღება, რომ საწარმოს ფინანსიურ გაკოტრებას მოელოდა. მთავრობამ ყურადღებოდ არ დასტოვა კონცესიონერის წინადადება (თუმცა უფლება ჰქონდა უარი ეთქვა გამოსყიდვაზე) და დაადგა შეთანხმების გზას საწარმოს ვადამდე გამოსყიდვის საქმეში. მთელი მოლაპარაკება ამ საგნის შესახებ ორივე მხრით სრულ მეგობრულ ატმოსფეროში სწარმოებდა და 18 თებერვალს ორივე მხარემ ხელი მოაწერეს შეთანხმებას საკონცესიო ხელშეკრულებას მოქმედების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. გამოსაყიდი თანხა კონცესიონერს მთლიანად ეძლევა; ეს თანხა ჰფარავს ყველა მის დაბანდებულ თანხას მთელი წლების განმავლობაში. მასში გათვალისწინებულია აგრეთვე ყველა ის თანხა, რომელიც კონცესიონერს ხელზე მიეცა საფინანსო კონცესიის უცხოელ კრედიტორებთან ანგარიშის გასასწორებლად. მთავრობამ იკისრა აგრეთვე დაფარვა ჰამერის დავალიანებისა საბჭოთა [illegible]. საწარმო კარგ მდგომარეობაში. იგი უკვე ჩაიბარეს და ამუშავებს საბჭოთა ორგანიზაციებმა. (ადს).

შეტაკება მუშებსა და ფაშისტებს შორის

ნაციონალ-სოციალისტების პროვოკაცია

ბერლინი, 2 მარტი. ნაციონალ-სოციალისტებმა (ფაშისტები) პროვოკაციული მიზნით დაადგინეს გაეტარებინათ კომპარტიის სახლის წინ იმ ცრუკომუნისტის ცხედარი, რომელიც კომუნისტებმა ამხილეს, როგორც პოლიციის ჯაშუში. კომპარტიის სახლის დასაცავად შეიკრიბნენ მუშათა მრავალრიცხოვანი მასები. რამდენიმე ასი პოლიციელი განუწყვეტლივ ჰფანტავდა მუშებს, მაგრამ მუშები კვლავ გროვდებოდნენ, ასე რომ ფაშისტები იძულებულნი გახდნენ ხელი აეღოთ განზრახულ პროვოკაციაზე. როგორც სამგლოვიარო პროცესიამ მუშათა უბნებში გაიარა, მუშებმა მძლავრი დემონსტრაცია გამართეს. მოხდა შეტაკება მუშებსა და პოლიციელებს შორის, რომლის დროსაც პოლიციამ რამდენჯერმე მიმართა იარაღს. კომპარტიის სახლის წინ მუშებსა და პოლიციელებს შორის შეტაკება გაგრძელდა დაღამებამდე. პოლიციამ იქ სროლა ასტეხა.

როგორც „როტე ფანე“ იუწყება, მრავალი მუშა დაშავდა რეზინის კეტების ცემის დროს. ზოგიერთ მუშას ცემისაგან ტვინი შეერყა. (ადს).

ინგლისის არმიის თანამდებობის პირებს

აუკრძალეს მონაწილეობა „ანტი საბჭოთა წირვა-ლოცვაში“

ლონდონი, 2 მარტი. კონსერვატიული პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მთავრობის განკარგულებას, რომლითაც არმიის ყველა თანამდებობის პირებს ეკრძალებათ მონაწილეობის მიღება ანტისაბჭოთა წირვა-ლოცვაში 16 მარტს. მთავრობის განკარგულებამ [illegible] პარტიის [illegible] ნიკსი.

„დეილი ტელეგრაფ“-ი მოუწოდებს მთავრობას — გააუქმოს თავისი განკარგულება (ადს).

საბჭოთა კავშირის და საბერძნეთის ურთიერთობა

საბერძნეთის ეკონომიური წრეები საჭიროდ სცნობენ საბერძნეთ-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებას

ათინა, 2 მარტი. სრულუფლებიან წარმომადგენლობაში გაიმართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ საბერძნეთის იმ კომერციული წრეებისა და გემების მფლობელთა წარმომადგენელნი, რომელთაც კომერციული ურთიერთობა აქვთ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობასთან. სტუმრები კმაყოფილებას გამოსთქვამდნენ საბერძნეთსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული სამეურნეო ურთიერთობით და აღნიშნავდნენ, რომ სასურველია ამ ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება (ადს).

იაპონელ ინჟინერების მოწვევა საბჭოთა კავშირში

ტოკიო, 2 მარტი. ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას 12 იაპონელ რკინისგზელ ინჟინერთან, რომელნიც მოწვეულნი არიან საბჭოთა მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირში სამუშაოდ (ადს).

საკავშირო დეპეშათა სააგენტოსაგან

მოსკოვი, 3 მარტი. რადგან უცხოეთის პრესის სხვადასხვა ორგანო განაგრძობს სიცრუისა და ცილისწამების კამპანიას საბჭოთა კავშირის საკონცესიო პოლიტიკის წინააღმდეგ, კერძოდ „ლენა გოლდფილდს“-ის კონცესიის საკითხის გამო, საკავშირო დეპეშათა სააგენტოს დავალებული აქვს განაცხადოს შემდეგი:

„ტაიმს“-ი 12 თებერვლის ნომერში იუწყება, რომ საზოგადოებას „ლენა გოლდფილდს“-ს ვითომ არავითარი გაფრთხილება არ მიუღია საბჭოთა მთავრობისაგან ხელშეკრულების შეუსრულებლობის შესახებ და რომ ამ უკანასკნელს, საერთოდ, უფლება არა აქვს ასეთ გაფრთხილებას იძლეოდეს.

ეს ცნობა ყოვლად უსაფუძვლო სიცრუეს წარმოადგენს. როგორც უკვე აღნიშნული იყო ჩვენს პრესაში, „გლავკონცესკომ“-მა გამოიყენა საკონცესიო ხელშეკრულების მე-88 მუხლით გათვალისწინებული თავისი უფლება და კონცესიონერს ჯერ კიდევ 1929 წლის 8 ოქტომბერს მისცა პირველი გაფრთხილება, ხოლო 1929 წლის 8 დეკემბერს — მეორე გაფრთხილება იმის გამო, რომ კონცესიონერი მთავრობას არ აძლევდა სათანადო ანგარიშებს. და აღნიშნა, რომ ხელშეკრულების ამ მუხლით გათვალისწინებული ოთხი თვის ვადის გასვლის შემდეგ მთავრობა მიმართავს სამედიატორო სასამართლოს.

„აჟანს ეკონომიკ ფინანსიურ“-ი 26 თებერვლის ნომერში და რამდენიმე სხვა გაზეთი იუწყებიან, რომ „საბჭოთა მთავრობამ ყადაღა დაადო საზოგადოების მთელ აქტივს“. ეს ცნობაც სიცრუეს წარმოადგენს.

კონცესიონერის აქტივი მთლად მის ხელშია და ამ აქტივზე არავითარი ყადაღა არ დაუდვიათ, თუმცა სახელმწიფო ბანკს უდაო უფლება ჰქონდა — ყადაღა დაედო „ლენა გოლდფილდს“-ის ქონებისათვის, რადგან მან არ გადაიხადა 2 მილიონ მანეთამდე იმ თამასუქებით, რომლებიც სახელმწიფო ბანკის ხელშია“.

რევოლიუციონური პროფოპოზიციის გამარჯვება

ბერლინი, 2 მარტი. ხემნიცის საქალაქო რკინის გზის საწარმოებში ფაბქარხკომების არჩევნების დროს რევოლიუციონურმა ოპოზიციამ მიიღო ექვსი მანდატი, სოციალ-ფაშისტებმა მიიღეს 4 მანდატი და მოსამსახურეთა კავშირმა—2 მანდატი.

წარსულ შემადგენლობაში უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებს ეკუთვნოდათ.

პირნეს ცელულოზის ფაბრიკაში ფაბქარხკომის არჩევნების დროს რევოლიუციონურმა ოპოზიციამ მიიღო 256 ხმა, სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს—213. შარშან რევოლიუციონურ ოპოზიციას თავისი სია არ წამოუყენებია.

ბერლინში, რაბომის მანქანათ სამშენებლო ქარხანაში სოციალ-ფაშისტებს არც კი წამოუყენებიათ თავიანთი სია. ერთხმად გავიდა პროფკავშირთა რევოლიუციონური ოპოზიციის სია.

რემშეიდში მოსამსახურეთა კავშირის ადგილობრივ გამგეობაში არჩეულ იქნენ მხოლოდ პროფკავშირთა რევოლიუციონური ოპოზიციის კანდიდატები.

ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის ტირაჟი

ლენინგრადი, 2 მარტი. გაიხსნა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის პირველი ტირაჟი. ამხ. ბრიუხანოვმა მოხსენება გააკეთა სახელმწიფო კრედიტის შესახებ. მოხსენების შემდეგ მისალმებებით გამოვიდნენ ლენინგრადის ფაბრიკა - ქარხნების და აგრეთვე საბჭოთა კავშირის მსხვილი ცენტრების წარმომადგენლები. (ადს).

ლენინგრადი, 2 მარტი. ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის პირველი ტირაჟისადმი მიძღვნილმა საზეიმო სხდომამ ამხ. სტალინსა და კალინინს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც აცხადებს, რომ პარტიისა და ხელისუფლების ყველა ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხუთწლიანი გეგმის შესრულებას ოთხ წელიწადში, მხურვალე გამოძახილს და სრულ დასაარებას ჰპოვებენ საბჭოთა კავშირის მშრომელთა მხრივ. კრება დაბეჯითებით მოითხოვს დაჩქარებული იქნას ახალი სესხის — „ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში“ — რეალიზაცია. (ადს).

1.000 მან. მოგება

ლენინგრადი, 3 მარტი. პირველ სხდომაზე გათამაშებულ იქნა პროცენტიანი ობლიგაციების 21 მოგება. 1.000 მანეთიანი მოგება ხვდა ობლიგაციას № 7, სერია № 46058. (ადს).

„საბჭოთა კავშირის მუშები შეურყევლად აშენებენ სოციალიზმს“

საუბარი ამხ. ლიტვინოვთან

მოსკოვი, 2 მარტი პრესის წარმომადგენლებთან საუბარში საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილემ ამხ. ლიტვინოვმა განაცხადა: ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის დამატებითი რეალიზაციის წარმატებით ჩატარებამ, წინასწარმა ხელისმოწერამ ახალ სესხზე—„ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში“ და დაზოგვის ერთთვიურმა ერთხელ კიდევ უნდა დაუმტკიცოს მთელ ქვეყნიერებას, რომ ურყევია საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების სურვილი—ახალ სოციალისტურ საფუძველებზე მოაწყონ თავისი ცხოვრება მშენებლობის ყველა სიძნელეების მიუხედავად, კერძოთ იმ სიძნელეების მიუხედავად, რომლებსაც ამ მშენებლობას უქმნის ბურჟუაზიული სამყარო. (ადს).

ამხ. რიაზანოვის დაბადების 60 წლის თავი

მოსკოვი, 3 მარტი. მარქსისა და ენგელსის ინსტიტუტის დირექტორის ამხ. რიაზანოვს მარტის შუა რიცხვებში 60 წელიწადი უსრულდება. ამავე დროს სრულდება 40 წელიწადი, რაც ის საზოგადოებრივ - პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწევა. საბჭოთა კავშირის (ცაკ-თან არსებულმა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებათა გამგე კომიტეტმა შექმნა კომისია ამხ. რიაზანოვის იუბილეის მოსაწყობად. კომისიის თავმჯდომარეა ამხ. ლუნაჩარსკი. (ადს).

კაუჩუკიანი მცენარეების ნათესების გადიდება

საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილება

მოსკოვი, 3 მარტი. საკავშირო მიწსახკომმა საჭიროდ სცნო გაშენოს ხანდრილა 1930 წლის გაზაფხულზე 7.000 ჰექტარ ფართობზე, ხოლო იმავე წლის შემოდგომაზე—35.000 ჰექტარზე.

გადასწყდა—გადაეცეს ტრესტს „კაუჩუკონს“-ს ხანდრილის გასაშენებლად და სათესლე ბაღების შესაქმნელად 300.000 ჰექტარი მიწა ჩრდილოეთ ყარაყუმის ქვიშიან რაიონში (სამკუთხედი: ყარა-ბოკაზ-არალის ზღვა-ნერგ-კლი-თაკლე) და 50.000 ჰექტარი ასტრახანის ქვიშიან რაიონში.

საცდელი სამრეწველო პლანტაციებისათვის და სასელექციო მუშაობის განსავითარებლად საკავშირო მიწსახკომმა დაადგინა—გამოჰყოს ცალკე ნაკვეთები აზერბეიჯანში („შირვანის ველი“) და თურქმენისტანში. ამ ნაკვეთების გამოსაძებნად 1930 წლის გაზაფხულზე გაიგზავნება სპეციალური ექსპედიცია.

საკავშირო მიწსახკომმა საჭიროდ სცნო მოხდეს 1930 წელს ფართო საგამოძიებო მუშაობა საექსპედიციო გამოკვლევის საშუალებით აგრეთვე საცდელი სტაციონალური მუშაობის მოწყობით და საცდელი კაუჩუკიანი კულტურის სამრეწველო განვითარებისათვის არიან დანიშნულნი.

ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიას და „კაუჩუკონის“-ის ტრესტს დაევალა—მოიწვიონ 1930 წლის დეკემბერში საკავშირო თათბირი კაუჩუკიან კულტურათა შესახებ. გადასწყდა, 1930-31 წელს აზერბაიჯანის და შუა-აზიის უნივერსიტეტებში და ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო - სამეურნეო აკადემიაში გახსნას სპეციალური კურსები აღნიშნული კულტურების დარგიდან.

რესპუბლიკანურ მიწსახკომებს წინადადება მიეცა—მიიღონ ზომები, რომ ადგილობრივმა კომიტეტებმა ფართო დახმარება აღმოუჩინონ კაუჩუკის საქმეზე მომუშავე ექსპედიციებს, (ადს).

კაუჩუკიან მცენარეთა კულტურების განვითარება აზერბეიჯანში

ბაქო, 3 მარტი. აზერბეიჯანის მიწსახკომთან მოხდა თათბირი კაუჩუკიან მცენარეთა კულტურების განვითარების შესახებ აზერბეიჯანში. თათბირმა მოისმინა საკავშირო ტრესტის „კაუჩუკონის“-ის წარმომადგენლის მოხსენება და მიიღო რამდენიმე დადგენილება კაუჩუკიან გვაიულის ირგვლივ ცდების გაფართოების შესახებ.

ყარაბაღის ოლქის ტერტერის რაიონში ტრესტის „კაუჩუკონის“-ის ხარჯზე არსდება სადგური, რომელიც მოახდენს სპეციალურ ცდებს გვაიულის გაშენებისთვის. იმავე ოლქის აღდამის და ბარდის რაიონებში წელს გვაიულის დასათესად გამოიყოფა 100 ჰექტარი მიწა. მომავალ წელს ნათესის ფართობი გადიდდება 1000 ჰექტარამდე. მთელ აზერბეიჯანში ეწყობა 20 საცდელი პუნქტი გვაიულის გასაშენებლად. „კაუჩუკონის“-ი აზერბეიჯანის მიწსახკომის განკარგულებაში ჰგზავნის ინსტრუქტორებს, აპარატურას, გვაიულის თესლს და სხვ. ბოტანიკის პროფესორის სუპანსკის სიტყვით, გვაიულის კულტურის განვითარება აზერბეიჯანში უზრუნველყოფილია. (ადს).

სხვადასხვა

- სან-დომინგოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ვასკესსა და მეამბოხეთა ლიდერ ურენის შორის მოხდა შეთანხმება (როგორც სჩანს, შეერთ. შტატების ზეგავლენით). ურენა იქნება რესპუბლიკის დრ. პრეზიდენტი.
- ათინის სასამართლომ გადასწყვიტა დაშალოს რემედასის საბერძნეთის სექცია.
- ოფიციალური ცნობებით, პალესტინაში 1929 წ. 45 გაფიცვა მოხდა.
- შეერთ. შტატებში აკრძალეს საბჭოთა სურათის „ყმის ფრთების“ ჩვენება (სურათი იოანე მრისხანეს ეპოქას ხატავს).

ბრძოლა ჩინეთში

ენ სი-შანის განკარგულებით დააპატიმრეს გომინდანის ცნობილი წევრები

შანხაი, 2 მარტი. ენ სი-შანის განკარგულებით დააპატიმრეს გომინდანის ზოგიერთი ცნობილი წევრი, დაიხურა გომინდანის სააგენტო და პარტიული ორგანო. ტიან-ძინ-ხანკოუს რკინის გზის მოძრავ შემადგენლობას ენ-სი-შანი რეკვიზიცია უყო სამხედრო საჭიროებისათვის. რკინის გზაზე მოძრაობა შეჩერდა. (ადს).

ლიკვიდატორების გარიცხვა

ბერლინი, 2 მარტი. ბერლინის ლიკვიდატორთა განცხადების ყველა ხელისმომწერლები გამორიცხეს კომპარტიიდან. 60 ხელისმომწერთა შორის ბევრი ისეთია, რომლებიც უკვე წინად იყვნენ გამორიცხულნი პარტიიდან. „როტე ფანე“ აღნიშნავს, რომ ამ განცხადებით ლიკვიდატორებმა მოიხადეს ვალი სოციალ-ფაშისტების წინაშე, რომლებიც მათ ოფიციალურ მუნიციპალურ თანამდებობებს შეპირდნენ. (ადს).

რენეგატების ბანაკში

ბერლინი, 2 მარტი. მას შემდეგ, რაც ლენინბუნდიდან გამორიცხეს ტროცკის თანამოაზრეთა უმცირესობა, ტროცკიმ ურბანსს შეუწყვიტა ფულის გზავნა. ამის შედეგად ლენინბუნდის ორგანო „ფოლკსვილლე“ კვირაში გამოდის არა სამჯერ, არამედ ერთხელ (ადს).

რეფორმისტების თანამშრომლობა მრეწველებთან

ვენა, 2 მარტი. გაიხსნა მრეწველთა და რეფორმისტულ პროფკავშირთა გაერთიანებული ეკონომიური კონფერენცია, რომელიც მოიწვია ავსტრიის მთავრობამ.

კონფერენცია გახსნა პრემიერმა შობერმა, რომელმაც აღნიშნა, რომ რეფორმისტების და სავაჭრო პალატების მოთხოვნები „შეთანხმებულ უნდა იქნენ“. რეფორმისტების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან ითანამშრომლონ მრეწველებთან ეკონომიური კრიზისის დასაძლევად. (ადს).

1500 სტუდენტი სპეციალისტი თესვის კამპანიისათვის

მოსკოვი, 3 მარტი. კავშირების სახლში გაიმართა საზეიმო სხდომა 1.500 სტუდენტის —სოფლის მეურნეობის სპეციალისტების გასაცილებლად. სტუდენტები მიდიან კოლმეურნეობებში გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩასატარებლად. საბჭოთა კავშირის მიწსახკომმა ამხ. იაკოვლევმა მიმავალ სტუდენტებს მიმართა სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა:

„თქვენ, როგორც მომავალ სპეციალისტებს, [illegible],—უნდა გახსოვდეთ, რომ კოლექტივიზაციის საფუძველზე ჩვენ გადავწყვიტეთ ისეთი ამოცანები, რომელთა გადაჭრასაც წინათ ათი წლები სჭირდებოდა. აგრომინიმუმი ცალკე წვრილი მეურნეობის ლოზუნგი იყო, ახლა ყველაზე უფრო სწორი იქნება ფორმულა „აგრომაქსიმუმი“. წელსვე საჭირო იქნება, რომ სოფლის მეურნეობაში ვეცადოთ ისეთი ტემპების განხორციელებას, რომლებსაც უკვე მიაღწია ჩვენმა მრეწველობამ. წინასწარი პირობა სოფლის მეურნეობის ტეხნიკური პროგრესისათვის უკვე შექმნილია. კოლექტივიზაციის გზაზე ჩვენ წინ იშლება სოფლის მეურნეობის ტეხნიკური გარდაქმნის დღემდე არ ნახული პერსპექტივები“.

კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: სოფლის მეურნეობის სპეციალისტი სტუდენტები, რომლებიც კოლმეურნეობებში მიდიან საბჭოთა და კოლმეურნეობათა მშენებლობისათვის, პირობას სდებენ: ებრძოლონ პარტიული ხაზის ყოველგვარ დამახინჯებასა და გამრუდებას კოლმეურნეობათა მშენებლობის საქმეში, სისწორით და ეკონომიით მოაწესრიგონ კოლმეურნეობათა მუშაკების შრომა, მაქსიმალურად გამოიყენონ მანქანები და მუშა ცხენები, გახურებული შანთებით ამოსწვან კლასობრივ მტრის ცდა—დააზარალონ და შეაფერხონ ჩვენი სოციალისტური მშენებლობა და გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ აპოლიტიზმთან და პოლიტიკურ ნეიტრალობასთან თავიანთ რიგებში. კრების დამთავრების შემდეგ სტუდენტი-სპეციალისტები ქუჩაში გამოვიდნენ და გაემართნენ საბჭოთა კავშირის მიწსახკომის შენობისაკენ, სადაც მოხდა მიტინგი; სტუდენტები შემდეგ გაემართნენ საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტისა, მოსკოვის პროფსაბჭოს და მოსკოვის საბჭოსაკენ. (ადს).

საბჭოთა აფხაზეთის 9 წლისთავი

სოხუმი, 3 მარტი. 4 მარტს, სრულდება აფხაზეთში საბჭ. ხელისუფლებ. დამყარების ცხრა წლის თავი. ცხრა წლის განმავლობაში აფხაზეთს შემდეგი მიღწევები აქვს: მიწის რეფორმამ გლეხობას მისცა 126.092 დესეტინა თავადების მიწა. ამჟამად კულტურების გასაფართოებლად არსებობს 200.000 ჰექტარი მიწა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხაზით უკანასკნელ წლებში მოხდა გადამწყვეტი გარდატეხა: ვითარდებიან ინტენსიური სუბტროპიკული კულტურები მეურნეობის ექსტენსიური ფორმების განდევნის ხარჯზე. ხუთწლედის დამლევისათვის ტეხნიკურ კულტურებს დაკავებული ექნებათ 80.000 ჰექტარი მიწა. კულტურების რიცხვის ზრდასთან ერთად იზრდება მათი ღირსებაც. სასაქონლო პროდუქცია 1933 წელს 1926 წელთან შედარებით მოგვცემს ზრდას 4 ნახევარჯერ. ეს დიდ მატერიალურ ბაზას ჰქმნის სამეურნეო განვითარებისათვის. მძიმე პირობების მიუხედავად, კოლექტივებში გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვი 17 პროცენტს შეადგენს. განსაზოგადოებული სოფლის მეურნეობის თართობში 15 პროცენტს უდრის. სამრეწველო მშენებლობის დარგში, გამოუცდელობის მიუხედავად, აფხაზეთმა დიდ [illegible] მიაღწია. თუ 1924 წლის კაპიტალური დაბანდება 126.000 მანეთს უდრიდა, 1929 წელს იგი შეადგენდა 798.978 მანეთს. ამ ხნის განმავლობაში მთელი პროდუქცია გაიზარდა 4-ჯერ. ინდუსტრიალიზაციის საქმეში ძირითადი მუშაობა მიმდინარეობს ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენების ხაზით.

მიმდინარე წელს იწყება ქვანახშირის მრეწველობის მშენებლობა. ამისათვის გადადებულია 5 მილიონი მანეთი. დაწყებულია შავი ზღვის სანაპირო გზის მშენებლობა. განზრახულია ნავთსადგურის აგება.

1925 წლიდან აფხაზეთი დაადგა ტყეების სამრეწველო ექსპლოატაციის გზას. წელს ამუშავდა კოდორისა და გაგრის სახერხი ქარხნები. შენდება ბზის ხე-ტყის კომბინატი. ხე-ტყის მრეწველობა უკვე ახლავე მუშაობს 75 პროცენტით; მისი ექსპორტი შეადგენს 915.000 მანეთს.

მეურნეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საგზაო მშენებლობას. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ხარჯები ამ საქმეზე შეადგენენ 2 მილიონ მანეთს. საკურორტო მშენებლობაში დაბანდებულია 768.458 მან., განზრახულია კიდევ 15.669.000 მანეთის დაბანდება. მიღწევებია აგრეთვე სახალხო განათლების დარგში. თუ 1921 წ. მთელს აფხაზეთში 146 სკოლა იყო, ახლა 294 სკოლაა.

კულაკების აქტიური წინააღმდეგობის მიუხედავად, აფხაზეთის მშრომელები ხალისით ეგებებიან საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიის ღონისძიებებს და ყოველნაირად ეხმარებიან სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. (ადს)

დღეს, 4 მარტს, საღამოს 7 საათზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში შესდგება

საზეიმო სხდომა

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 9 წლისთავის აღსანიშნავად

თბილისში მყოფ აფხაზეთის მცხოვრებთა დასწრება სავალდებულოა.

აფხაზ. სტუდენტთა სათვისტომოს გამგეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესვის სამზადისი კოლმეურნეობებში უნდა გაცხოველდეს

დავაჩქაროთ პრაქტიკულ საწარმოო გეგმების შედგენა.—კოლმეურნეობის თვითეული წევრი უნდა იცნობდეს საგაზაფხულო სამუშაოების გეგმას

ზოგიერთი საკრედიტო ამხანაგობები დაუშვებელ გულგრილობას იჩენენ სას.-სამ. იარაღ-მანქანების მიწოდების საქმეში.--კახეთში იანვარში მიღებული მანქანები ჯერაც არ არის გამოსყიდული

გავაძლიეროთ მოსამზადებელი მუშაობის ტემპი

კოლმეურნეობრივ მოძრაობაში ამჟამად უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს მიღწეულ შედეგების განმტკიცება და არსებულ კოლმეურნეობების ორგანიზაციულად გამაგრება. კოლმეურნეობათა ცენტრის ცნობით, 27 თებერვლისათვის საქართველოში ირიცხებოდა 2786 კოლმეურნეობა, რომლებშიაც გაერთიანებულია 286.661 კომლი და 748.659 ჰექტარი მიწა. ყველა ამ კოლმეურნეობებში გაერთიანებულია ყველა მეურნეობათა 63,3 პროცენტი. ეს უდიდესი მიღწევა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ფრონტზე შედეგია ღარიბი და საშუალო გლეხობის უდიდესი , აქტიეობისა და ენტუზიაზმის და ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ენერგიული დახმარებისა და სწორი ხელმძღვანელობის.

თუ დღემდე კოლმეურნეობათა მშენებლობაში ზოგიერთ ადგილებში უმთავრესი ყურადღება ექცეოდა კოლექტივების რიცხვის ზრდას, დღეს აუცილებელია ეს რიცხვობრივი გატაცება გადავიყვანოთ კოლმშენებლობის ხარისხობრივ გაუმჯობესებაზე და მივიღოთ ყველა ზომები, რომ ორგანიზაციულად ჩამოვაყალიბოთ და განვამტკიცოთ უკვე არსებული კოლმეურნეობები. კოლმეურნეობები უნდა შეუდგნენ ყოველდღიურ, უაღრესად მნიშვნელოვან და ამავე დროს რთულ სამეურნეო საქმიანობას, რომელიც მიზნად უნდა ისახავდეს ნამდვილ კოლექტიურ წარმოების შექმნას.

აქ მრავალი ამოცანა ისახება კოლმეურნეობების წინაშე, რომელთა სწორ გადაწყვეტაზეა დამოკიდებული გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის წარმატება. უპირველეს ყოვლისა, კოლექტივებმა უნდა მოაწესრიგონ შრომის განაწილების და შრომის ანაზღაურების საკითხი. ის უამრავი მუშა-ხელი, რომელიც დაგროვდა კოლექტიურ მეურნეობებში, სწორად და მიზანშეწონილად უნდა იქნეს გამოყენებული. კოლექტივის თვითეულ წევრს მიჩენილი უნდა ჰქონდეს განსაზღვრული სამუშაო და სისწორით გარკვეული უნდა იქნეს მისი მოვალეობანი. ეს მეტად რთული საკითხია და მის წესიერად მოსაგვარებლად აუცილებელია კოლექტივს წინასწარ შემუშავებული ჰქონდეს ყველა იმ სამუშაოების გეგმა, რომლებიც განხორციელებული უნდა იქნეს კოლექტივის წევრების საშუალებით. საჭიროა კოლმეურნეობები ეხლავე შეუდგნენ მარტივ პრაქტიკულ საწარმოო გეგმების დამუშავებას, რომელთა საფუძველზედაც უნდა მოხდეს მუშა-ხელის განაწილება. ეს გეგმები უნდა შეიცავდეს მუშათა კადრების, სასოფლო- სამეურნეო მანქანა-იარაღების, მუშა-საქონლის და სხვ. საწარმოო საშუალებების სწორად აღრიცხვას და განაწილებას, ყველა შესასრულებელ სამუშაოების სიას და მათი შესრულების წესს. ამასთანავე გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნეს თესლის დარჩევა-დახარისხება, მისი შეწამვლა, იარაღების შეკეთება და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშა-საქონლის კოლონების მოწყობას კოლმეურნეობებში, რადგან არსებული მექანიკური ინვენტარის სიმცირის გამო ყველა კოლმეურნეობანი ვერ იქნებიან მთლიანად დაკმაყოფილებული საჭირო იარაღ-მანქანებით. კოლონების მოსაწყობად აუცილებელია დაჩქარდეს მუშა-საქონლის განსაზოგადოება და სისწორით აღრიცხვა. მიღებულ უნდა იქნეს ზომები აგრეთვე ფარდულების მოსაწყობად მუშა-საქონლის კოლონებისათვის. შარშანდელი გვალვებისა და ცუდი მოსავლის გამო მთელ რიგ რაიონებში მწვავედ სდგას საქონლის საკვების საკითხი. კოლმეურნეობების ხელმძღვანელი ორგანოები ეხლავე უნდა შეუდგნენ ამაზე ზრუნვას. უნდა დაჩქარდეს საქონლის საკვების განსაზოგადოების ტემპი იმ რაიონებში, სადაც ასეთი მოიპოვება.

ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ სამანქანო- საცხენო სადგურების და მუშა-საქონლის კოლონების მოწყობა ზოგან მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს. ეს იმ დროს, როდესაც რამდენიმე დღის შემდეგ თესვა უნდა დაიწყოს (ზოგან თესვას შეუდგნენ კიდეც). მუშაობის ასეთი დაუშვებელი ტემპი დაუყონებლივ აღმოფხვრილი უნდა იქნეს.

თესვის დაწყებამდე რამდენიმე დღე დარჩა. კოლმეურნეობებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ დარჩენილი დრო მოსამზადებელ მუშაობის გასაცხოველებლად.

ი. ვ—ნი.

ბოლო უნდა მოეღოს დაუშვებელ დაუდევრობას

სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ყველა რწმუნებულებს და თესვის ჩამტარებელ საოლქო სამეულებს

ტრანსპორტიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ მთელი რიგი ადგილობრივი ორგანიზაციები აგვიანებენ მათ სახელზე მიღებულ ტვირთების გამოსყიდვას, რომლებიც უნდა მოხმარდნენ სასოფლო-სამეურნეო კამპანიას; პაკჰაუზები და საწყობები დაკავებული აქვთ ამ ტვირთებს, რკინის გზის დანიშნულების სადგურებში სდგანან დატვირთული ვაგონები, გაჩერებულია სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის სასწრაფოდ მისაწოდებელი ტვირთები.

ეს მოვლენა აიხსნება განსაკუთრებული დაუდევრობით და დანაშაულებრივი უყურადღებობით, რომელსაც იჩენს რკინის გზის ტრანსპორტის კლიენტურა სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ამოცანებისადმი.

ასეთი უყურადღებობით კამპანიის ამოცანებისადმი და ტვირთების თავის დროზე გამოსყიდვის საკითხებისადმი განირჩევიან შემდეგი ორგანიზაციები:

უჯარის ბამბის ქარხანა, რომელსაც არ გამოუყიდია სადგურ უჯარიდან 22 თებერვალს მიღებული 20 ვაგონი ფქვილი და 5 ვაგონი ბამბის თესლი;

ყარაბახის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კავშირი, რომელსაც სადგურ ალიათიდან არ გამოუყიდია 17 თებერვალს მიღებული 2 ვაგონი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები.

აზერბეიჯანის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი, რომელსაც არ გამოუყიდია სად. ევლახში 24 თებერვალს მიღებული 2 ვაგონი ხე-ტყის მასალა და ქატო, რომელიც უნდა მოხმარდეს კალიასთან ბრძოლას.

ყარაბახის წყალთა მეურნეობის სამმართველო, რომელსაც არ გამოუყიდია სად. ევლახიდან ერთი ვაგონი ცემენტი.

ყარაიას საკრედიტო ამხანაგობა, რომელსაც ჯერ კიდევ არ გამოუყიდია 6 თებერვალს მიღებული სასოფლო-სამეურნეო მანქანები;

ვანის საკრედიტო ამხანაგობა, რომელსაც არ გამოუყიდია სადგურ სამტრედიიდან 12 თებერვალს მიღებული შაბიამანი.

ახალციხის საკრედიტო ამხანაგობა, რომელსაც არ გამოუყიდია ბორჯომის სადგურიდან სასოფლო-სამეურნეო იარაღები და 4 ვაგონი თივა;

„ბამბუკირლიბი“, რომელსაც არ გამოუყიდია სად. ალიათიდან 21 თებერვალს მიღებული სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

წინანდლის საკრედიტო ამხანაგობა, რომელსაც არ გამოუყიდია სად. წინანდლიდან 22 თებერვალს მიღებული სასოფლო-სამეურნეო მანქანები და სხვ.

ვთვლით რა დაუშვებლად ასეთ მოვლენებს, რომლებიც ხელს უწყობენ სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩაშლას, და წინადადებას ვაძლევ ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებს და ამიერკავკასიის რკინის გზების მთელ კლიენტურას დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები ტვირთების გამოსასყიდათ, ერთი კვირის განმავლობაში მოუღონ ბოლო ვაგონების და ტვირთების გაჩერებას მიუხედავად იმისა, რა დანიშნულებისაც არ იქნებიან ეს ტვირთები.

ამასთან ერთად ვავალებ რესპუბლიკების თესვის კამპანიის რწმუნებულებს 15 მარტისათვის ჩაატარონ ამ ბრძანების შესრულების სპეციალური შემოწმება, გამოარკვიონ უშუალო ვის მიუძღვის ბრალი ყველა ზემოთხსენებულ შემთხვევებში, დაადონ მათ სახელზე და თუ ბოროტი განზრახვით არის ჩადენილი, დამნაშავეები პასუხისგებაში მისცენ სასამართლოს წესით.

თესვის კამპანიის რწმუნებული ამიერ-კავკასიაში, ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მუშგლეხინს სახ. კომისარი **ნაზარეტიანი**.

გაზაფხულის სასოფლო--სამეურნეო კამპანიის მდგომარეობა

(საქ. მიწსახკომის მასალებიდან)

სათესი ფართობი

ყველა კულტურების სათესი ფართობი, რომელიც გათვალისწინებულია გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმით, მიღებულია ადგილების მიერ და მათი გაფართოების შესაძლებლობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. გეგმა ითვალისწინებს გაზაფხულის ნათესების სიერცის გადიდებას 621,445 ჰექტარიდან 77.013 ჰექტარამდე, ე. ი. 12 პროცენტით (1929 წელთან შედარებით).

თესლის მიწოდების საკითხები

მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო კამპანიის განმავლობაში გადაწყვეტილია მიეცეს კოლმეურნეობებს (მთიანეთის და მცირე მოსავლიან რაიონებში) სათესლე მასალით 87.000 ფუთი ქერი, რომლის შესატანადაც სომხეთიდან მიღებულია სათანადო ნებართვა. ქერი შემოზიდული იქნება თესვის დაწყებისათვის.

ქერის ეს რაოდენობა ოლქებსა და მაზრებს შორის განაწილებულია შემდეგნაირად: თბილისის ოლქს მიეცემა—40.000 ფუთი, გორის ოლქს—21.000 ფუთი, სამხრეთ-ოსეთს—8.000 ფუთი, ქუთაისის ოლქს—15.000 და აჭარისტანს—3.000 ფუთი; სულ 87.000 ფუთი. თესლი უკვე გამოგზავნილია სომხეთიდან.

სოიას თესლით უზრუნველყოფილია 20.000 ჰექტარი სათესი ფართობი. ეს თესლი დამზადებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მიერ ადგილობრივ. ამას გარდა, მიღებულია ზომები სოიას თესლის განსაზოგადოებლად კოლმეურნეობებში, სოიას სათესი სიერცის გადიდების მიზნით.

არახისის თესლი გარედან შემოტანილი არ იქნება და ამჟამად თესლით უზრუნველყოფილია მხოლოდ გეგმით გათვალისწინებულ სიერცის 30 პროცენტი, ე. ი. 300—350 ჰექტარი მიწა; თესლის ეს რაოდენობა დამზადებულია კოლმეურნეობებში.

ლობიოს თესლი არ არის საკმარისი. თესლით უზრუნველყოფილია მთლიანად აღმოსავლეთ საქართველო, დასავლეთ საქართველოში კი თესლის დიდი ნაკლებობაა. მიღებულია ზომები თესლის აღმოსავლეთ საქართველოში დასამზადებლად და დასავლეთ საქართველოში გადასაგზავნად, და აგრეთვე თესლის განსაზოგადოებლად დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებში. თესვის გეგმა უზრუნველყოფილია მხოლოდ 50 პროცენტით. თესლის დამზადების და განსაზოგადოების წარმატებას შეუძლია უზრუნველჰყოს გეგმის შესრულება.

ბოსტნეულისა და სათესი ბალახების სიერცე თესლით უზრუნველყოფილია მხოლოდ 60 პროცენტით, რადგან შეუძლებელი შეიქნა საჭირო რაოდენობის თესლის შემოზიდვა გარედან. მიღებული იყო ზომები აღნიშნული თესლის განსაზოგადოებლად კოლმეურნეობებში, მაგრამ ამან არ გამოიღო სასურველი შედეგი კოლმეურნეობებში თესლის უქონლობის გამო.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საქონლის საკვები ბალახეულობის და საბოსტნე კულტურების თესვის გეგმა მეტად დაჭიმულია და არ არის შეთანხმებული თესლის მიღების შესაძლებლობასთან.

იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მომავლისათვის ბოსტნების და ბალახეულობისათვის სათესი ფართობი საჭირო თესლით, მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო კამპანიის განმავლობაში მოეწყობა სპეციალური სათესლე ნაკვეთები, რაც საშუალებას მოგვცემს მივიღოთ 1931 წლისათვის საჭირო თესლი.

კარტოფილის თესლით უზრუნველყოფილია მხოლოდ 4.600 ჰექტარი ფართობი, ე. ი. გეგმის 50 პროცენტი.

ტეხნიკური კულტურები—ჩაი, კანაფი, ბამბა, თამბაქო და შაქრის ჭარხალი მთლიანად უზრუნველყოფილია თესლით გეგმით გათვალისწინებულ სიერცის დასათესად.

რამის სათესი სიერცე თესლით ჯერ-ჯერობით არ არის უზრუნველყოფილი. მიღებულია სათანადო ზომები.

ჯიშიანი სიმინდის თესლი 24 ათასი ფუთის რაოდენობით ამჟამად ინახება საბჭოთა მეურნეობებში და მიწსახკომის საცდელ სადგურებში, საიდანაც 10 მარტისათვის გადაეგზავნება ადგილებს შემდეგი რაოდენობით: გორის ოლქს—2.000 ფუთი, კახეთის ოლქს—2.000 ფ. ქუთაისის ოლქს—6.000 ფ., სენაკის მაზრას — 4.000 ფ., ოზურგეთის მაზრას—3.000 ფ. აჭარისტანს—1.000 ფ., აფხაზეთს—4.000 ფ., ზუგდიდის მაზრას—2.000 ფ., სულ 24.000 ფუთი.

სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მიწოდება

20 თებერვლისათვის საქართველოს სხვადასხვა რაიონებში შეზიდულია გაზაფხულის კამპანიისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის 80 პროც., ცალკე მანქანების მიხედვით შეზიდულია: 3.166 ფარცხი, 268 სათესი მანქანა,—1.000 სიმინდის სათ. მანქანა, 162 ტრიერი, 423 კულტივატორი, 169 სათიბი მანქანა, 55 ცხენის ფარცხი, 110 საწამლი მანქანა და 44 ძნების საკრავი მანქანა.

რაც შეეხება ტრაქტორებს, 1930 წლის 1-ლ იანვრისათვის საქართველოში იყო 274 ტრაქტორი, აქედან: კახეთის ოლქში—105, თბილისის ოლქში—72, გორის ოლქში—28, ახალციხის მაზრაში—2, ახალქალაქის მაზრაში—1, ქუთაისის ოლქში—16, სენაკის მაზრაში—9, ზუგდიდის—9, ოზურგეთის—8, აფხაზეთში—14, აჭარისტანში—6, სამხრეთ-ოსეთში—4; სულ 274. ამას გარდა არა სოფლის მეურნეობაში მუშაობდა 17 ტრაქტორი. ამრიგად, პირველ იანვრამდე საქართველოში ირიცხებოდა 291 ტრაქტორი.

გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმით საქართველოში შემოტანილი უნდა იქნეს 201 ტრაქტორი, აქედან შემოტანილი და განაწილებულია თითქმის მთელი რაოდენობა. შემოტანილი ტრაქტორებიდან ბორჩალოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურს მიეცა 74 ტრაქტორი, აბაშის სადგურს—40, აგარის სადგურს—12, შირაქის სამანქანო-სატრაქტორო კოლონას—10, ლაგოდეხის კოლონას—7, აფხაზეთის კოლონას—5 და სხვ.

დღემდე გათვალისწინებული მანქანა-იარაღები შეზიდულია 80 პროცენტი, დანარჩენი 20 პროცენტი მიღებული იქნება თესვის [illegible].

თბილისში მიღებული ტვირთი დაუყოვნებლივ იგზავნება ადგილებზე, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ადგილები დიდის დაგვიანებით ღებენ მანქანებს. ასე, მაგალითად, ახალქალაქის მაზრაში 8 თებერვალს გაგზავნილი ტრიერები ჯერ კიდევ არ არის მიღებული; სათადარიგო ნაწილები გურჯაანში მიღებული იქნა ორი კვირის შემდეგ მათი თბილისიდან გაგზავნის დღიდან.

არის შემთხვევები, როცა ადგილებს დროზე არ გამოაქვთ ტვირთი, რადგან მათ ჯერ კიდევ არ შეუგროვებიათ კოლმეურნეობებისაგან მანქანების ღირებულების 25 პროცენტი.

სარემონტო სახელოსნოები

ძველი სარემონტო სახელოსნო იყო 6: წნორის წყალში, გორში, სანდარში, ზუგდიდში, სენაკში და ონში. ამას გარდა მთავრდება სამი სახელოსნოს მოწყობა ახალქალაქში, ახალციხეში და სამხრეთ-ოსეთში და ახლად ეწყობა 6 ახალი სახელოსნო: ლაგოდეხში, შირაქში, ყვარელში, ვანში, ბროწეულაში და ხულოში.

სახელოსნოები, რომლებიც ეხლა ეწყობა, არ არიან უზრუნველყოფილი დაზგებით და მაძრავებლებით, რადგან ასეთები არ იშოვება საბჭოთა კავშირის ბაზრებზე. უკანასკნელ დღეებში შესაძლებელი გახდა სარემონტო სახელოსნოების უზრუნველყოფა საჭირო მასალებით (რკინა, სპილენძი, ტყვია და ნახშირი).

კერძო შინა-მრეწველთა სახელოსნოები და სხვა ორგანიზაციების სახელოსნოები მასალების დიდ ნაკლებობას განიცდიან, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების გამოყენებაზე.

არსებობს სამი ძველი მოძრავი სახელოსნო. 10 ახალი სახელოსნოს მოსაწყობად თავის დროზე იყო მიღებული ზომები, მაგრამ შეუძლებელი შეიქნა საჭირო ავტომობილების მიღება.

სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების თავის დროზე შეკეთების და მათი რაციონალურად გამოყენების მიზნით, რემონტის საქმეში ჩაბმულია რკინის გზის და სხვა ორგანიზაციების ყველა სარემონტო სახელოსნოები, მაგრამ აღნიშნულ სახელოსნოებს ადგილები ვერ იყენებენ სათანადოთ, რადგან მოსახლეობა ვერ მიმართავს მათ ამ სახელოსნოების სოფლებიდან დაშორების გამო.

სათადარიგო ნაწილები

„ინტერნაციონალი“-ს და „ჰოლტი“-ს სისტემის ტრაქტორები სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფილია მთლიანად. ამას გარდა, 23 თებერვალს ამერიკიდან მიღებული იქნა აღნიშნული ტრაქტორების 33 ყუთი სათადარიგო ნაწილები.

ფორძონის სისტემის ტრაქტორების სათადარიგო ნაწილები ჯერ კიდევ არ არის მიღებული. მიღებულია ზომები ინტერნაციონალის და ჰოლტის ტრაქტორების ნაწილების გადასაცვლელად ფორძონის ნაწილებზე ჩრდილოეთ-კავკასიაში. ზოგიერთ ნაწილების დამზადება საცდელად შეკვეთილი აქვს სტალინის სახელობის ქარხანას თბილისში.

საწვავი მასალა

ტრაქტორების საწვავი მასალით უზრუნველსაყოფად თავის დროზე იყო მიღებული ზომები და ამჟამად საწვავი მასალა საკმაო რაოდენობით მოიპოვება საბაზისო საწყობებში და ადგილებზე.

დიდი მოთხოვნილებაა საწვავი მასალის ჭურჭლებზე. ადგილებს წინადადება აქვთ მიცემული მიიღონ ზომები სატრაქტორო კოლონების უზრუნველსაყოფად რკინის და ხის კასრებით. 20 თებერვლისათვის მობილიზაციის წესით საქართველოში შეგროვილი იყო 400 რკინის კასრა;

გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმით საქართველოში შემოზიდული უნდა იქნეს 3.600 ტონა ნავთი, ბენზინი და ზეთი. აქედან 20 თებერვლისათვის უკვე შემოტანილია 3.080 ტონა.

მუშა-საქონლის კოლონების მოწყობა

გეგმის მიხედვით მუშა-საქონლის კოლონებისათვის შენობების აგება განზრახულია ყველა რაიონებში, გარდა თბილისის ოლქისა და ზემო-სვანეთისა. საჭირო საამშენებლო მასალა უკვე დამზადებულია. მუშაობა რომ არ შეფერხდეს ახალი შენობების აგებამდე, კოლონებისათვის გამოყენებულია გლეხური მეურნეობების ფარდულები, ზამთარი ხელს უშლის მუშაობის ჩქარი ტემპით წარმოებას. ამჟამად მიმდინარეობს მასალების დამზადება და ამინდის გამოკეთებისთანავე შეუდგებიან საამშენებლო სამუშაოებს.

მუშა-საქონლის კოლონები ეწყობა: ახალციხის მაზრაში—2, ახალქალაქში—3, გორში—3, კახეთში—7, თბილისში—4, ქუთაისში — 10, სენაკში—2, ზუგდიდში—5, ზემო-სვანეთში—1, ოზურგეთში—3, აფხაზეთში—3, აჭარისტანში—3, სამხრეთ-ოსეთში—3, სულ 49 კოლონა.

გეგმის მიხედვით მუშა-საქონლის კოლონებში ჩაბმული უნდა იქნეს 980 ხარი და 280 ცხენი. აქედან 20 თებერვლისათვის შეძენილია და გადაეგზავნა ადგილებს: ახალქალაქის მაზრას—60 ხარი, კახეთის ოლქს—160 ხარი, ქუთაისის ოლქს—276 ხარი და 32 ცხენი, სენაკის მაზრას—40 ხარი და 24 ცხენი, ზუგდიდის მაზრას—40 ხარი და 32 ცხენი, თბილისის ოლქს—70 ხარი, აჭარისტანს—80 ხარი, გორის ოლქს 180 ხარი, ზემო-სვანეთს—40 ხარი, ოზურგეთის მაზრას—32 ცხენი, ახალციხის მაზრას—73 ცხენი; სულ გადაეგზავნილია 949 ხარი და 193 ცხენი.

გამქირავებელი პუნქტები

მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების გამქირავებელ პუნქტების ინვენტარის ნაწილი გადადის კოლმეურნეობების განკარგულებაში, ნაწილი კი ეძლევა ცხენ-ხარების კოლონებს.

იმ რაიონებში კი, სადაც ტარდება მთლიანი კოლექტივიზაცია, გამქირავებელი პუნქტები გადადის სას.-სამ. კოოპერაციის რაიონული კავშირების განკარგულებაში.

საქონლის საკვების დამზადება

რაიონები მთლიანად უზრუნველყოფილი არიან საკვების საჭირო რაოდენობით. საკვების დასამზადებლად „სოფლის კავშირს“ გადაცემული აქვს 100.000 მანეთი. ამ თანხიდან შეძენილია და გადაეგზავნა ადგილებზე 33.900 ფუთი თივა, 16.200 ფ. ბზე და 16.200 ფუთი ჩალა; სულ საქონლის საკვების დამზადებაზე ჯერ-ჯერობით „სოფლის კავშირი“-ს მიერ დახარჯულია 57,389 მანეთი.

ამას გარდა, ფურაჟის დასამზადებლად ადგილებს მიეცა ახალქალაქის მაზრას—3.795 მ., ზემო-სვანეთს—1.218 მან. და თბილისის ოლქს —25.000 მან.

უპასუხისმგებლობის რეკორდი

გაზაფხულის სასოფლო- სამეურნეო კამპანიის ნაყოფიერად ჩატარება დიდად არის დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მომარაგებაზე და მის დროულად განაწილებაზე. ეს განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს ეხლა, როცა სამეურნეო იარაღ-მანქანები საკმარისი რაოდენობით არა გვაქვს.

სამწუხაროდ ეს მდგომარეობა ვერ შეუგნია კახეთის ოლქის კოოპერატიულ ორგანოების ზოგიერთ მესვეურს. ამ უკანასკნელთა მხრივ ადგილი აქვს აღმაშფოთებელ დაუდევრობას იარაღ-მანქანების მიწოდების დარგში.

მაგალითად, კახეთის ოლქის სამიწადმოქმედო განყოფილების შეკვეთით 18 იანვარს სადგურ მელაანში მიიღეს სასოფლო- სამეურნეო იარაღ-მანქანები (დუბლიკატი № 15230). აღნიშნული იარაღ-მანქანები დღესაც სადგურის ეზოში ყრია და არავის უზრუნვია მის გამოსყიდვაზე.

იმავე სადგურ მელაანში იანვრის დამლევს მიღებულ იქნა იარაღ-მანქანების მეორე პარტია არაშენდის სას.-სამ. კოოპერაციის სახელზე ეს მანქანები დღემდე არ არის გამოსყიდული.

გარდა ამისა, სადგურ გურჯაანში იანვრის ბოლო რიცხვებში მიღებულია თბილისიდან მუშა-საქონლის და ტრაქტორების გუთნები, რომელიც დღემდე არ არის გადაგზავნილი დანიშნულებისამებრ.

მთელ რიგ რაიონებში და სოფლებში ხვნა ვერ დაუწყიათ იმიტომ, რომ ელოდებიან გუთნებს, მანქანებს და ტრაქტორების სათადარიგო ნაწილებს, რომელიც გურჯაან-მელაანის სადგურებზე უპატრონოდ ყრია. არც სადგურის უფროსები იღებენ ზომებს მიღებული იარაღ-მანქანების შეკვეთისამებრ ჩასაბარებლად.

ასე უწყობენ ხელს კახეთის ოლქის კოოპერატიული და სამიწადმოქმედო ორგანოების მუშაკები და რკინის-გზის ბიუროკრატები გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიას.

ჩვენ მოვითხოვთ ამ საქმის დაუყოვნებლივ გამორკვევას და დამნაშავეთა სასტიკ პასუხისგებაში მიცემას.

ა. გ.

კოლმეურნეობათა ქსელის მდგომარეობა 1-ლ მარტისათვის

საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრის ცნობით, 1 მარტისათვის საქართველოში ირიცხებოდა 2.816 კოლმეურნეობა, რომლებშიაც გაერთიანებული იყო 288.589 მეურნეობა (ყველა მეურნეობათა 68,7 პროც.) და 752.889 ჰექტარი მიწა (მთელი ფართობის 60,2 პროც.). აქედან კახეთის ოლქში ირიცხებოდა 260 კოლმეურნეობა 51.236 კომლით (მეურნეობათა 87 პროც.) და 171.000 ჰექტარი მიწით (ფართობის 84 პროც.); ქუთაისის ოლქში — 500 კოლმეურნეობა 101.167 კომლით (მეურნეობათა 79 პროც.) და 167.945 ჰექტარი მიწით (ფართობის 70 პროც.); ოზურგეთის მაზრაში — 320 კოლმეურნეობა 16.020 კომლით (მეურნეობათა 70 პროც.) და 61.320 ჰექტარი მიწით (ფართობის 45,4 პროც.); გორის ოლქში — 419 კოლმეურნეობა 32.337 კომლით (მეურნეობათა 82 პროც.) და 110.250 ჰექტარი მიწით (ფართობის 79 პროც.); თბილისის ოლქში — 400 კოლმეურნეობა 37.107 კომლით (მეურნეობათა 82 პროც.) და 110.250 ჰექტარი მიწით (ფართობის 49,8 პროც.); სენაკის მაზრაში — 278 კოლმეურნეობა 15.161 კომლით (მეურნეობათა 54 პროც.) და 29.007 ჰექტარი მიწით (ფართობის 51 პროც.); სამხრეთ ოსეთში — 107 კოლმეურნეობა 13.251 კომლით (მეურნეობათა 90,8 პროც.) და 19.309 ჰექტარი მიწით (ფართობის 75,4 პროც.); ზუგდიდის მაზრაში — 124 კოლმეურნეობა 8.689 კომლით (მეურნეობათა 30 პროც.) და 18.910 ჰექტარი მიწით (ფართობის 26,8 პროც.); ახალქალაქის მაზრაში — 57 კოლმეურნეობა 5.217 კომლით (მეურნეობათა 34 პროც.) და 21.200 ჰექტარი მიწით (ფართობის 25 პროც.); ახალციხის მაზრაში — 55 კოლმეურნეობა 3.374 კომლით (მეურნეობათა 25 პროც.) და 7.300 ჰექტარი მიწით (ფართობის 15,8 პროც.); აჭარისტანში — 75 კოლმეურნეობა 1.486 კომლით (მეურნეობათა 11,2 პროც.) და 1.092 ჰექტარი მიწით (ფართობის 6 პროც.); აფხაზეთში — 161 კოლმეურნეობა 3.494 კომლით (მეურნეობათა 9,8 პროც.) და 7.225 ჰექტარი მიწით (ფართობის 9,7 პროც.).

300 აგრონომი კოლმეურნეობებს

კოლმეურნეობების სათანადოთ მომზადებულ და უმაღლეს ცოდნით აღჭურვილ სპეციალისტებით უზრუნველყოფის მიზნით განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა: სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან ვადაზე ადრე გამოუშვას 300 აგრონომი, რომლებიც გაგზავნილი იქნებიან კოლმეურნეობათა ცენტრის განკარგულებაში.

გამოშვება იწარმოებს ორ ვადაში—15 აპრილსა და 15 მაისისათვის. ყოველ ვადაში გამოშვებული იქნება არა ნაკლებ 150 კაცისა.

მეოთხე კურსმსმენელთა და 8 სემესტრ დასრულებულთათვის სასოფლო-სამ. ინსტიტუტში გაუქმებულია სახელმწიფო გამოცდები და სადიპლომო შრომა.

საკურსო საგნების ჩაბარებისა და სათანადო პრაქტიკულ ვარჯიშობათა შესრულების შემდეგ მეოთხე კურსმსმენელებს და 8 სემესტრდასრულებულებს მიეცემათ მოწმობა ინსტიტუტის დამთავრების შესახებ.

აღნიშნული კატეგორიიდან იმ პირთ, რომელნიც თავის სპეციალობაზე მუშაობენ, ხოლო დარჩენილი აქვთ ჩასაბარებელი საგნები, ყოველ ცალკე შემთხვევაში დაენიშნებათ განსაზღვრული ვადა დარჩენილ საგნების ჩასაბარებლად. იმ პირთ, რომლებიც მუშაობენ არა სპეციალობის მიხედვით, ან არ მსახურობენ, დაენიშნათ ვადა ა.-წ. 15 მაისამდე. თუ ეს უკანასკნელნი ამ ვადამდე არ ჩააბარებენ გამოცდებს, მათ წაერთმევათ საგნების ჩაბარებისა და დიპლომის მიღების უფლება.

წინადადება მიეცა სას.-სამ. ინსტიტუტს სასწრაფოდ წარადგინოს განსახკომში აღნიშნულ კატეგორიის სტუდენტების სია.

ყველა კუთხეებიდან

გარე-კახეთში დამთავრდა 3 ტრაქტორის შეკეთება. ტრაქტორები შეუდგებიან მუშაობას გეგმის მიხედვით. სოფ. კაკაბეთში მოიხნება 270 ჰექტარი, მანავში—250 ჰექტ., მალხაზოვკაში—94 ჰექტ., გომბორში—200 ჰექტ., ბოჭორმაში—32 ჰექტ. და საგარეჯოში 395 ჰექტარი. მოკლე ხანში მოეწყობა ხარ-კამეჩის კოლონა 500 გუთნით. ა.

—:—

გუბის თემში გაზაფხულის თესვის კამპანია დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მიმაგრებულმა ამხანაგებმა ჩაატარეს სათანადო მუშაობა. თესვის საკითხები დამუშავებულ იქნა უჯრედის და ღარიბ ჯგუფთა კრებებზე. გლეხობამ გამოაქვს დადგენილება მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლის შესახებ .

ნ. მ.

—:—

სოფ. ფარცხანაყანევი (ქუთ. ოლქი) მეტად ჩამორჩენილი სოფელი იყო კოლექტივიზაციის ფრონტზე. აქ არ სწარმოებდა სათანადო წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა. მაგრამ სოფელზე შეფობა აიღო ქუთაისის მესამე ქართულ მსროლელ ლეგიონმა, რომელმაც სოფლად გაგზავნა თავისი ძალები. ჩატარდა დიდი მუშაობა, რის შედეგად სოფელი მოითხოვს მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლას.

ვ. ხ.

—:—

მედსანშრომის მუშ. ოზურგეთის სამაზ. კავშირმა შეფობა აიღო სილაურის თემის მთლიან კოლექტივზე. შეგროვილია ფული მანქანების შესაძენათ. დაიწყო სამედიცინო პუნქტის მოწყობა. კვირაში ერთხელ, კავშირის ხარჯზე, ექიმი ივლის სოფლად. გაგზავნილია მოძრავი აფთიაქი საჭირო მედიკამენტებით. ოზურგეთის საავადმყოფოში კოლექტივისათვის უფასოთ გამოყოფილია ერთი საწოლი. ქ. უ.

—:—

ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობს 3 ტრაქტორი. ტრაქტორები დაზიანების გამო, ხშირად გაჩერებულია, ვინაიდან მათ ხელში უგდებენ უცოდინარ პირებს. დაზიანებული ტრაქტორების შეკეთება ჭიანურდება, რის გამო მუშაობა ფერხდება. თებერვლის გეგმით საბჭოთა მეურნეობას უნდა დაემუშავებია 150 ჰექტარი მიწა, ხოლო დამუშავებულია 80 ჰექტარი. ამის მიზეზია მუშების საბინაო და კვების პირობების მოუწესრიგებლობა. ამ გარემოებას დირექციამ დროზე ვერ მიაქცია ყურადღება, რის გამო თებერვლის გეგმა ჩაიშალა. უ.

—:—

სოფ. წილკანში მოსახლეობს 400 კომლი. სოფელს აქვს საუკეთესო სახნავ-სათესი მიწა, მაგრამ იგი გამოუყენებელი რჩება დაქსაქსულობის გამო. ეს სოფელი სახ. პოლიტსამმართველოს შეფობის ქვეშ იმყოფება. შეფმა სოფლად მიავლინა თავისი მუშაკი კოლექტივიზაციის სახელმძღვანელოდ. მშრომელი გლეხობის საერთო კრებამ გამოიტანა დადგენილება მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლის შესახებ. ჩამოყალიბდა კოლექტივი, არჩეულია გამგეობა, საბჭო და სარევიზიო კომისია. ანკარა.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება *)

კოლმეურნეობათა ცენტრის მიერ მიღებული საბოლოო ტექსტი, რომელიც მოიწონა საბჭოთა კავშირის მიწსახკომმა და დაამტკიცეს საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ და საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა

I. მიზნები და ამოცანები

1. . . . . ოლქის . . . რაიონის . . . . . . სოფლების მოჯამაგირეები, ღარიბი გლეხები და საშუალო გლეხები ნებაყოფლობით ერთდებიან სასოფლო- სამეურნეო არტელში, რათა წარმოების საერთო საშუალებებითა და საერთო მოწესრიგებული შრომით შექმნან მსხვილი კოლექტიური მეურნეობა და, ამგვარად, უზრუნველჰყონ ნამდვილი და სრული გამარჯვება კულაკზე, ყველა ექსპლოატატორებზე და მშრომელთა მტრებზე, ნამდვილი და სრული გამარჯვება სიღარიბეზე, უმეცრებაზე და ერთპიროვნული მეურნეობის ჩამორჩენილობაზე, შექმნან შრომის მაღალი ნაყოფიერება და კოლექტიური მეურნეობის საქონლიანობა.

II. მიწის შესახებ

2. ისპობა ყველა მიჯნები, რომლებიც ერთმანეთისაგან ჰყოფენ არტელის წევრთა ხვედრ მიწებს და ერთიანდება ყველა სახნავი მიწები მთლიან მასივად, რომელიც იმყოფება არტელის კოლექტიურ სარგებლობაში.

ყველა სახმარი მიწების სრული განსაზოგადოების დროს ერთპიროვნულ სარგებლობაში რჩება კარ-მიდამოსთან მდებარე მიწები (ბოსტნები, ბაღები და სხვ.), ხოლო იქ, სადაც ეს საჭიროა, არტელის გამგეობის გადაწყვეტილებითა და საზოგადო კრების დასტურით იცვლება კარ-მიდამოს მიწების რაოდენობა.

3. არტელის მიწების მთლიანი მასივი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შემცირდეს. აკრძალულია არტელიდან გამოსული წევრებისათვის მიწის მიცემა არტელის მიწის ფართობიდან. არტელიდან გამოსულებს შეუძლიათ მიწა მიიღონ მხოლოდ სახელმწიფო ფონდის თავისუფალი მიწებიდან.

III. წარმოების საშუალებათა შესახებ

4. განსაზოგადოება ხდება: მთელი მუშა-საქონლისა და სასოფლო- სამეურნეო ინვენტარისა; მთელი ბაზარზე გასატანი სურსათ-სანოვაგის მიმცემი პირუტყვისა; მთელი თესლეულის მარაგისა; საკვებისა, იმ რაოდენობით, რომელიც საჭიროა განსაზოგადოებული პირუტყვის სარჩენად; სამეურნეო ნაგებობათა, რომლებიც საჭიროა საარტელო მეურნეობის გასაძლიერებლად; ყველა გადამმუშავებელ საწარმოთა. არტელის წევრთა საცხოვრებელი შენობების განსაზოგადოება არ ხდება.

სასოფლო- სამეურნეო ინვენტარის განსაზოგადოების დროს არტელის წევრთა პირად სარგებლობაში რჩება წვრილი სასოფლო- სამეურნეო ინვენტარი, რომელიც საჭიროა კარ-მიდამოსთან მდებარე მიწებზე სამუშაოდ.

განსაზოგადოებული მუშა-საქონლიდან არტელის გამგეობა, თუ საჭირო იქნება, გამოჰყოფს ცხენების მინიმალურად აუცილებელ რაოდენობას არტელის წევრთა პირად საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ცალძროხიან მეურნეობებში საწველი საქონლის განსაზოგადოება არ ხდება.

მრავალძროხიან მეურნეობებში პირად სარგებლობაში რჩება ერთი ძროხა, დარჩენილი ძროხების განსაზოგადოება ხდება. სანაშენოების განსაზოგადოება აუცილებლად ხდება. განსაზოგადოებული მეწველი პირუტყვისაგან იქმნება სასაქონლო- საარტელო მეურნეობა.

განსაზოგადოება წვრილფეხა პირუტყვისა, ე. ი. ღორებისა და ცხვრებისა, ხდება განვითარებული სამრეწველო წვრილფეხა პირუტყვის მესაქონლეობის რაიონებში. არტელის წევრებს რჩებათ წვრილფეხა პირუტყვის განსაზღვრული რაოდენობა, რომელსაც არტელი გაარკვევს. წვრილფეხა პირუტყვის არასამრეწველო რაიონებში ღორებისა და ცხვრების განსაზოგადოება არ ხდება. შინაური ფრინველის განსაზოგადოება არა ხდება.

ინდივიდუალურ მფლობელობაში წვრილფეხა საქონლისა და ფრინველის დატოვებასთან ერთად კოლმეურნეობანი აწყობენ სამრეწველო განსაზოგადოებულ წვრილფეხა პირუტყვის მესაქონლეობას და მეფრინველეობას.

მოუსავლიანობისა და საკვების ნაკლებობისაგან დასაზღვევად არტელთან იქმნება თესლისა და საკვების ხელუხლებელი ფონდები.

IV. არტელის მოქმედება

5. არტელის გამგეობა და ყველა წევრები მოვალენი არიან:

ა) გაადიდონ დასათესი ფართობი არტელის განკარგულებაში მყოფი ყველა მიწების გამოყენების, მიტოვებული მიწების დამუშავების გაუმჯობესების და შინასამეურნეო მიწადმოწყობის ჩატარების გზით.

ბ) მთლიანად გამოიყენონ, საზოგადოებრივ საფუძველზე, მთელი არსებული გამწევი ძალა, მთელი ინვენტარი, ყველა ტრაქტორები, ყველა მანქანები, თესლეული და წარმოების სხვა საშუალებები; მექანიზაციაქმნილ მეურნეობაზე თანდათან გადასვლის მიზნით შეიძინონ საკუთარი და ნისესხები სახსრებით ტრაქტორები და წარმოების სხვა საშუალებები;

გ) მოაგვარონ ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის სწორი გამოყენების და მოვლის საქმე და შეეცადონ, რომ კოლექტიურ მეურნეობაში პირუტყვი და ინვენტარი უკეთეს მდგომარეობაში იყოს, ვიდრე ინდივიდუალურ მეურნეობაში;

დ) გააუმჯობესონ სახნავი მიწები და საბალახოები და ჩაატარონ მოსავლიანობის გადიდებისათვის საჭირო აგრიკულტურული ღონისძიებანი;

ე) ჩაატარონ ისეთი ზოოტეხნიკური და ვეტერინარული ღონისძიებები, რომლებიც საჭიროა სასაქონლო მეპირუტყვეობის და მეფრინველეობის გადიდებისა და გაუმჯობესებისათვის;

ვ) განავითარონ სასოფლო- სამეურნეო წარმოების ყველა დანარჩენი დარგები ადგილობრივი ბუნებრივი პირობების მიხედვით და შინამრეწველობა ——რაიონის პირობების შესაფერად;

ზ) მოაწყონ, საზოგადოებრივ საფუძველზე, სამეურნეო და საზოგადოებრივი შენობების და დამხმარე დაწესებულებების მშენებლობა.

ჱ) გაადიდონ არტელის წევრთა კულტურულ- პოლიტიკური დონე;

თ) ყველა ხელმისაწვდომი ღონისძიებებით გააუმჯობესონ არტელის წევრთა და განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების საყოფაცხოვრებო პირობები.

V. წევრობის შესახებ

6. არტელის წევრად მიღებას აწარმოებს გამგეობა, რომელსაც ახლად მიღებულ წევრთა სია დასამტკიცებლად შეაქვს უახლოეს საერთო კრებაზე. მუდმივად არტელის გარეშე მომუშავე მუშათა პირადი გამოცხადება სავალდებულო არ არის.

7. არტელის წევრად შესვლა შეუძლია ყველა მშრომელს, რომელსაც შესრულებული აქვს 16 წლის ასაკი.

არტელში არ მიიღებიან კულაკები და ყველა ის პირები, რომლებსაც წართმეული აქვთ საარჩევნო უფლებები. გამონაკლისი ამ წესიდან დაიშვება იმ ოჯახთა წევრებისათვის, რომელთა შემადგენლობაში არიან საბჭოთა ხელისუფლების საქმის ერთგული წითელი პარტიზანები, წითელარმიელები, წითელფლოტელები (უბრალო წითელარმიელები და წითელფლოტელები და მეთაურთა შემადგენლობა), სოფლის მასწავლებლები და მასწავლებელი ქალები, იმ პირობით, თუ ისინი თავდებობას გაუწევენ თავიანთი ოჯახის წევრებს.

ის მეურნეობანი, რომელნიც კოლმეურნეობაში შესვლის წინ ხოცავენ ან ჰყიდიან თავიანთ პირუტყვს, ლიკვიდაციას უშვებიან ინვენტარს და ბოროტი განზრახვით ხარჯავენ თესლს, არტელში არ მიიღებიან.

VI. არტელის სახსრები

8. არტელში შემავალმა ყოველმა წევრმა უნდა შეიტანოს შესასვლელი გამოსაღები ფულად; შესასვლელი გამოსაღები უნდა შეადგენდეს ორიდან ათამდე პროცენტს მთელი იმ, როგორც განსაზოგადოებული, ისე განუსაზოგადოებელი, ქონების ღირებულებისას, რომელიც მის წილად მოდის კომლში, გარდა საოჯახო და პირადი სარგებლობის ნივთებისა.

იმ შემთხვევაში, როდესაც არტელში შემავალი პირის შემოსავლის ძირითად წყაროს სამუშაო ხელფასი წარმოადგენს (აგრონომები, მასწავლებლები, მიწათმომწყობნი, არტელის რაიონში მყოფ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მოსამსახურენი), გამოსაღების სიდიდეს თვითეულ შემთხვევაში განსაზღვრავს გამგეობა, მაგრამ გამოსაღები არ შეიძლება აღემატებოდეს წლიური ჯამაგირის 10 პროცენტს.

მოჯამაგირეებისათვის წესდება შესასვლელი გამოსაღები არა უმეტეს 5 მანეთისა.

იმ მუშებს, რომელნიც მუდმივად მუშაობენ კოლმეურნეობის გარედ, გარდა წესდებით გათვალისწინებული შესასვლელი გამოსაღების ანარიცხისა — ქონების ღირებულების 2-დან 10-მდე პროცენტისა,— ერთდროულად შეაქვთ წლიური ხელფასის 3 პროცენტი.

შენიშვნა: შესასვლელი გამოსაღების გარდა არტელი არ მოითხოვს არტელის წევრ მუშისაგან რაიმე დამატებით ანარიცხს სამუშაო ხელფასიდან.

გამგეობას შეუძლია ნება დართოს წევრს გაიხადოს შესასვლელი გამოსაღები ნაწილ-ნაწილ, მხოლოდ იმ წესით და იმ ვადით, რომელსაც კოლმეურნეობათა კავშირი განსაზღვრავს. შესასვლელი გამოსაღები ჩაირიცხება არტელის განუყოფელ ფონდში.

9. არტელის წევრთა განსაზოგადოებული ქონების (მუშა-პირუტყვის და სურსათ-სანოვაგის მიმცემი პირუტყვის, ინვენტარის, სამეურნეო შენობების და სხვ.) ღირებულების ერთი მეოთხედიდან ნახევრამდე ჩაირიცხება არტელის განუყოფელ ფონდში, ამასთან განუყოფელ კაპიტალში მით უფრო მეტი პროცენტი გადაირიცხება, რაც უფრო მძლავრია მეურნეობა. ქონების დანარჩენი ნაწილი ჩაირიცხება არტელის წევრის საპაიო გამოსაღებში.

10. არტელის შემადგენლობიდან გამოსულ წევრს გამგეობა ანგარიშს უსწორებს და უბრუნებს მას საპაიო გამოსაღებს, ამასთან არტელიდან გამოსულს მიწა შეიძლება მიეცეს მხოლოდ არტელის მიწის ფართობის ფარგლებს გარედ. ანგარიშის გასწორება, როგორც წესი, ხდება სამეურნეო წლის დამთავრების შემდეგ.

11. სამეურნეო წლის დამთავრების შემდეგ მიღებული შემოსავლით არტელი ფარავს სამეურნეო და მეურნეობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აგრეთვე შრომის უნარმოკლებულთა შესანახად საჭირო ხარჯებს, აწარმოებს გადარიცხვას განუყოფელ და საზოგადოებრივ ფონდებში (10-დან 30 პროცენტამდე განუყოფელ ფონდში, 5-დან 15 პროცენტამდე სხვა საზოგადოებრივ ფონდებში) და ასწორებს ანგარიშებს შრომის ასანაზღაურებლად.

VII. შრომის ორგანიზაცია და შრომის ანაზღაურება

12. არტელის მეურნეობაში მთელ მუშაობას აწარმოებენ მისი წევრები თავიანთი პირადი შრომით, საზოგადო კრების მიერ მიღებული შინაგანი განწესრიგების წესების თანახმად. სასოფლო-სამეურნეო მუშაობისათვის დაქირავება შეიძლება მხოლოდ იმ პირებისა, რომლებსაც სპეციალური ცოდნა და მომზადება აქვთ (აგრონომები, ინჟენრები, ტეხნიკოსები და სხვ.)

დროებითი მუშების დაქირავება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც არტელის წევრები, მათი სრული დატვირთვის გამო დროზე ვერ შეასრულებენ სასწრაფო სამუშაოს; დროებითი მუშების დაქირავება შეიძლება აგრეთვე საამშენებლო სამუშაოთა შესასრულებლად.

13. არტელში სამუშაოებს ანაწილებს გამგეობა, შინაგანი განწესრიგების წესების თანახმად. არტელის არცერთ წევრს არ შეუძლია უარი სთქვას მისთვის დაკისრებულ სამუშაოზე.

14. არტელის წევრების შრომის სწორი ორგანიზაციის მიზნით შემოღებული უნდა იყოს გამომუშავებისა და შეფასების ნორმები სხვადასხვა სახის სამუშაოთა მიხედვით, უნდა ხდებოდეს სამუშაოს რაოდენობისა და ხარისხის აღნუსხვა და შემოღებული უნდა იყოს შრომის სანარდო ანაზღაურება და საგანაკვეთო სისტემა.

15. არტელის წევრთა შრომის ანაზღაურება ხდება შემდეგი წესით: სამეურნეო წლის განმავლობაში არტელის წევრთა სასურსათო და სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ავანსად (ნატურით ან ფულად) გაიცემა არა უმეტეს 30 პროცენტისა იმ თანხიდან, რომელიც მათ მუშაობისათვის ერგებათ. სამეურნეო წლის დამლევს ხდება საბოლოო ანგარიშის გასწორება შრომის ასანაზღაურებლად.

შენიშვნა: იმ თანხებიდან, რასაც არტელის წევრები გარესამუშაოში აიღებენ, ხდება გადარიცხვა არტელის საზოგადოებრივ ფონდებში დაწყებული აღებულ თანხის 3 პროცენტიდან, მაგრამ არა უმეტეს 10 პროცენტისა; ანარიცხის რაოდენობას ამ ფარგლებში აწესებს არტელი ან კოლმეურნეობათა გაერთიანება.

16. არტელი სამეურნეო დახმარებას უწევს შრომის უნარმოკლებულ წევრებს, აგრეთვე იმ წევრებს, რომლებმაც შრომის უნარი დროებით დაჰკარგეს. ამ დახმარების პირობებსა და რაოდენობას განსაზღვრავს გამგეობა და ადასტურებს საერთო კრება არტელის სამეურნეო შესაძლებლობათა მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს საშუალო ხელფასისა.

VIII. ზეგავლენის ზომები

17. არტელის ყველა წევრები კისრულობენ ვალდებულებას დაემორჩილონ წესდების მოთხოვნებს და საერთო კრებისა და გამგეობის დადგენილებებს, დაიცვან შინაგანი განწესრიგების წესები, მუყაითად შეასრულონ გამგეობის მიერ დაკისრებული მუშაობა და საზოგადოებრივი მოვალეობანი.

განსაზოგადოებულ ინვენტარისა და პირუტყვისადმი უყაირათო და გულგრილ მოპყრობას არტელი მიიჩნევს კოლექტივიზაციის საქმის ღალატად, მტრისათვის ე. ი. კულაკისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევად.

თუ არტელის რომელიმე წევრი გამოიჩენს ასეთ უყაირათო და გულგრილ დამოკიდებულებას განსაზოგადოებულ ქონებისადმი, თუ მას არ ექნება საპატიო მიზეზი და იგი სამუშაოზე არ გავა ან სხვა მხრით დაარღვევს დისციპლინას—დამნაშავე გამგეობის მიერ დასჯილი იქნება შინაგანი განწესრიგების წესების თანახმად (მაგალითად, საყვედურის გამოცხადება, გაფრთხილება, დროებით მოხსნა სამუშაოდან, ჯარიმა და სხვ.). გაუსწორებელი წევრების შესახებ არტელის გამგეობა სვამს საერთო კრების წინაშე საკითხს, რომ ისინი გარიცხულ იქნან არტელის შემადგენლობიდან.

IX. არტელის საქმეთა მმართველობა

18. არტელის საქმეებს განაგებს წევრთა საერთო კრება და გამგეობა, თუ არტელის წევრთა სიმრავლისა და სოფლების გაფანტულობის გამო საზოგადო კრების მოწვევას წინ ეღობება დაბრკოლება, საერთო კრების მაგიერობას რწმუნებულთა კრება სწევს. რწმუნებულთა კრების წევრებს ირჩევს არტელის წევრთა კრება კოლმეურნეობის ცალკე სოფლების მიხედვით.

19. საერთო კრება (ან რწმუნებულთა კრება) წარმოადგენს არტელის მმართველობის უმაღლეს ორგანოს, იგი სწყვეტს არტელის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ირჩევს გამგეობას და სარევიზიო კომისიას და ამტკიცებს მათი მუშაობის ინსტრუქციას.

საერთო კრება (ან რწმუნებულთა კრება) კანონიერია თუ მას დაესწრო წევრთა მთელი რაოდენობის ნახევარზე არა ნაკლები. საერთო კრების (ან რწმუნებულთა კრების) გადაწყვეტილებათა მიღება ხდება ხმის უმრავლესობით და ღია კენჭის ყრით.

20. არტელის გამგეობას ერთი წლით ირჩევენ. იგი არტელის აღმასრულებელი ორგანოა და განაგებს მის ყველა საქმეებს. გამგეობა თავის წევრებს შორის ანაწილებს მოვალეობებს არტელის მეურნეობისა და წარმოებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, გამგეობის სათანადო წევრებს სრულ პასუხისმგებლობას აკისრებს მათთვის დავალებული საქმისათვის და აძლევს მათ სამისოდ საჭირო უფლებებს.

გამგეობა მოვალეა ანგარიშები აწარმოოს იმ ფორმებისა და წესების მიხედვით, რომლებიც შემოღებული აქვს კოლმეურნეობათა სისტემას.

21. სარევიზიო კომისია ამოწმებს გამგეობის საქმიანობას, კერძოდ—წესდების დაცვას, საწარმოო გეგმის, ხელშეკრულებათა და სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, რევიზიას უკეთებს სალაროებს, ქონებას, საბუთებს და ანგარიშწარმოებას, დასკვნას იძლევა წლიური ანგარიშების მიხედვით და თავის მოქმედების შესახებ ანგარიშს აბარებს საერთო კრებას (ან რწმუნებულთა კრებას).

X. ურთიერთ დამოკიდებულება კოლმეურნეობრივ სისტემასთან

22. არტელის წევრად შედის. . . . კოლმეურნეობრივ გაერთიანებაში და თავის მუშაობას აწარმოებს მისი უშუალო ხელმძღვანელობით.

თავისი საწარმოო გეგმის საფუძველზე არტელი... კოლმეურნეობრივ გაერთიანებასთან ხელშეკრულებას სდებს კონტრაქტაციის შესახებ; ეს ხელშეკრულება შეიცავს არტელის ვალდებულებას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და სახელმწიფოსა და კოოპერაციისათვის მთელი საბაზრო პროდუქციის გეგმიანად ჩაბარების შესახებ; იგი შეიცავს აგრეთვე კოლმეურნეობრივი გაერთიანებისა და სხვა სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანოების შემდეგ ვალდებულებას: მიაწოდონ არტელს საწარმოო საშუალებანი და მოხმარების საგნები და მოაწესრიგონ საკრედიტო და აგროტეხნიკური დახმარება არტელისათვის.

---

*) ვბეჭდავთ რა ამ უაღრესად მნიშვნელოვან დოკუმენტს—სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებას—ჩვენ დავიწყებთ გაზეთის უახლოესი ნომრიდან მთელი რიგი წერილებისა და საქართველოს მიწსახკომის და კოლმეურნეობათა ცენტრის პრაქტიკულ მითითებათა გამოქვეყნებას, რომლებიც შეეხებიან საქართველოს სინამდვილეში ზემოხსენებული წესდების შეფარდებისა და მისი ურყევად გატარების წესს.

რედაქცია.

ხუთწლიანი გეგმა—ოთხ წელიწადში

ს. ს. რ. კ. ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს

დადგენილება

სახ. სესხის „ხუთწლედი—ოთხ წელიწადში“ შესახებ

მუშათა მასების მიერ წამოყენებული ლოზუნგი „ხუთწლედი—ოთხ წელიწადში“ და სოციალისტური მშენებლობის ის ძლიერი გაქანება, რომლის ტემპებიც საგრძნობლად აღემატებიან ს. ს. რ. კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულ ტემპებს, სვამენ საკითხს—გაძლიერდეს სახსრების მობილიზაცია სახელმწიფო გრძელვადიანი კრედიტის წესით.

სიმრავლე და პირობების მხრივ სხვადასხვაობა სესხებისა, რომლებიც უამრავ მუშებსა და გლეხებს აქვთ შეძენილი, აძნელებს სესხების მფლობელთათვის სამსახურის გაწევას და აძვირებს ს. ს. რ. კავშირის სახელმწიფო კრედიტის ღირებულებას. ეს იწვევს გამოშვებულ მასიურ სესხების გაერთიანების საჭიროებას.

ამის გამო ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გამოშვებულ იქნას ახალი სახელმწიფო სესხი სახელწოდებით „ხუთწლედი—ოთხ წელიწადში“, ეს სესხი უნდა იყოს ს. ს. რ. კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის მიხედვით წარმოებული სოციალისტური მშენებლობისათვის ფინანსების მიმწოდებელი მთლიანი სესხი. იგი უნდა გასაღდეს 1930-31 და 1931-32 წლების განმავლობაში.

2. ს. ს. რ. კავშირის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის 1-ლი, მე-2 და მე-3 სახელმწიფო მომგებიანი სესხების და გლეხური მეურნეობის განმტკიცების სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ყველა ობლიგაციები უნდა გადაიცვალოს ახალი სესხის „ხუთწლედი—ოთხ წელიწადში“-ს ობლიგაციებზე.

3. ინდუსტრიალიზაციის სესხების და გლეხური მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციების გადაცვლა „ხუთწლედი—ოთხ წელიწადში“-ს სესხის ობლიგაციებზე უნდა დამთავრდეს 1931 წლის 1-ლ იანვრამდე. ახალი სესხის ობლიგაციებზე გადაუცვლელი ობლიგაციების მფლობელები ამ ვადამდე უზრუნველყოფილნი იქნებიან ყველა იმ შემოსავლით (პროცენტებით და მოგებით), რომლებიც გათვალისწინებულია ამ სესხების გამოშვების გამო გამოცემულ კანონებში.

4. სესხის „ხუთწლედი—ოთხ წელიწადში“-ს პირობებს აწესებენ ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს ცალკე დადგენილებანი.

დაევალოს ს. ს. რ. კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატს—ისეთი ვარაუდით აწარმოოს ამ სესხის მოსამზადებელი მუშაობა, რომ მისი გამოშვება შეიძლებოდეს 1930 წლის 1 აგვისტოზე არა უგვიანეს.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე

მ. კალინინი.

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ა. ი. რიკოვი.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. ენუქიძე.

მოსკოვი, კრემლი, 1930 წ. 21 თებერვალი.

ს. ს. რ. კ. ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს

დადგენილება

ს. ს. რ. კავშირის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის 1-ლი, მე-2, მე-3 სესხების და გლეხური მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციების გადაცვლის წესის შესახებ „ხუთწლედი-ოთხ წელიწადში“ სესხის ობლიგაციებზე.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 21 თებერვლის იმ დადგენილებასთან შეფარდებით, რომელიც შეეხება სახელმწიფო სესხს „ხუთწლედი — ოთხ წელიწადში“, ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ს. ს. რ. კავშირის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის 1-ლი, მე-2 და მე-3 სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხების და გლეხური მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციები უნდა გადაიცვალოს სახელმწიფო სესხის „ხუთწლედი — ოთხ წელიწადში“ ობლიგაციებზე. ეს გადაცვლა უნდა დაიწყოს აღნიშნული სესხის გამოშვების დღიდან და უნდა დამთავრდეს 1931 წლის 1-ლ იანვრამდე.

2. 1931 წლის 1 იანვრამდე ინდუსტრიალიზაციის სესხების და გლეხური მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციების მოგებათა ტირაჟი და პროცენტების დარიცხვა ხდება იმ კანონების თანახმად, რომლებიც ამ სესხების გამოცემას შეეხებიან.

1931 წლის 1-ლ იანვრიდან გამოსაცვლელ ობლიგაციებზე ისპობა პროცენტების დარიცხვა, აგრეთვე მოგებათა ტირაჟი.

3. ინდუსტრიალიზაციის 1-ლი, მე-2 და მე-3 სესხების და გლეხური მეურნეობის განმტკიცების სესხის მოგებათა ტირაჟები, რომლებიც უნდა მომხდარიყო სესხის „ხუთწლედი — ოთხ წელიწადში“ გამოშვებიდან 1931 წლის პირველ იანვრამდე, იწარმოებენ სესხის „ხუთწლედი — ოთხ წელიწადში“ მოგებათა იმ ტირაჟებთან ერთად, რომლებიც იმავე ხნის განმავლობაში მოხდებიან.

4. ინდუსტრიალიზაციის სესხების და გლეხური მეურნეობის განმტკიცების სესხის ის ობლიგაციები, რომლებიც 1931 წლის 1-ლ იანვრამდე არ იქნებიან გამოცვლილნი, 1934 წლის 1-ლ იანვრამდე მიიღებიან ნომინალურ ფასად იმ სახელმწიფო სესხების ობლიგაციების შეძენის დროს, რომელთა ხასიაც ადგენს ს. ს. რ. კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი. 1934 წლის 1-ლ იანვრის შემდეგ ინდუსტრიალიზაციის სესხებს და გლეხური მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციები გაუქმდებიან.

5. ისპობა გლეხური მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციების მიღება მთლიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადის და სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესატანების ანგარიშში.

6. ინდუსტრიალიზაციის სესხების და გლეხური მეურნეობის განმტკიცების სესხის იმ ობლიგაციების პატრონთ, რომლებიც საკრედიტო დაწესებულებებში და სახელმწიფო შემნახველ სალაროებშია დაგირავებული, შეუძლიათ გამოისყიდონ თავიანთი ობლიგაციები, რისთვისაც მათ ნაღდი ფულით უნდა დაფარონ მიღებული სესხი.

ამ სესხების დაგირავებული ობლიგაციები, რომლებსაც არ გამოისყიდიან მფლობელნი, გადაცვლილი იქნებიან „ხუთწლედი — ოთხ წელიწადში“-ს სესხის ობლიგაციებზე ისეთი თანხის რაოდენობით, რომელიც დავალიანებას აღემატება.

სესხი გასტუმრებულად ჩაითვლება, თუ საკრედიტო დაწესებულებები და სახელმწიფო შემნახველი სალაროები დაიჭერენ დაგირავებულ ობლიგაციებს იმ თანხის რაოდენობით, რომელიც მათ ეკუთვნით გაცემული სესხის მიხედვით.

7. ამ წესების განსავითარებლად ინსტრუქციას გამოსცემს ს. ს. რ. კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი.

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ა. ი. რიკოვი.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. ენუქიძე.

მოსკოვი, კრემლი, 1930 წლის 22 თებერვალი.

განმარტებითი კამპანია

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატი შეუდგა განმარტებითი კამპანიის ჩატარებას ახალი სესხის: „ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში“ შესახებ. ფინსახკომებსა და საკრედიტო დაწესებულებებს წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ შეუდგენ კამპანიას. ამ მიზნით გამოყენებულ უნდა იქნას მუშა-მოსამსახურეთა ყოველგვარი საერთო კრებები და სასოფლო ყრილობები. საკრედიტო დაწესებულებები მოიწვევენ მათზე მიმაგრებულ წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებს და ჩაატარებენ მოხსენებებს სესხების ახალი წესების შესახებ.

მომხსენებლები

ფინანსთა სახ. კომისარიატის წინადადებით საკრედიტო დაწესებულებებმა გამოყვეს მომხსენებელთა კადრები, რომლებსაც მიეცათ სათანადო ინსტრუქციები. იმ კოლექტივებში, სადაც დაზოგვის ერთთვიურის კამპანია ჯერ კიდევ არ ჩატარებულა, ეს ორი კამპანია ერთად ჩატარდება. მომხსენებლები გამოყვანილ უნდა იქნან ფინანსთა სახ. კომისარიატიდან და საკრედიტო დაწესებულებებიდან.

სესხის რეალიზაცია სეზონურ და დროებით მუშებს შორის

ფინანსთა სახ. კომისარიატი შეუდგა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის რეალიზაციას სეზონურ და დროებით მუშათა შორის. რეალიზაცია ჩატარდება იმ მუშა-მოსამსახურეთა შორისაც, რომლებსაც რაიმე მიზეზის გამო არ ჰქონდათ სესხზე ხელი მოწერილი ან ძირითად ხელფასის გარდა აქვთ რაიმე დამატებითი ხელფასი. რეალიზაციის ძირითადი ლოზუნგია „ხელფასის მეთორმეტედი ნაწილი სესხს“.

ვემზადოთ მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღისათვის

საქ. კ. პ. (ბ) ყველა საოლქო, სამაზრო და რაიონულ კომიტეტებს

ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღე—8 მარტი მიმდინარე წელს ჩატარებული იქნება სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგების გადამწყვეტი წარმატებების პირობებში, იმ დროს, როდესაც უაღრესად გამწვავებულია წინააღმდეგობა საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის, როდესაც გამწვავებულია კაპიტალიზმის კრიზისი, რაც მოასწავებს სტაბილიზაციის დაშლის და საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციონური ბრძოლის აღმავლობის დასაწყისს.

8 მარტი მიმდინარე წელს ხვდება ქალთა საერთაშორისო დღის დაწესების 20 წლის თავს და ეს დღე ჩატარებული იქნება, როგორც მასიური პოლიტიკური კამპანია მშრომელ ქალთა მასების საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცების, კომუნისტური პარტიის ირგვლივ პროლეტარ ქალთა ყველა რევოლუციონური ძალების დარაზმვის, მათი ფაქტიური განთავისუფლებისა და კლასობრივი აღზრდის სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ტემპების გაძლიერების, საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების და სოციალიზმის მშენებლობაში ქალთა მასების ჩაბმის ნიშან ქვეშ.

8 მარტს მუშა, მოჯამაგირე, ღარიბ და საშუალო გლეხ-ქალთა მასიურ კრებებზე საჭიროა გაშუქებულ იქნას პარტიის შემდეგი ძირითადი ამოცანები:

1. მუშა ქალის როლი სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებაში და იმ ბრძოლაში, რომლის მიზანსაც შეადგენს წარმოების რაციონალიზაცია და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, შრომის დისციპლინის განმტკიცება, სოციალისტური შეჯიბრების გაშლა, დამკვრელ ბრიგადებში მუშა ქალთა ჩაბმა, 7 საათის სამუშაო დღისა და განუწყვეტელი წარმოების გატარება.

2. სოფლის წინსვლა მსხვილი კოლექტიური მეურნეობისაკენ და მოჯამაგირე, ღარიბ და საშუალო გლეხ-ქალთა ჩაბმა კოლმეურნეობათა მშენებლობაში, ხოლო მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში—ბრძოლაში კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე. მშრომელ ქალთა მასების აქტიურად ჩაბმა 1930 წლის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებაში და მათი საწარმოო კოოპერაციაში გაერთიანება.

3. ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო განმტკიცების ახალი ამოცანები და ქალის როლი ამიერ-კავკასიის ფედერაციის ხალხების ინტერნაციონალური დაახლოვების საქმეში.

4. უფრო შეგნებული და ერთგული მუშა ქალების, მოჯამაგირე ქალების და კოლმეურნეობათა წევრი ქალების მოზიდვა პარტიაში, მათი ჩაბმა საბჭოების გადარჩევის კამპანიაში და დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე საბჭოებში, კოოპერაციაში, კოლმეურნეობებში და სხვ.

5. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, მშრომელ ქალთა მასების კულტურული დონის ამაღლება, სპეციალისტ ქალთა კადრის მომზადება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის.

6. ბრძოლა ყოფა-ცხოვრების დრომოჭმულ ნაშთებთან ეროვნულ უმცირესობის ქალთა შორის (რელიგია, ქალის მოტაცება, ჩადრის ტარება და სხვ.), ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, ჩამორჩენილობასთან, უკულტურობასთან, ყოფა-ცხოვრების სოციალისტურად გარდაქმნისათვის.

ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღის წარმატებით ჩატარების მიზნით საჭიროა:

1. ფართოდ გაიშალოს აგიტაცია 8 მარტის ლოზუნგების ირგვლივ.

2. დღესასწაულის ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ პარტიულმა, კომკავშირულმა, პროფკავშირულმა, კოოპერატიულმა და სხვა ორგანიზაციებმა.

3. დღესასწაულის ცენტრად უნდა გახდეს ქალაქში—მსხვილი საწარმოები, სოფლად—კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. 6, 7, 8 მარტს უნდა მოეწყოს მოხსენებები და საუბრები საწარმოებში, კლუბებში, კულტკუთხეებში, სოფლის სამკითხველოებში, სკოლებში, დაწესებულებებში.

4. შემოწმებულ იქნას პარტიული, პროფესიონალური, კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობის შედეგები ქალთა კადრების მომზადების, ხელმძღვანელ სამუშაოზე ქალთა დაწინაურების, ქალთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების და ამ მიმართულებით შემდგომი მუშაობის გზების დასახვის საქმეში. გარდა იმისა, რომ მოწყობილ უნდა იქნას საანგარიშო მოხსენებები საწარმოებსა და სოფლებში, საჭიროა გამოიყოს ქალთა სპეციალური ბრიგადები, საბჭოთა, სამეურნეო და პროფესიონალური ორგანიზაციების მუშაობის შესამოწმებლად ქალთა შორის მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. ბრიგადებში შევლენ მოჯამაგირე, ღარიბი გლეხი ქალები დელეგატთა რიცხვიდან, ქალების საბჭოთა, კოოპერატიულ და პროფესიონალურ აქტივიდან.

5. 8 მარტი უნდა გადაიქცეს აგრეთვე ქალთა დასვენებისა და რაციონალური გართობის დღესასწაულად. დღესასწაულის სანახაობათა ნაწილში უნდა გაიმართოს წარმოდგენები, მხატვრული საღამოები, პოპულიარული ხალხური სიმღერები, ცეკვა-თამაში, მასიური თამაშობანი და სხვ.

6. პერიოდულმა პრესამ ფართოდ უნდა გააშუქოს ქალთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობა, სოციალისტურ შეჯიბრებაში მშრომელ ქალთა ჩაბმის, მათი დაწინაურების და მათი წრიდან კადრების მომზადების შედეგები. საწარმოებმა, დაწესებულებებმა, სკოლებმა, სოფლის სამკითხველოებმა უნდა გამოუშვან კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი, მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო დღისათვის.

7. 8 მარტისათვის უნდა მოხდეს არსებულ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა (საბავშო ბაგები, საბავშო ბაღები, მოედნები, საზოგადოებრივი სასადილოები, საყოფაცხოვრებო კომუნები და სხვ.) გაუმჯობესება და ახალ დაწესებულებათა გახსნა და პრაქტიკული ზომების მიღება შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და ახალი კომუნისტური ყოფა-ცხოვრების დამკვიდრების მიზნით.

8. პარტიულმა, კომკავშირულმა, საბჭოთა, პროფესიონალურმა, კოოპერატიულმა და სხვა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარების და კოლმეურნეობათა მშენებლობაში მოჯამაგირე, ღარიბ და საშუალო გლეხ-ქალთა ჩაბმის ამოცანებს, კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის, ბავშვთა აღზრდის და ახალი ყოფა-ცხოვრების დამკვიდრების ამოცანებს.

9. საქართველოს და ავტონომიური რესპუბლიკების ცაკებთან, საოლქო, სამაზრო და სარაიონო აღმასკომებთან უნდა მოეწყოს სპეციალური კომისიები 8 მარტის დღის ჩასატარებლად. ამ კომისიებში უნდა შევიდნენ პარტკომების, აღმასკომების, ა. ლ. კომკავშირის, პროფკავშირების, კოოპერაციის და თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების წარმომადგენელნი.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

თათბირი ჩაის საბჭოთა მეურნეობების მუშაობის შესახებ

(„საქართველოს ჩაი“)

თათბირის მესამე სხდომაზე მოსმენილ მოხსენებებიდან და კამათიდან გამოირკვა, რომ ჩაის საბჭოთა მეურნეობების მოწყობას წინ არ უსწრებდა ნიადაგის, ტრანსპორტის და სხვა მნიშვნელოვან პირობათა შესწავლა, საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო გეგმების შესრულებას განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის საჭირო გზების უქონლობა, რის გამოც მეტად გაძნელებულია მეურნეობებში სამშენებლო მასალის მიზიდვა. საბჭოთა მეურნეობებს არ მოეპოვებათ გამომუშავების გარკვეული ნორმები, ურომლისოდაც მუშა-ძალის გამოყენება ვერ არის სათანადო დონეზე დაყენებული. მიწის დამუშავების მექანიზაციამ სპეციალისტებსა და პროფესორებს შორის გამოიწვია აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა. დამტკიცებულია, რომ პრიმიტიული წესით და ტრაქტორით მოხნული მიწები ერთი მეორეს არ შეეფარდებიან. პროფესორი ტიმოფეევი გამოუსადეგრად მიაჩნია ამ რაიონისათვის ტრაქტორი, ვინაიდან ტრაქტორი ხნავს მხოლოდ 7-8 ვერშოკის სიღრმეზე, მაშინ, როდესაც ხელით შეიძლება ათი ვერშოკის სიღრმეზე დახვნა. პროფესორი ამირაჯიბი მაინცდამაინც საჭიროდ არა სთვლის ნიადაგის ღრმად მოხვნას და საკმარისად მიაჩნია ტრაქტორის ხნულის სიღრმე.

ხვნის მექანიზაციასთან დაკავშირებით განხილულ იქნა აგრეთვე, თუ როგორ ფერდობებზე შეიძლება ტრაქტორის მუშაობა. ზოგიერთი ამხანაგი შესაძლოთ სცნობს ხუთგრადუსიან დაქანებაზე ტრაქტორით მოხნას, ნაწილს კი შესაძლოთ მიაჩნია ტრაქტორის 15 გრადუსიან დაქანებაზე მუშაობა. დასასრულ მოსმენილ იქნა ამხ. სუვაკის საინფორმაციო მოხსენება ჩაის მეურნეობებისათვის საჭირო მასალების მიწოდების პერსპექტივების შესახებ.

მეოთხე სხდომაზე თათბირმა განიხილა საბჭოთა მეურნეობების დირექტორების და ტრაქტორებზე მომუშავე პერსონალის ურთიერთობის საკითხი. გამოითქვა აზრი, რომ ტრაქტორებზე მომუშავე პერსონალი მთლიანად დაექვემდებაროს საბჭოთა მეურნეობის დირექტორს და შემცირებულ იქნას მეურნეობის ცალკე სამშენებლო განყოფილებების უფლებები სატრაქტორო კოლონაზე.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა შრომის ორგანიზაციის საკითხს. ამხ. ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ჩაის საბჭოთა მეურნეობებში შრომის ორგანიზაცია ატარებს ველური ხასიათს. მეურნეობათა ხელმძღვანელები არ ითვალისწინებენ შრომის ორგანიზაციის მნიშვნელობას, ურომლისოდაც შეუძლებელია რაციონალიზაციის, საწარმოო თათბირების, თვითღირებულების შემცირების, ხრონომეტრაჟის ორგანიზაციის და სხვ. მოწესრიგება. ზოგიერთი ამხანაგები შეუძლებლად სცნობენ შრომის ორგანიზაციას კოლმეურნეობებში ამჟამად, როდესაც გეგმიანი დავალებები აჭარბებენ ყოველგვარ ნორმებსა და შესაძლებლობებს. განსაკუთრებით მწვავედ დადგა საკითხი „საქართველოს ჩაი“-ს და „საქ. სამრეწვმშენი“-ს (ყოფილი „სამშენი“) ურთიერთობის შესახებ. ხსენებულ ორგანიზაციასთან „საქართველოს ჩაის“ დადებული აქვს გენერალური ხელშეკრულება კაპიტალურ ნაგებობათა შესახებ. თათბირზე გამოირკვა, რომ „საქ. სამრეწვმშენი“ მეტად გულგრილად და ჩინოვნიკურად ეპყრობა თავის ვალდებულებებს, რაც „საქართველოს ჩაის“ საამშენებლო გეგმას ჩაშლას უქადის. „საქართველოს ჩაის“ გამგეობის მოხსენებიდან ირკვევა, რომ „საქ. სამრეწვმშენს“ თავის დროზე მიუღია საკმაო თანხა ავანსის სახით; მაგრამ სამუშაო არ შეუსრულებია და უსარგებლია იმ გარემოებით, რომ სამუშაოთა განრიგებებში შემთხვევით ნაჩვენები არ ყოფილა სამუშაოთა შესრულების ვადები. „საქ. სამრეწვმშენის“ წარმომადგენლის განმარტებიდან გამოირკვა, რომ ეს ორგანიზაცია მთავარ ყურადღებას აქცევს საქმის ფორმალურ მხარეს, ყოველგვარ ხერხს მიმართავს თავის ვიწრო ინტერესების დასაცავად და არავითარ ანგარიშს არ უწევს საერთო სახელმწიფოებრივ მიზნებსა და ამოცანებს.

დასასრულ ამხ. კვირკველიამ ჯამი გაუკეთა მოხსენების გარშემო გამართულ კამათს და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ზოგიერთ ამხანაგს შეუძლებლად მიაჩნია ჩაის თესვის გეგმის მთლიანად შესრულება. ამხ. კვირკველიამ მოუწოდა საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთ უკუაგდონ ყოველგვარი შიში, შეიგნონ მთელი თავისი პასუხისმგებლობა, მოახდინონ მობილიზაცია მთელი ცოცხალი ძალების და ჩაის კულტურის მიმდინარე წლის საკონტროლო ციფრები შეასრულონ გადაჭარბებით.

ჯანმრთელობის დაცვის საკითხი სამხრეთ-ოსეთში

ამას წინად საქ. ჯანმრთელობის კომისარიატმა მოაწყო ფსიქო-ნევროლოგიური ექსპედიცია სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში. ექსპედიციის უშუალო დავალებას შეადგენდა აღნიშნული ოლქის მოსახლეობის შესწავლა ფსიქო-პათოლოგიის მხრივ და გარდა ამისა, მოსახლეობაში სპეციალური პროფილაქტიური მუშაობის ჩატარება.

ადგილობრივ მუშაობის შედეგად, ექსპედიციამ შეკრიბა მეტად საინტერესო და საგულისხმო მასალები სპეციალ საკითხების ირგვლივ.

ამ წერილში ჩვენ გვსურს გაკვრით შევეხოთ ოლქში მუშაობის შედეგად მიღებულ ზოგად შთაბეჭდილებებს და ამასთანავე ერთად შეძლებისდაგვარად გავაშუქოთ მოსახლეობის ჯანმრთელობის ზოგიერთი მხარეები.

სამხრეთ-ოსეთი სიმდიდრის მხრივ, საქართველოს სხვა მთაგორიან ადგილებს არაფრით ჩამოუვარდება. თვალუწვდენელი მთების ფერდობები უხვადაა შემოსილი ტყეებით. ყოველ ნაბიჯზე მოიპოვებს ყინულივით ცივი, მინერალური წყაროები. ბუნების სიმდიდრეთა წიაღს აგვირგვინებს სასიამოვნო მთის ჰავა და მზე.

მიუხედავად ბუნებრივი პირობების ასეთი ხელშემწყობისა სამხრეთ-ოსეთის მოსახლეობა თითქმის მთლიანად დაავადებულია სხვადასხვა სომატიური ხასიათის ავადმყოფობებით. ტუბერკულოზის ჩხირებს სწორედ აქ უპოვიათ მეტად ხელშემწყობ ასპარეზი თავის მოქმედებისათვის. მუშაობის წარმოებისას ჩვენს მიერ თითქმის ყველა თემში ნახულ იქნა ჭლექის ინფექციით დაავადებულთა შემთხვევები. ტუბერკულოზი გვხვდებოდა უმთავრესად სამი სახეობის: ძვლის, ფილტვების და ჯირკვლების.

აღნიშნული ინფექციის სახეობანი ერთგვარ კანონიერებას ემორჩილებოდა. მაგალითად, მთიან ადგილებში (კუდარო, როკა) ჩვენ უმთავრესად საქმე გვქონდა ძვლის ტუბერკულიოზთან; ნახევრად მთიან მიდამოებში (ჯავა) პრიორიტეტს ღებულობდა ფილტვების ფორმა. რაც შეეხება ჯირკვლოვან ფორმას, მისი გავრცელების უმთავრესი ასპარეზი იყო ვაკე ადგილები (ოკონა, ცხინვალი, ყორნისი). არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ აღნიშნული ოლქის მომავალი თაობა თითქმის მთელი ასი პროცენტით შეპყრობილია კეთილთვისებიანი ჭლექის ინფექციით, რომელიც სკროფულოზათაა წოდებული (სურავანდი, სკროფულოზ).

რა არის ამის მიზეზი? პასუხი შედარებით ადვილი გასაცემია: მოსახლეობას ჯერ-ჯერობით არა აქვს შეგნებულ-შეთვისებული უბრალო ელემენტარული ჰიგიენურ - სანიტარული მოთხოვნილებანი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საცხოვრებელი ბინები, რომელთა უმრავლესობა სინესტითაა გაჟღენთილი და მოკლებულია ფანჯრებს, სიბნელითაა მოცული და მზის სხივები ვერასოდეს ვერ აღწევენ ოსის საცხოვრებელ ოთახის შიგნით. ამასთან ერთად მოსახლეობის უმრავლესობა, განსაკუთრებით ღარიბი მოსახლეობა ვერ იკვებება წესიერად, იწევა მეტად მძიმე შრომას და ამავე დროს მაინც და მაინც არ გაურბის ალკოჰოლს. ყოველივე ეს ჰქმნის საუკეთესო ნიადაგს, რომელშიაც მეტად ადვილად იმყოფება კოხის ჩხირები. მიუხედავად ჭლექის ასეთი ფართო გავრცელებისა, სამხრეთ-ოსეთში არ არსებობს არც ერთი ტუბდისპანსერი, რომლის წესიერი მუშაობა, ჩვენი ღრმა რწმენით, შესძლებს გამოგლიჯოს საკვდილის კლანჭებს მრავალი, ამჟამად განწირული ღარიბი მოსახლეობის პატიოსანი მშრომელი.

ალიათურ მდგომარეობას ალბად მიაქცევს სათანადო ყურადღებას, როგორც ოსეთის ჯანსახკომი, აგრეთვე საქართველოს ჯანმრთელობის კომისარიატი.

შედარებით ხშირია ოსეთის სინამდვილეში კუჭ-ნაწლავის სნეულებანი. აღნიშნულ ხასიათის სნეულებებიდან განსაკუთრებით ხშირად გვხვდებოდა კუჭის მჟავე კატარები, ქრონიკული კოლიტები და არც ისე იშვიათად კუჭის წყლულებიც. ამ სნეულებათა გამომწვევი მიზეზი უმთავრესად მდგომარეობს საკვები მასალის არა რაციონალურად მიღებაში ერთის მხრივ და, მეორეს მხრივ, თვით საკვებ მასალის ნაკლებად კეთილთვისებიანობა მატარებლობაში.

მალარიის გავრცელება ოლქში შედარებით მცირეა; იგი არსებობს უმთავრესად ვაკე მიდამოებში (ჯავა, ვანათი, ოკონა, ყორნისი).

ვენერიულ სნეულებებიდან აღსანიშნავია განსაკუთრებით ათაშანგი. ეს სნეულება, თუმცა ოსეთში არაა დიდად გავრცელებული, მაგრამ ჩვენ თითქმის ყოველ თემში, ზოგში უფრო მეტად (ახალგორი, ყორნისი, ოკონა) ზოგში უფრო ნაკლებად შევნიშნეთ ეს სნეულება. ოლქში საკმაოდ გავრცელებულია აგრეთვე ექიმბაშ-მარჩიელობა.

ალკოჰოლიზმი სამხრეთ-ოსეთში ატარებს შემთხვევით თრობის ხასიათს. იგი უმთავრესად დაკავშირებულია დღეობებთან.

სულით ავადმყოფებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ბნედა (ეპილეფსია) და თანდაყოლილი გონების ნაკლებობა. სულით ავადმყოფობის პროცენტი ნორმის ფარგლებს აღემატება.

თვალის სნეულებებიდან შედარებით ხშირად გვხვდება ლორწოვანი გარსის ანთება (კონიუქტივიტი), კატარაქტები.

ამავე წერილში ორიოდე სიტყვით უნდა შევეხო თვალის ერთ-ერთ სნეულებას, რომელსაც სახელად ტრახომას უწოდებენ. ეს სნეულება ჩვენში ნაკლებადაა გავრცელებული. იგი ხასიათდება თავისი ქრონიკული მიმდინარეობით, შედარებით ადვილი გადამდებობით და, დასასრულ, თუ დროზე არ იქნა აღმოჩენილი სამკურნალო დახმარება, იწვევს სიბრმავეს.

პირადათ ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი იყო, როდესაც ჩვენ ექსპედიციურ მუშაობის ჩატარებისას უეცრად წავაწყდით ამ საშინელ სნეულების საკმაოდ ცოცხალ კერას (კუდაროს თემი), აღნიშნულ თემში პირადი ჩვენი დაკვირვებით და გარდა ამისა ადგილობრივი საკურნ. პერსონალის დადასტურებით დაავადებულია თემის მოსახლეობის 76 პროც. (3.000 სული). მიუხედავად ამ სნეულების ასეთი გავრცელებისა, არავითარი სამკურნალო-პროფილაქტიური ღონისძიებები არაა მიღებული. ამ ყოვლად დაუშვებელ მოვლენებს სათანადო ორგანოებმა უნდა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება და სპეციალური ტრახომატოზულ იზოლაატორის დაარსებით ერთხელ და სამუდამოთ უნდა აღმოფხვრან ეს დაუნდობელი სენი.

როგორც აღვნიშნეთ ზემო ოსეთი ძალზე მდიდარია მინერალურ წყაროებით. ამ მხრივ აღსანიშნავია წყაროები როკის, ჩესელთის, კუდაროსი და განსაკუთრებით კი ჯავის. თემში ამჟამად სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა. იგი აღიარებულია კურორტად. 1929 წ. ზაფხულში აღნიშნულ მინერალურ წყლის ირგვლივ მუშაობდა სპეციალური სამეცნიერო აკადემიიდან მოვლინებული ექსპედიცია აკადემიკოს სლავიანოვის ხელმძღვანელობით. ჯავის წყალი მჟავო ბიკარბონატული ხასიათისაა და მას სპეციალისტები დიდ მომავალს უქადიან.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ-ოსეთს ამჟამად ახასიათებს განსაკუთრებით გაცხოველებული აღმშენებლობითი ტემპი. ფართოვდება ქალაქი ცხინვალი, შენდება ბევრი ახალი შენობები. ამ მხრივ მიღწევანი აღინიშნება აგრეთვე ჯანმრთელობის ხაზით, მაგალითად ვანათის, ოკონის და ყორნისის თემებში აგებულია სამაგალითო საექიმო პუნქტები. თვით ცხინვალში განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ადგილობრ. საჩვენებელი საავადმყოფო. მუშაობა აღნიშნულ საავადმყოფოში სწარმოებს მეტად გამოცდილ და მომზადებულ მკურნალების ხელმძღვანელობით, თანახმად სამკურნალო მეცნიერების უკანასკნელი მიღწევებისა.

სამხრეთ-ოსეთი ამჟამად იჭრელება გზატკეცილებით. გაჰყავთ გზატკეცილები კავკასიონისაკენ (როკა), რაჭისაკენ (კუდარო). ყოველ თემში არსებობს კოოპერატივი, კლუბი, წითელი სასადილო, რადიო. გაცხოველებული ტემპით სწარმოებს აგრეთვე საზოგადოებრივი ხასიათის მუშაობა.

ექ. ირ. მენთეშაშვილი.

ვისწავლოთ

ხის მასალის მიზანშეწონილად გამოყენება

სატყეო მრეწველობის დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მით უმეტეს, რომ ასეთი დანაკარგების რაოდენობა ფრიად დიდია. საქართველოს მთიანი და უსწორმასწორო რელიეფის გამო, ყოველი მოჭრილი ხის 40—50 პროცენტი (ხის წვერი, ტოტები, ტყავი და წიწვი, რასაც ძვირფასი მასალის მიცემა შეუძლია), უსარგებლოდ იკარგება. ამასთანავე ხე-ტყის ნედლეულს ქარხნებიც არარაციონალურად იყენებენ. ქარხნები ნედლეულს იყენებენ მხოლოდ 60-68 პროცენტით. დანარჩენი ნაწილი კი (სხვადასხვა ზომის ნაჭრები, წვრიმალი ნაგვერდალები, ნახერხი, ნაფოტი, ბურბუშელა), ან იწვება, ან იგი გააქვთ ქარხნის ფარგლებს გარეთ და იყრება ქარხნის მახლობლად, რაც უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს ხანძრის გაჩენის მხრით.

თუ ამიერ-კავკასიის მოჭრილი ტყის წლიურ რაოდენობას 2.000.000 კუბიკურ მეტრს ვივარაუდებთ, ტყეში უსარგებლოდ მიტოვებული ნარჩენის რაოდენობა მინიმუმი იქნება 500—600 კუბიკური მეტრი. ქარხნებში კი იკარგება 150.000 კუბიკურ მეტრამდე. ეს დანაკარგი ფულზე გადატანით მინიმალურად უდრის 5.000.000 მანეთს (თუ ტყეში დატოვებული ნარჩენის კუბიკური მეტრის ფასს 5 მანეთს, ხოლო ქარხნის ნარჩენის კუბიკური მეტრის ფასს 15 მანეთს ვივარაუდებთ).

ნარჩენების გამოყენების საკითხი სატყეო მრეწველობის მუშაკებისათვის უნდა გადაიქცეს დღევანდელი დღის ყველაზე უფრო აქტუალურ ამოცანად.

ამავე წერილში ჩვენ ვფიქრობთ შევეხოთ მხოლოდ ერთ საკითხს, სახელდობრ, ბზის უძვირფასესი მერქანის დანაკარგის გამოყენებას.

ამ მერქანის დანაკარგი დიდია. ჩვენში ბზა უმთავრესად მოდის აფხაზეთში, სადაც მას სამრეწველო მნიშვნელობა აქვს. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში აფხაზეთში მოიჭრა და გატანილ იქნა 200.000 ფუთი ბზა. აქედან ნარჩენი (ძირების წვეროების და ტოტების სახით) დაგროვდა 30.000 ფუთის რაოდენობით. ბზის ყოველწლიური დამუშავება უდრის 34.000 ფუთს. თუ ვიგულისხმებთ, რომ აქედან წლიურად იკარგება 30 პროცენტამდე, რაც წონით შეადგენს 11.000 ფუთს, და ამას მივუმატებთ ძველ ნაშთს—30.000 ფუთს, აგრეთვე ბიცუნდის ბზის უბნიდან შესაძლებელი ერთდროული გატანის ნაშთს, მივიღებთ 50.000 ფუთამდე ბზის ძვირფას მერქანს, რომელიც იკარგება მისი გამოყენების არ ცოდნის გამო.

ეს მაშინ, როდესაც ამ ნედლეულის ბაზაზე ჩვენ შეგვეძლო ფრიად მნიშვნელოვანი და რენტაბელური წარმოების—ღილების დამზადების საქმის განვითარება, რაც დაასაქმებდა რამდენიმე ათეულ თავისუფალ მუშა ხელს 700—800 გროსი სხვადასხვა ღილის დამუშავებით დღეში. ეს წარმოება წლიურად მისცემდა სახელმწიფოს, ერთ მილიონამდე მანეთს. ბზიდან დამზადებული ღილების კარგი დამუშავებით და შეღებვით (სხვადასხვა ფერად) მათ შეუძლიათ საზღვარგარეთიდან შემოზიდული ღილების მაგიერობის გაწევა. ამჟამად, გარდა იმისა, რომ ბზა საზღვარგარეთ მიდის, იგზავნება მოსკოვშიც წლიურად 30-50 ვაგონის რაოდენობით და იქ მზადდება მისგან ღილები. აფხაზეთში შეიძლება მოეწყოს, როგორც ამიერ-კავკასიისათვის საჭირო მზა ღილების გამოშვება, ისე მოსკოვისათვის საჭირო ნახევარფაბრიკატების დამუშავება, რაც მოსკოვის ქარხნებს გაანთავისუფლებს ნედლეულის იმ დიდი ხარჯებისაგან, რომელიც ხმარდება ნედლეულის გადაზიდვას.

სპეციალისტების განცხადებით, ღილების ფაბრიკის გახსნა არ მოითხოვს დიდ ხარჯებს მით უმეტეს, რომ სოხუმში ყოველთვის გამოინახება ამ მიზნისათვის საჭირო თავისუფალი შენობა, ხოლო მოწყობილება შეიძლება შეგროვდეს ჩვენი კავშირის ღილის ფაბრიკებში.

ეს საქმე უტყუარია. ჩვენ ვიხსნით საუკუნეების განმავლობაში შექმნილ და ახლა დალუპვის გზაზე დამდგარ ბზის მერქანს და სამუშაოს მივსცემთ მრავალ ათეულ მუშას. ჩვენ დავზოგავთ ვალუტას და შევქმნით ძვირფას პროდუქციას.

აფხაზეთის ს. მ. უ. საბჭომ მხურვალედ უნდა მოჰკიდოს ხელი ამ საქმეს და საქართველოს და ამიერ-კავკასიის ს. მ. უ. საბჭოებმა მას უნდა აღმოუჩინონ ენერგიული დახმარება.

ნ. ბრეგვაძე.

მემინდვრეთა კავშირის დამფუძნებელი ყრილობა

ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე, 1-ლ მარტს, საღამოს, ყრილობამ განიხილა და დაამტკიცა რეზოლიუცია მოსმენილ მოხსენებების გარშემო. შემდეგ განხილულ და დამტკიცებული იქნა მემინდვრეთა კავშირის წესდება და მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმა. დასასრულ მოხდა არჩევნები.

მემინდვრეთა კავშირის გამგეობაში არჩეულ იქნენ ამხ. გ. ქურციკაშვილი, კ. გურგენიძე და პ. ბიგვავა. მემინდვრეთა კავშირის კოლმეურნეობათა სექციაში ამხ. გ. ქურციკაშვილი, ბენიაშვილი და დ. ხამადაშვილი.

სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ ქ. კალანდაძე, საფარ ჯავადოვი და ი. მენაბდე. საბჭოში არჩეულ იქნა ამხ. კ. კაკაბაძე, ალ. კაჭარავა, ბ. მეგრელიძე და სხვ. სულ 21 კაცი. არჩევნების შემდეგ ყრილობა დამთავრდა.

დეფექტები საავადმყოფოებისა და ამბულატორიების მუშაობაში

(გამოკვლევის მასალებიდან)

პროფსაბჭოსთან გამოყოფილ მუშათა ბრიგადამ მოახდინა თბილისის საავადმყოფოების, ამბულატორიებისა და აფთიაქების მუშაობის შემოწმება, პირველ მარტს, საღამოს, მუშათა ბრიგადის გამოკვლევების შესახებ მედსანშრომის მუშაკთა კავშირის ბინაზე, შესდგა თათბირი, სადაც მოწვეულნი იყვნენ მედსანშრომის მუშაკთა კავშირის ყველა ადგილკომების, ეკონომკომისიების და ცალკე საავადმყოფოებისა და ამბულატორიების წარმომადგენლები. მუშათა ბრიგადის გამოკვლევებს შესახებ თათბირზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. გ. ქომახიძე.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ თბილისის საავადმყოფოებში არ არის დაცული არც სისუფთავე და არც სხვა ის ელემენტარული პირობები, რაც საჭიროა ნორმალურად მომუშავე სამკურნალო დაწესებულებისათვის. პირველ ყოვლისა მუშათა ბრიგადამ აღნიშნა, რომ საავადმყოფოებში არ არიან მოთავსებული შესაფერის შენობებში, ავადმყოფებს ხშირად ეძლევათ უსუფთაო თეთრეული, არ არის დაცული სანიტარული პირობები თვით საავადმყოფოების განყოფილებებში და სხვ. მუშათა ბრიგადის მასალებით, ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ქალაქის პირველ საავადმყოფოში და გინეკოლოგიურ ინსტიტუტში.

პროტექციონიზმი და უბინაო „ავადმყოფები“

საავადმყოფოებში განსაკუთრებით მწვავედ სდგას საწოლების სიმცირის საკითხი. ამ მხრივ მუშათა ბრიგადამ აღმოაჩინა აღმაშფოთებელი ფაქტები. გამოირკვა, რომ ზოგიერთ საავადმყოფოებში ადგილობრივი მომუშავეების პროტექციით საწოლები ეძლევათ რიგს გარეშე ისეთ ავადმყოფებს, რომლებსაც მახლობელი ნაცნობები ყავთ ამ საავადმყოფოებში.

ყოფილ არამიანცის საავადმყოფოში ზოგიერთი ავადმყოფები მთელი წლობით რჩებიან. მაგალითად, ვინმე პეტრიაშვილს ამავე საავადმყოფოში ხუთი წელიწადია უკავია ერთი საწოლი. ასე დიდი ხნით ავადმყოფების გაჩერება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მათ ქალაქში „ბინა არა აქვთ“.

ასეთი შემთხვევები თბილისის საავადმყოფოების პრაქტიკაში საკმაოდ ბევრია.

ექიმებს შორის არავითარი საზოგადოებრივი მუშაობა არ სწარმოებს და ექიმთა მასები არც იცნობენ ისეთ მნიშვნელოვან საზოგადოებრივი მოძრაობის პრინციპებს, როგორიცაა სოციალისტური შეჯიბრების საქმე. არავითარი ხელშეკრულებები ექიმებს შორის არ არსებობს. ინდივიდუალურ სოციალისტურ შეჯიბრებაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია.

ამბულატორიების მუშაობის გამოკვლევისას ბრიგადამ აღმოაჩინა, რომ ამბულატორიის ექიმები ზედმეტად არიან დატვირთულნი და მათ არ შეუძლიათ შესაფერისი დახმარება გაუწიონ მიმსვლელ ავადმყოფს. ამბულატორიებში ექიმებისათვის დაწესებულია ოთხი საათის სამუშაო დღე. ამ ხნის განმავლობაში ექიმმა უნდა მიიღოს 45 კაცი, რომელთა ჯანმრთელობის მხოლოდ შემოწმებაც კი შეუძლებელია 4 საათში. როგორც საავადმყოფოებში, ისე ამბულატორიებშიაც სოც. შეჯიბრების საქმე ჯერ კიდევ უცნობი ხილია.

აფთიაქების მუშაობას უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული გაუმჯობესება დაეტყო. წინად აფთიაქებიდან წამლების გაცემა სწარმოებდა შეკვეთიდან სამ-ოთხი საათის გასვლის შემდეგ. ამჟამად კი დრო შემცირებულია ორ საათამდე. სოციალისტური შეჯიბრება ფარმაცევტებს შორის წარმატებით მიმდინარეობს და ფარმაცევტების ფართო მასებიც აქტიურად არიან ჩაბმულნი ამ მოძრაობაში.

თათბირის დადგენილებით მუშათა ბრიგადის აღნიშნული გამოკვლევის დროს შეკრებილი მთელი მასალა გადაეცემა პროფსაბჭოს პრეზიდიუმს სათანადო პრაქტიკული დასკვნების შესამუშავებლად.

შეუსუსტებელი ყურადღება საბჭოთა აპარატის წმენდას

გავაჯანსაღოთ ქვედა-საფეხურის საბჭოთა აპარატი

საბჭოთა ქვედა საფეხურის აპარატის მუშაობას მუდამ პარტიის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ამ ორგანოების (საბჭოები, მილიცია, სასამართლო და სხვ.) დადებით მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი და სიმტკიცე. განსაკუთრებულ მნიშვნელობას პოულობს ქვედა საფეხურის საბჭოთა აპარატი სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე გადამწყვეტ შეტევის და კოლმეურნეობის გაშლილ მშენებლობის პირობებში.

ქვედა საფეხურის აპარატი მხოლოდ მაშინ შესძლებს მის წინაშე წამოყენებულ პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ამოცანების გადაწყვეტას, თუ ის იქნება ჯანსაღი, მოქნილი და კლასიურად გამბრძოლი. ჩვენ კი ვიცით, რომ ამ მხრივ მდგომარეობა ყველგან დამაკმაყოფილებელი არაა. ქვედა საფეხურის აპარატს ახასიათებს საერთო სენი როგორიცაა ბიუროკრატიზმი, საქმის გაჭიანურება, დაუდევრობა, მშრომელთა მოთხოვნილებებისადმი და შეკითხვებისადმი უყურადღებობა და საბჭოთა კანონების და კლასიური ხაზის დამახინჯება.

ამიტომ განვითარების ეხლანდელ პირობებში მეტად მწვავედ სდგას ქვედა საფეხურის საბჭოთა აპარატის წმენდის საკითხი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წმენდისათვის **წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებას.** მოსამზადებელ მუშაობის კარგად ჩატარებაზე, მასში მშრომელთა ფართო მასების მიზიდვაზე და ჩაბმაზე თითქმის სავსებით არის დამოკიდებული წმენდის წარმატებით დასრულება. ეს თითქოს უდაო ჭეშმარიტებაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნდა გადაჭრით ითქვას, რომ **ადგილებზე ამ მიმართულებით ძალიან ცოტაა გაკეთებული.**

მთავარი ამოცანა: წმენდის მიზნების და ამოცანების ფართო პოპულიარიზაცია, თვითკრიტიკის გაღრმავება და მასების აქტივობის გამოყენება ბოროტმოქმედთა და აპარატის ნაკლოვანებათა გამოსამჟღავნებლად,—ჯერ-კიდევ შესრულებული არ არის. სოფლის მშრომელი მოსახლეობა ჯერ კიდევ ვერ ერკვევა წმენდის ამოცანებში. მან იცის ბევრი დეფექტი ჩვენი აპარატისა, იცნობს მასში მოკალათებულ ბევრ უღირს ელემენტს. მაგრამ თვითკრიტიკის ჩახშობისა თუ სხვა რაიმე მიზეზით, ეს ფაქტები სათანადო გაბედულობით არ გამოაქვს მზის სინათლეზე. ასეთ მდგომარეობას ენერგიული ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. არც ერთი საქმიანი მითითება, არც ერთი უვარგისი და მტრული ელემენტის გამომჟღავნების ფაქტი არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია **პროფკავშირების უმოქმედობა.** მათ უნდა გაეჩაღებიათ მასიური საზოგადოებრივი მუშაობა წმენდის გარშემო და აქტიურად ჩაებათ წმენდაში პროფკავშირის წევრები, მაგრამ სამწუხაროდ ეს დღემდე არ არის გაკეთებული.

ცხადია, რომ ასეთ სუსტ საზოგადოებრივ პოლიტიკურ მოსამზადებელ მუშაობას უნდა მოჰყოლოდა სუსტი ორგანიზაციულ-ტექნიკური სამზადისიც. და ეს ასეც არის.

კედლის გაზეთებში ან სრულებით არ აშუქებენ წმენდის ამოცანებს, ან კიდევ ზოგიერთ ადგილას, სადაც ეს სრულდება, ხულიგნური ელემენტები და ის პირნი, რომლებზედაც კედლის გაზეთები მამხილებელ მასალებს ათავსებენ, ხევენ კედლის გაზეთებს. ყუთები განცხადებებისათვის ბევრგან სულ არ მოიპოვება, ან ისინი ჩამოკიდებულია არათვალსაჩინო ადგილას, ისიც უწესრიგოდ, ზოგან კი გათავხედებული ელემენტები სტეხენ ყუთებს და იტაცებენ მამხილებელ მასალებს. ბევრი განცხადება უყურადღებოდ არის დატოვებული. მამხილებელთა დაშინებას, მათზე ზეგავლენის მოხდენის ცდას, განსაკუთრებით კომკავშირელების და მსუბუქ კავალერისტების მიმართ, ბევრგან აქვს ადგილი.

შემჩნეულია აგრეთვე აპარატის ხელმძღვანელთა მხრივ „თავიანთი“ დაწესებულების დეფექტებზე ობივატელურ - ბიუროკრატიულად ხელის დაფარება და მიუტევებელი მეშჩანური ლაყბობა ამა თუ იმ პირის „შეუცვლელობის“ შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია კულაკების აქტივობა წმენდისათვის სახელის გასატეხად.

დრო ძალიან ცოტა დარჩა. **ქვედა საფეხურის აპარატის წმენდა უნდა დასრულდეს მიმდინარე წლის 15 აპრილამდე.** საჭიროა ეხლავე მიღებულ იქნას გადამწყვეტი ზომები მშრომელთა ფართო მასების ჩასაბმელად წმენდის მოსამზადებელ მუშაობაში და თვით წმენდაში. საჭიროა რომ ქალაქების მსგავსად გამოყენებულ იქნას მუშათა ბრიგადების გამოცდილება აპარატის გასამარტივებლად და ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შესამცირებლად. ამ საქმეში ჩაბმულ უნდა იქნან მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხობა.

რამდენიმე დღის წინად მუშათა და გლეხთა ინსპექციაში მოწვეულ იქნა თათბირი იმ კავშირების ცენტრალურ გამგეობების, რომლის წევრებიც უმთავრესად არიან ქვედა საფეხურის აპარატში. მათ დაევალათ დაუყოვნებლივ პრაქტიკულ ღონისძიებათა დამუშავება. პროფკავშირების ადგილობრივ ორგანოებმა აქტიურად უნდა გაშალონ მუშაობა აპარატის წმენდის მომზადება-ჩატარებისთვის. საჭიროა აგრეთვე **პროკურატურის ადგილობრივ ორგანოებმა არ დასტოვონ პასუხისგების და სასტიკად დასჯის გარეშე ყველა ის, ვინც შეეცდება ხულიგნური მოქმედებით** (ყუთების გატეხა, კედლის გაზეთების დახევა, დაშინება) **ხელი შეუშალოს წმენდის ნორმალურ მსვლელობას და სახელი გაუტეხოს მას.**

უნდა ყოველმხრივ უზრუნველყოფილ იქნას კომკავშირის, მსუბუქ კავალერისტების და მუშგლეხკორთა აქტივობა.

გამოაშკარავებულ უნდა იქნას აპარატის ხელმძღვანელების ყოველი ცდა—მიაფუჩეჩონ თავიანთი დაწესებულების დეფექტები. დაუნდობლად აღმოფხვრილი უნდა იქნას ყოველგვარი წუწუნი ამა თუ იმ მომუშავის „შეუცვლელობის“ შესახებ. **დაუყოვნებლივ უნდა გაცხოველდეს მუშაობა გამოწმენდილების შემცვლელ კადრების მოსამზადებლად მოჯამაგირეებიდან, ღარიბ გლეხობიდან და ყოფილ წითელარმიელებიდან.**

პარტიულმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ სალი თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა. არა საკმაო ყურადღება წმენდისადმი არ შეიძლება გამართლებულ იქნას მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო და კოლმეურნეობების მშენებლობის კამპანიით. ამ ამოცანებს უნდა დაუკავშირდეს წმენდა. აპარატის და მისი პირადი შემადგენლობის გაჯანსაღება სწორედ ამ ამოცანების გადაწყვეტის პროცესში უნდა მოხდეს.

ა. რამიშვილი.

აპარატის წმენდის დეფექტები ქუთაისის ოლქში

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ საბჭოთა აპარატის წმენდის მოსამზადებელი მუშაობა ქუთაისის ოლქში (განსაკუთრებით რაიონებში), სუსტად მიმდინარეობდა. მუშათა ბრიგადები, რომლებსაც უნდა შეესწავლათ აპარატის მუშაობა, მთელ რიგ ადგილებში დაგვიანებით იქნა გამოყოფილი. ამასთანავე მუშათა ბრიგადების გამოყოფა საკმაო დაკვირვებით არ ხდებოდა; რომ ეს ასეა, სჩანს იქიდანაც, რომ საოლქო პროფსაბჭოს მიერ გამოყოფილ ბრიგადაში, რომელსაც უნდა შეემოწმებინა საფინ. განყოფილება, მოჰყვა ყოფ. ვაჭარი და ძილიკიანი, მიმაგრებულ ბრიგადებში კი სისხლის სამართლის დამნაშავე პირი, რომელიც 1923-24 წლებში სპირტით ვაჭრობდა ფარულად, რისთვისაც დაპატიმრებული იყო პოლიტსამმართველოს ორგანოების მიერ. პროფკავშ. სუსტ მუშაობას მიეწერება აგრეთვე ის, რომ წინასწარ არ ხდებოდა დასაწინაურებელ მუშათა შერჩევა, ახლა, უკეთეს შემთხვევაში, შერჩევა საკმაო დაკვირვებით არ ხდებოდა. პროფკავშირების მონაწილეობა საბჭოთა აპარატის წმენდის მოსამზადებელ მუშაობაში განსაკუთრებით მოისუსტებდა რაიონებში (ონის, ჭიათურის, ხონის და სხვ.). რომ წმენდის დამხმარე კომისიები საკმაოდ არ იყვნენ გარკვეული თავიანთ დანიშნულებაში (რაც აგრეთვე სუსტი ხელმძღვანელობას შედეგად უნდა ჩაითვალოს), სჩანს იქიდანაც, რომ ტყიბულის, საჩხერის, ბაღდათის და სამტრედიის რაიონებში დამხმარე კომისიები წინასწარ არ არჩევდნენ ამა თუ იმ მოსამსახურეზე შემოსულ განცხადებებს, (რადგანაც ეს უფლებების გადაჭარბებად მიაჩნიათ), ადგილი ჰქონდა დაუდევრობასაც დამხმარე კომისიების მუშაობაში.

ჯერ-ჯერობით ქუთაისის ოლქში ჩატარებული იქნა საოლქო - საფინანსო განყოფილების წმენდა. აღსანიშნავია, რომ მოხსენება საოლქო საფინანსო განყოფილების მუშაობის შესახებ მოსმენილი იქნა მხოლოდ ამ აპარატის წმენდის დაწყებისას. სხვადასხვა წარმოებებში ეს მოხსენება [illegible] ყოფილა. თვით საოლქო საფინანსო განყოფილების წმენდა ჩატარდა პარტიისა და ხელისუფლების პოლიტიკის დამახინჯებით, რაც გამოიხატება შემდეგში: ოლქფინგანის გამწმენდი კომისიის მიერ მე-2 კატ. მოხსნილი იქნა 21 თანამშრომელი და ხუთმა კი მიიღო სხვადასხვა სასჯელი (საყვედური, გაფრთხილება). ამ 21 მოხსნილთაგან საოლქო კომისიამ საპელაციო წესით აღადგინა თავის უფლებებში 7 თანამშრომელი, წაყენებულ ბრალდებების დაუმტკიცებლობის გამო, მაგრამ მთელ რიგ სხვა თანამშრომლების საქმეებიც გადათვალიერებული უნდა იქნას, რადგანაც მათ მოსახსნელად საკმაო მასალები არ მოიპოვება.

როგორც ირკვევა, ოლქფინგანში ადგილი ჰქონია ინტრიგანობას ხელმძღვანელ მუშაკთა შორის, ამიტომ მთელ რიგ თანამშრომლებზე მიწოდებული იქნა ყალბი ცნობები, რადგანაც ცალკე მომუშავეებმა მოისურვეს წმენდის გამოყენება პირადი ანგარიშების გასასწორებლად. ამას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ თანამშრომლები: ჩიქვაიძე, ანთაძე და ერგემლიძე წმენდის დროს არც გამოძახებული იყვნენ და არც დაკითხულნი. მიუხედავად ამისა ისინი შეტანილი იქნენ გამწმენდი კომისიის ოქმში, როგორც დაკითხულნი და გამოტანილია დადგენილება მათი სამუშაოდან მოხსნის შესახებ. თვით გამწმენდი კომისიის მდივანი — მაჭავარიანი თავის განცხადებაში აღნიშნავს, რომ მუხლები ჩიქვაიძის, ანთაძის და ერგემლიძის შესახებ ოქმში ჩამატებულიაო (კომისიის მდივანმა ოქმი გადასათეთრებლად გადასცა ოლქფინგანის ერთ-ერთ თანამშრომელს, მას კი (მდივანს) დაუბრუნეს თეთრი პირი და ორიგინალის შესახებ განცხადეს, რომ „დაკარგულიაო“).

აღსანიშნავია, რომ გამწმენდი კომისია მოყოლილი ყოფილა საოლქო საფინანსო განყოფილების გამგის გავლენის ქვეშ, რომელსაც კატეგორიულად მოუთხოვია 20 თანამშრომლის მოხსნა, „ასეთია დირექტივა“-ო, უთქვამს მას და ამრიგად შეცდომაში შეუყვანია გამწმენდი კომისია — სამუშაოდან მოუხსნევინებია ზოგიერთი პატიოსანი მუშაკი. ამიტომ მ. გ. ინსპექციის დადგენილებით ქუთაისის საოლქო საფინანსო განყოფილების წმენდა გაუქმებულად იქნა გამოცხადებული და იგი ხელახლა ჩატარდება.

ბ—ლ.

წმენდის შედეგები ზუგდიდის მაზრაში

ამას წინად დამთავრდა ზუგდიდის მაზრის აღმასკომის საფინანსო და სამიწათმოქმედო განყოფილებების, ჩაის საცდელ სადგურის, ხაზინის და პროფკავშირის უმუშევარ წევრთა წმენდა.

წმენდის შედეგი ასეთ სურათს იძლევა:

სარდიონ მაღლაკელიძე (სამიწგანის თანამშრომელი) მოხსნილ იქნა მეორე კატეგორიით, როგორც თანამდებობისათვის შეუფერებელი და ყოფილი ბოქაული.

ალ. დადიანი (ჩაის საცდელ სადგურის თანამშრომელი) მოხსნილ იქნა მეორე კატეგორიით, როგორც ყოფილი მემამულე და თანამდებობის შეუფერებელი.

ნინა ჭანტურია (სამიწგანის თანამშრომელი) მიეცა უკანასკნელი გაფრთხილება მთხოვნელებისადმი ბიუროკრატიული მოქცევისათვის.

კოსტა მესხი (სატყეოს თანამშრომელი) მიეცა გაფრთხილება ლოთობისათვის.

სიმონ ჭოლოხავა (უმუშევარი) — მიეკუთვნა მეორე კატეგორიას, როგორც დუქნების გამქირავებელი.

მელიტონ ხორავა (უმუშევარი) მიეკუთვნა მესამე კატეგორიას, როგორც ყოფილი ვაჭარი და ლოთი.

ერასტი ქანდარიას (უმუშევარი) უფლების გადაჭარბებისათვის აეკრძალა ადმინისტრაციულ დარგში მუშაობა.

კალ. ქარჩავა (უმუშევარი) მიეკუთვნა მეორე კატეგორიას თანამდებობის არა კეთილსინდისიერად გამოყენებისათვის.

კოწია ჩიქვლაშვილი (უმუშევარი) მიეკუთვნა მესამე კატეგორიას თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის.

ლადო ქვანია (უმუშევარი) მიეკუთვნა მეორე კატეგორიას საცხოვრებელი სახლის და ორი დუქნის გაქირავებისათვის და როგორც ყოფილი ვაჭარი.

ი. —ლი.

უმსგავსოებანი ნატახტარის სამუშაოებზე

ნატახტარის წყალსადენის სამუშაოებზე ამჟამად 900 მუშაზე მეტი მუშაობს. სათავესაბურღაო მუშაობის მწარმოებლად არის დანიშნული ინჟ. **ხიზანიშვილი,** არაგვზე ხიდის სამუშაოების მწარმოებლად ინჟ. **ნიკოგოსოვი** და დანარჩენი გვირაბების, წყალდენის, საშიკნო კამერის, კოლექტორის და სხვა სამუშაოების მუშაობის უფროსად ტექნიკოსი **ქვლივიძე.** ყველა ამათ განკარგულებაში ჰყავთ მრავალი ტექნიკოსები, ათისთავები და უფროსი მუშები. მიუხედავად ამისა, სამუშაოზე იშვიათად იმყოფებიან როგორც პირველნი, ისე მეორენი. ცხადია, ასეთ პირობებში მუშაობა წარმატებით ვერ განვითარდება.

გარდა ამისა „ნატახტკომს“ ჰყავს კონტროლიორებათ 2 ინჟენერი და 3 ტექნიკოსი. ამ უკანასკნელთა მოვალეობაა თვალყური ადევნონ მუშაობის ნორმალურ მსვლელობას, მასალა-ხელსაწყოების დროზე მომარაგებას, მუშა-ხელისა და მასალა-იარაღების მიზანშეწონილად და სავსებით გამოყენებას, აღრიცხვა-ანგარიშიანობის სწორად წარმოებას და ტექნიკურ უშიშროების დამცველ წესების შესრულებას და სხვ.

ნატახტარის სამუშაოების უფროსმა ამხ. ს. ფარნიევმა ორი მოხსენება გააკეთა შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ. ბევრი საყვედური გამოითქვა ამ მოხსენების დროს მუშებისა და უფრო მეტად ტექნიკური პერსონალის მისამართით. მოხსენების შემდეგ ერთხმად გამოვიმუშავეთ პრაქტიკული მითითებანი შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. ქუთაისის ახალ წყალსადენთან დადებულ სოც-შეჯიბრების პირველ მუხლშიაც ასე გვიწერია. მიუხედავად ამისა შრომის დისციპლინა მაინც დაბალ დონეზე დგას. მას არღვევენ უპირველეს ყოვლისა: ინჟ. **ხიზანიშვილი** იმით, რომ ის სამუშაოებზე არ იმყოფება, მეტწილად თბილისშია და უფრო თვალყურს ადევნებს საკუთარ სახლის აშენებას, ხელფასს (500 მან. თვეში) კი იღებს სრულად.

2). ინჟ. **ნიკოგოსოვი** იმით, რომ არ იღებს სათანადო ზომებს ხიდის სამუშაოების სწრაფად დასამთავრებლად. გაზაფხულზე მოსალოდნელია არაგვის ჩვეულებრივად ადიდება და ხიდის ასაშენებლად მოტანილი მასალა-იარაღებს და მოწყობილობას წაღეკვა მოელის. ნიკოგოსოვი იშვიათი სტუმარია სამუშაოებზე და მეტწილად თბილისში იმყოფება:

3). ტექნიკოსი **ქვლივიძე** იმით, რომ თვითონ დაიარება მასალა-იარაღის საშოვნელად თბილისში, იმ დროს, როდესაც მას ჰყავს სამეურ ნაწილის გამგე და მომარაგების აგენტები. ტექნიკოსები, ათისთავები და უფროსი მუშები სარგებლობენ ქვლივიძის სამუშაოებზე არყოფნით და არ აქცევენ ყურადღებას სამუშაოებს, დროს კლავენ კანტორაში ბაასობით და კლუბში ნარდის თამაშობით. „ნატახტკომის“ კონტროლიორები ყოველივე ამას ხედავენ, მაგრამ ზომებს არ ღებულობენ. დამკვრელ ბრიგადას და საწარმოო თათბირს სძინავს. მუშკომმა თუმცა ჩამოაყალიბა სხვადასხვა წრეები, მაგრამ მეცადინეობა ყველა წრეში არ სწარმოებს. სოც-შეჯიბრების შედეგების აღრიცხვას არავინ აწარმოებს. საწ. თათბ. სხდომები იშვიათად იმართება. სასადილოში და კლუბებში ხშირია ლოთობა. ბარაკებში უსუფთაობაა. ამხ. ს. ფარნიევი სიტყვით ბევრ საყვედურს უგზავნის ცუდლუტობაში შენიშნულ პირებს, მაგრამ იმაზე კი არ ზრუნავს, რომ სიტყვა საქმედ აქციოს და [illegible] სასტიკი პასუხი მოსთხოვოს. საჭიროა დამნაშავეთა სამაგალითოდ დასჯა. ეს, რაც შეიძლება, ადრე უნდა მოხდეს, თორემ ბოლოს გვიანღა იქნება თითზე კბენა.

ლართისკარელი.

ავიაქიმში

ჯარის გარეშე სწავლება

გორის ოლქში მოქალაქეთა სამხედრო მომზადება ჯარის გარეშე სწავლების წესით დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, ავიაქიმის გორის ორგანიზაცია ამზადებს 130 კაცს. გადასამზადებელ კურსებისათვის გამოძებნილია სათანადო ბინა, იარაღი და ხელსაწყოები. კურსები უზრუნველყოფილია ხელმძღვანელებით. გორში დამატებით გადამზადებული იქნება 300 კაცი.

ბორჯომისა და ხაშურის რაიონებში წინასწარი მუშაობა გადამზადებისათვის დამთავრებულია. მეცადინეობა დაიწყება ამ დღეებში.

გორის ოლქში სულ გადამზადებული იქნება 430 კაცი.

ბრძოლა მავნებლებთან

საქ. თავდაცვა-ავიაქიმი შეუდგა ინსტრუქტორების მომზადებას სოფლის მეურნეობის მავნებლებთან საბრძოლველად. კურსები ინსტრუქტორების მოსამზადებლად მოეწყობა ყოველ ოლქებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერის თეატრი

„რიგოლეტო“ მუს. ჯ. ვერდისა

2 მარტს დაიდგა ოპერა „რიგოლეტო“ ცნობილ ბარიტონის დ. გოლოვინის მონაწილეობით. გოლოვინს თბილისი იცნობს შარშანდელ სეზონიდან, ჩვენი აზრი ამ მომღერალზე თავის დროზე იქნა გამოქვეყნებული, და დღეს ჩვენ გვაინტერესებს შედარება დღევანდელ გოლოვინისა—შარშანწინდელთან და ის ცვლილებანი, რომელნიც განიცადა მის ვოკალურმა და სცენიურმა შემოქმედებამ. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ცვლილებას აქვს ადგილი და ის ატარებს დადებით სახეს. პირველყოვლისა თვით ხმაზე გოლოვინისა და ამ ხმის ტექნიკურ მოხმარებაზე; ეჭვს გარეშე, რომ ბგეროვანი მასალა გოლოვინისა, თვით ბუნების მიერ მდიდრულად შემკული, წარმოგვიდგა უფრო მტკიცე, უფრო გაშალაშინებული სახით, ვიდრე ეს იყო შარშანწინ, და ამ შემთხვევაში გოლოვინის მიღწევები, ნათლად გაისოსჭვივიან. აგრეთვე უფრო განვითარებული სტილი წარმოგვიდგა გოლოვინის მიერ თავის უზარმაზარ ხმოვან დიაპაზონის მოტრიალება და კარგის გემოვნებით გამოყენება. სრულებით არა სჩანს დაყრდნობა მხოლოდ ხმის სიმძლავრის ეფექტებზე. შთაბეჭდილება მძლავრდება უფრო იმით, რომ ხმის სიმძლავრე გოლოვინს მოხმარებული აქვს მხოლოდ ფრიად მნიშვნელოვან შემთხვევებში და ამიტომ იბადება კარგი კონტრასტი ამ სიმძლავრისა შენელებულ კანტილენასთან. ვიმეორებთ, ცხადია, რომ გოლოვინი მუშაობს, წინ მიდის და სწორედ ეს გარემოება არის უმთავრესი და საკმარისი ამ მომღერლის პოტენციის.

სხვანაირად გამოიცქირება ის სცენიური განსახიერება, რომელსაც გვაჩვენებს გოლოვინი „რიგოლეტოს“ როლში. მართალია, გოლოვინს არ აკლია მოძრაობა, ერთგვარი ინიციატივა — მაგრამ ამ მოძრაობაში არ სჩანს ნამდვილი დრამატიული ცეცხლოვნება და იბადება შთაბეჭდილება, რომ ის სინტეზი მუსიკისა და მოქმედებისა, რომელიც ჩანერგილია თვით ოპერის საფუძველში გოლოვინის მიერ გამოაშკარავებული არ არის. სულიერი განცდა, თუ ამასაც აქვს ადგილი, პირველყოვლისა მოქმედობს პირისახის მუსკულატურაზე და ამიტომ ეგრედ წოდებულ მიმიკის და გრიმის შესწავლა არ უზრუნველყოფს არც ერთ ბუნებრივ გამომეტყველებას სახისა, არც შთაბეჭდილებას მაყურებლისა ამ გამომეტყველებისაგან. ჩვენი აზრით სწორედ ეს მხარე გოლოვინის შემოქმედებისა ვერა სდგას ისეთ სიმაღლეზე, როგორიც მოეთხოვება გოლოვინის ხმის და მისი სცენიური კარიერის პატრონს. შესაძლებელია, რომ სხვა როლებში გოლოვინი ამ მხრივ გამოიცქირება უფრო მტკიცედ და ეს, რა თქმა უნდა, გამოჩნდება მომღერლის სხვა გამოსვლებში.

დიდის კმაყოფილებით ვნახეთ ახალგაზრდა დირიჟორის **გველესიანის** დაწინაურების ფაქტი. ამ საღამოს მან დაგვიმტკიცა, რომ ის ყოვლად მისაღებია ჩვენი ოპერისათვის და შეგვიძლია მივანდოთ მას შესაფერისი ადგილი ჩვენს მუსიკალურ ხელოვნებაში.

კოტე მაღვინეთ-უხუცესი.

ა.-კ. სახკომსაბჭოს სახლი

დღეს, 4 მარტს, საღ. 6 საათ. მუშ. სასახლის დიდ დარბაზში შესდგება

პროფაქტივის საერთო საქალაქო კონფერენცია,

დღის წესრიგში სდგას მოხსენება სრულიად საპროფკავშირო ორგთათბირის შედეგების შესახებ.

ყველა კავშირების ც. გამგეობის წევრების, ფაბქარხადგილკომების წევრების და პროფაქტივის დასწრება სავალდებულოა.

ს. პ. ქ. ს. პრეზიდიუმი.

ქრონიკა

მუშათა შრომის პირობების გასაუმჯობესებლად

შრომის კომისარიატმა ხელშეკრულებები დასდო სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციებთან წარმოებებში შრომის პირობების გასაუმჯობესებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების შესახებ.

ხელშეკრულებაში დაწვრილებითაა გათვალისწინებული, თუ რომელმა სამეურნეო ორგანიზაციამ რა რაოდენობის თანხა უნდა დახარჯოს მის ქვემდებარე წარმოებებში შრომის პირობების გასაუმჯობესებლად.

შრომის ბირჟის რეორგანიზაცია

შრომის სახალხო კომისარიატი შეუდგა შრომის ბირჟის რეორგანიზაციას.

ავტომატიურ ონკანების დადგმა

თბილისის წყალსადენის სამმართველომ შეიძინა და ამ დღეებში ქალაქის განაპირა უბნებში დადგამს ავტომატიურ ონკანებს ფულაბებით. ფულაბაში ნახევარ კაპეიკიანის ჩაშვებისას ონკანი გადმოღვრის ორ ვედრო წყალს. ავტომატიური ონკანების დადგმით, განაპირა უბნებში გაადვილებული იქნება წყლის მოპოვება-მიღების საქმე. დღემდე კი ონკანები ღამით დაკეტილი იყო და, თუ სპეციალურად არ მონახავდნენ დარაჯს, წყლის მიღება ისე არ შეიძლებოდა.

პირველ ხანებში ავტომატიური ონკანები დადგმული იქნება ლენინის რაიონში.

სხვადასხვა

◆ **კვალიფიციური მუშა-მშენებლების მომზადება.** მუშა-მშენებლების მოსამზადებლად გახსნილ კურსებზე ამჟამად სწავლობს 1.100 კაცი.

◆ **მთანგარიშეების მომზადება კოლმეურნეობებისათვის.** შრომის კომისარიატის ინიციატივით გახსნილია კოლმეურნეობებში გასაგზავნ მთანგარიშეების მოსამზადებელი კურსები, რომელზედაც სწავლობს 130 კაცი.

◆ **57,000 მანეთი პელაგრასთან საბრძოლველად.** საქართველოს წითელმა ჯვარმა საკავშირო ორგანოებიდან მიიღო 57.000 მანეთი საქართველოში პელაგრის სენთან ბრძოლის გასაუმჯობესებლად.

◆ დღეს, 4 მარტს, სალ. 7 საათზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში შესდგება საზეიმო სხდომა აფხაზეთის გასაბჭოების 9 წლის თავის აღსანიშნავად.

◆ **ნებაყოფლობით მომუშავე ბრიგადების წევრთა საერთო კრება.** 5 მარტს, სალ. 6 საათზე, დანიშნულია პროფსაბჭოსთან მომუშავე ნებაყოფლობითი ბრიგადების საერთო კრება. კრება შესდგება პროფსაბჭოს დიდ დარბაზში.

◆ **სას.-სამეურნეო ინსტიტუტის განცხადება.** სას.-სამეურნეო ინსტიტუტი წინადადებას აძლევს მეოთხე კურსის ყველა სტუდენტებს, 4 მარტს დილის 11 საათისათვის გამოცხადდენ ინსტიტუტში რეგისტრაციაში გასატარებლად.

◆ **საქ. მწერლების ფედერაციის სხდომა.** სამშაბათს, 4 მარტს, საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის საჯარო სხდომაზე (ხელოვნების სასახლეში) ამხ. ბესო ჟღენტი წაიკითხავს მოხსენებას „ლიტერატურული მოსკოვი და ხარკოვი“. დასაწყისი საღამოს სრულ 7 საათზე. შესვლა თავისუფალია.

ჟურნ. „ახალგაზრდა ბოლშევიკი“

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ჟურნალ „ახალგაზრდა ბოლშევიკი“-ს № 1—2. **შინაარსი:** კავშირის აქტივი და მისი ჟურნალი—**კ. ბუჩუკაშვილი**; ექვსი წელი ულენინოთ—ამხ. სტალინი, საქართველოს ოქტომბერი—**ფილიპე მახარაძე**, 12 წლის თავზე—**პ. ჩხიკვაძე**, ლენინი-პედაგოგი და ორგანიზატორი—**ნ. პაჭაძე**, ბრძოლა ორ ფრონტზე და ახალგაზრდობის საკითხი—**ა. მახათაძე**, სასამ. კავშირი და კომკავშირის ამოცანები—**ხ. ჯარსანიძე**; კულაკის როგორც კლასის, ლიკვიდაცია და ჩვენი ამოცანები—**ა. ჭარომხათიძე**. საბჭოთა მეურნეობის თეორიის მეთოდოლოგიის საკითხებისათვის—**კ. ორაგველიძე**, კულტურული რევოლუციის ზოგიერთ საკითხებზე—**ვ. ბახტაძე**, აქტივის აღზრდა და მისი თეორიტიული მომზადება—**ალ. კოჩლავაშვილი**, საქ. პიონერ-ორგანიზაციის მორიგი ამოცანები—**გრ. ქარჩავა**; „ავანგარდიზმის“ თეორიის წინააღმდეგ—**ვ. ხატიაშვილი**, ბრძოლა ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის—**დ. აბდუშელიშვილი**, ახალი ადამიანისა და ოჯახის შესახებ—**ერ. ახტვაცატუროვი**, საბავშო ლიტერატურისათვის—**ვ. ლუარსაბიძე**, გადაღრმავეთ მარქსისტული კრიტიკა—**მ. დუდუჩავა** და ბიბლიოგრაფია. ჟურნალი ეღირება ხელისმომწერთათვის 40 კაპ., არა ხელისმომწერთათვის 50 კაპ.

მიმდინარე წლის მარტში
გამოვა
ყოველთვიური პოლიტიკურ-ეკონომიური
ჟურნალი
„ბოლშევიკი“
საქ. კომპარტ. (ბ) ცენტრ. კომიტ. ორგანო.

ხელისმოწერა მიიღება:

თბილისში:

„კომუნისტი“-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთ. პრ. № 34)
ფოსტის ცენტრალურ საგაზეთო ბიუროში.
„კომუნისტი“-ს გამომცემლობის რწმუნებულებთან, რომელნიც აღჭურვილნი არიან სათანადო მოწმობებით და ქვითრებით.

პროვინციაში:

ფოსტის უწყების ყველა დაწესებულებებში.
„კომუნისტი“-ს გამომცემლობის რწმუნებულებთან, რომელნიც აღჭურვილნი არიან სათანადო მოწმობებით და რკინის გზის კიოსკებში.

ჟურნალის ფასი:

1930 წლის ბოლომდე	2 მ. 50 კ.
6 თვით	1 მ. 50 კ.
3 თვით	75 კ.
1 თვით	25 კ.

ცალკე ნომერი ყველგან **30** კაპ.
„კომუნისტი“-ს გამომცემლობა.

ჭ ა დ რ ა კ ი

თბილისის ჩემპიონატი

მეცხრე ტური

მეცხრე ტურის პარტიებიდან შეჯიბრების დამსწრეთა ყურადღებას კასპარიან-გოგლიძის შეხვედრა იპყრობს. ორივე მოწინააღმდეგე ზოგჯერ გადაჭარბებით გაბედულათ თამაშობდნენ: არც ერთი არ ერიდებოდა მდგომარეობის გამწვავებას. ინგლისურ დასაწყისიდან სვლათა გადანაცვლებით პარტია, სიცილიურ დაცვის ერთ-ერთ ვარიანტის (დრაკონის) ლიანდაგზე გადავიდა. უკანასკნელი თეთრებისათვის უფრო ხელსაყრელია. მიუხედავათ ამისა, გოგლიძე თამამად შეუდგა ლაზიერის ფრთაზე თამაშს — სადაც პაიკის მოგებით შეუქმნა მოწინააღმდეგეს საფრთხე, რაც ცოტა არ იყოს ნაადრევი გამოდგა. კასპარიანმა კი, მეფის ფრთაზე უშუალოდ იერიშის მიტანას მეტად ძლიერი და აქტიური სვლებით აიძულა მოწინააღმდეგე დაესუსტებინა თავისი მეფის პოზიცია. მაგრამ როდესაც მდგომარეობამ გადამწყვეტ მომენტს მიაღწია, ორივე მოთამაშეს დრო ძლიერ შეუმცირდათ, რითაც პარტიის მთლიანობა სრულიად დაირღვა. ულმობელ საათის მსხვერპლი ხდება ჯერ გოგლიძე, რომელიც აკეთებს უხეშ შეცდომას მეფით, რასაც შედეგათ მოჰყვა კასპარიანის მიერ ორი ზედმეტი პაიკის ჭამა, მაგრამ ეხლა მისი ჯერი მოვიდა: საკონტროლო დროის მოახლოვების გამო იგი აკეთებს შეცდომას და აგებს ერთ პაიკს. პარტია გადაიდო კასპარიანისათვის უპირატეს მდგომარეობაში (ზედმეტი პაიკი), მიუხედავათ ამისა მდგომარეობა იმდენათ მარტივია, რომ გოგლიძეს ყაიმი უზრუნველყოფილი აქვს.

მეტად საინტერესო იყო აგრეთვე როსტოვცევ - ლევიტასის პარტია, სადაც ლევიტასმა ლაზიერის პაიკთა დებიუტის წინააღმდეგ მეტად ორიგინალურად გაითამაშა ე. წ. კემბრიჯ სპრინგის დაცვა, რაც სათანადოთ ვერ შეაფასა როსტოვცევმა. ლევიტასმა პაიკის შეწირვით, საუკეთესოთ განავითარა ფიგურები და შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ჩქარა როსტოვცევს განადგურება უქადდა.

მას უზრუნველყოფილი ჰქონდა მუდმივი ქიში, მაგრამ ეს არ მოისურვა და გააკეთა კიდევ რამოდენიმე სვლა, პარტიის მოგების მიზნით. ბოლოს იგი სრულიად მოულოდნელად შეთანხმდა ყაიმზე.

დასარჩენ დაფებზე მალიუტცევმა შავებით სიცილიურ პარტიაში ადვილად მოუგო ხიჟინავას, სოროკინმა, როგორც მოსალოდნელი იყო, მოუგო კარლინსკის, შიშოვ-ტალვიკის და იცკოვიჩ - ასოვსკის პარტიები გადაიდო პირველი ტალვიკისათვის უკეთეს მდგომარეობაში, ხოლო მეორე იცკოვიჩისათვის.

—:—

ხვალ, 5 მარტს, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, საღამოს სრულ 6 საათიდან, გათამაშებული იქნება შეჯიბრების მეათე ტური. თამაშობენ: ნენაროკოვი - კასპარიანი, გოგლიძე-როსტოვცევი, ტალვიკი - ხიჟინავა, ასოვსკი-კარლინსკი, მალიუტცევი - იცკოვიჩი და ლევიტასი - შიშოვი. თავისუფალია სოროკინი.

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო

ადამიანის სიცოცხლე არაფრად უღირდა

თბილისში დიდი ხანია ცხოვრობს მოქ. ოლია ცატუროვა. მისი წარსული არავინ იცის ერთიანს ბებია ქალს უწოდებდა თავის თავს.

მისი ბებიაქალობა დიდხანს არ სჯეროდა მეზობლებს, რადგან საამისო ცოდნა და გამოცდილება მას არ ეტყობოდა. მაგრამ მალე ისინი ფაქტის წინაშე დადგნენ. ცატუროვას ქალმა თავის კარებზე ჰააკრა აბრა წარწერით: „გამოცდილი მეანი... ღებულობს ავადმყოფებს“ და სხვ.

ცატუროვას ქალი ავრცელებდა ხმებს, რომ მან დაამთავრა სპეციალური „საბორტო“ (მუცლის მოსაშლელი) კურსები რუსეთის გამოჩენილ პროფესორების ხელმძღვანელობით.

ყოველივე ამის შემდეგ მეზობელი ქალები დარწმუნდნენ, რომ ცატუროვას ქალს ბადალი არ ეყოლება მუცლის მოშლის საქმეში. გავარდა ხმა: ცატუროვას ქალი „სასწაულებს“ ახდენს, უმტკივნეულოდ შეუძლია მუცლის მოშლა მერვე თვეზედაც.

ქალაქის სამშობიარო განყოფილებაში ხშირად მოჰყავდათ სისხლმოწამლული ქალები. გახშირდა სიკვდილის შემთხვევები. ჯანმრთელობის განყოფილება დიდათ დაინტერესდა ამ გარემოებით.

უკანასკნელად, გასული წლის 14 დეკემბერს სამშობიარო განყოფილებაში მოიყვანეს ავადმყოფი ნინო სულხანიშვილი. ქალს ეტყობოდა სისხლის მოწამვლის ნიშნები. მიღებულ იქნა სასწრაფო ზომები, მაგრამ გვიანღა იყო. ქალი ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

ქალმა სიკვდილის წინ ილაპარაკა, რომ მან მუცელი მოაშლევინა ვილაც „გამოცდილ“ ბებია ქალს ცატუროვას.

ჯანმრთელობის განყოფილებამ ამის შესახებ აცნობა პროკურატურას. „გამოცდილი“ ბებია ქალი დაპატიმრებულ იქნა.

გამოირკვა, რომ ცატუროვას ქალს ხელობად ჰქონდა აღებული მუცლის მოშლა. მას საამისო არც ცოდნა ჰქონია და არც გამოცდილება. მუცლის მოშლას ახდენდა იოდის შეშხაპუნებით.

— თუ არაფერი გიჭნას, ხვალ ისევ მოდი,— ეტყოდა ცატუროვას ქალი პაციენტს, როცა გასამრჯელოს ჯიბეში ჩაიდებდა. გასამრჯელოდ კი თითო შეშხაპუნებისათვის დაწესებული ჰქონდა ათი მანეთი.

მეორე დღეს კიდევ მეორე ათ მანეთს აძრობდა თავის მსხვერპლს და ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ პაციენტი ლოგინად არ ჩავარდებოდა და საბოლოოდ არ გამოესალმებოდა სიცოცხლეს.

ოღონდ ფული მიეღო, ადამიანის სიცოცხლე ცატუროვას ქალს არაფრად უღირდა.

ცატუროვას ქალის გარდა სულხანიშვილის ქალისა კიდევ ბევრისთვის მოუსპია სიცოცხლე. მისი ოთახის და მტვერიანი ინსტრუმენტების მსხვერპლია კაზინსკის ქალი, რომელიც გასული წლის თებერვალში გარდაიცვალა სამეანო-გინეკოლოგიურ ინსტიტუტში.

ცატუროვას მიერ არის სამუდამოდ დასნეულებული ვეცენია კატლიაროვას ასული და თამარა გიორგის ასული ბესელაშვილი.

ცატუროვას ქალს გაასამართლებს თბილისის 1 უბნის სახალხო სასამართლო. გასამართლება დაიწყება 21 მარტს.

ზერ.

შ ე მ თ ხ ვ ე ვ ე ბ ი

ბავშვის დაკარგვა

1 მარტს მესამე უბანში, ახალუბნის ქ. № 5-დან გავიდა სტუმრად მოსული 8 წლის ვაჟი ალექსანდრე თევდორაშვილი და უკან აღარ დაბრუნებულა. ტანზე აცვია ზოლიანი პალტო, ახურავს თეთრი ფაფახი, ლაპარაკი არ ეხერხება, სტოვებს არანორმალურის შთაბეჭდილებას.

ბანდიტის შეპყრობა

გასულ წელს თბილისის ოლქის სასამართლოს სესიამ თელავში იოსებ ივანეს ძე ზურაშვილს ბანდიტობისათვის მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა. ამნისტიით ზურაშვილს დახვრეტა შეეცვალა 10 წლის პატიმრობით. გასული წლის ზაფხულზე ზურაშვილი გამსახლიდან გაიგზავნეს საზოგადო სამუშაოზე ყარაიაში, საიდანაც იგი გაიპარა. ამ დღეებში თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ ბანდიტი ზურაშვილი დააპატიმრა.

როგორც გამოირკვა, დაპატიმრებამდე ზურაშვილი მსახურობდა ნატახტარის წყალსადენში. ბოროტმოქმედების კვალის დაფარვის მიზნით იგი ატარებდა ვანო გუგუტაშვილის გვარს.

თავის ჩამოღრჩობა

რომანიულ ნიადაგზე თავი ჩამოიღრჩო ფერდინანდე იუდრიხის ძე შმიდტმა.

დაჯახება

ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს ავტომანქანა № 111 მეორე სამილიციო უბნის ფარგლებში დაეჯახა ტრამვაის ვაგონს (№ 273 მარშრუტი მესამე). ვაგონი არ დაზიანებულა. გამოძიება სწარმოებს.

ტრამვაის ვაგონი (№ 267 მარშრუტი პირველი) რუსთაველის პროსპექტზე დაეჯახა ფურგუნს, რომელიც მიჰყავდა გრიგოლ პადაგაროვს. ფურგუნი დაიმსხვრა.

— ტრამვაის ვაგონი, რომელსაც მართავდა ვატმანი შმონ ხაჩატუროვი მესამე სამილიციო უბნის ფარგლებში დაეჯახა 12 წლის ლეო გიორგის ძე გრიგორიანს და მძიმედ დააშავა.

თავის მოწამვლა

თამარა ვაჩნაძემ (მცხ. ყოფ. შერემეტიევის ქ. № 41) ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე იოდით მოიწამლა თავი. ვაჩნაძე გადაგზავნეს კამოს სახელობის საავადმყოფოში.

დაჭრა

მიკირტიჩ აირაპეტის ძე ჩიჩიანცმა რკინის ჯოხით დასჭრა თავისი ცოლი—მარგო დავითის ასული ჩიჩიანცი. ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

ხანძარი

ბაზრის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა სახლს № 5. დაიწვა 450 მანეთის ნივთები.

რკინის გზებზე

უბილეთო მგზავრობასთან ბრძოლა

ამიერ-კავკასიის რკინის გზამ უბილეთო მგზავრობასთან საბრძოლველად მიიღო 100.000 მანეთზე მეტი თანხა. ამჟამად მუშავდება ღონისძიებები უბილეთო მგზავრობასთან საბრძოლველად.

ამ საქმეში ფართოდ იქნებიან გამოყენებული ტრანსპორტის დამცველი რაზმის მსროლელები, რომლებიც გაჰყვებიან მატარებლებს. მფრინავი შეიარაღებული რაზმების რიცხვი გადიდებული იქნება 9-დან 12-მდე.

უბნის გასინჯვა

გუშინ, გზის სამხრეთ უბანზე (სომხეთი) გაემგზავრა კომისია ამხ. პოზდეევის ხელმძღვანელობით, უბნის დასათვალიერებლად და მუშაობის შესამოწმებლად.

54.287 მან. შრომის დაცვისათვის

სალიანდაგო დარგში შრომის დაცვასთან დაკავშირებულ სამუშაოების საწარმოებლად გადადებულია თანხა 54.278 მანეთის რაოდენობით.

გზის მუშაობა

გეგმის მიხედვით ამიერ-კავკასიის რკინის გზის მუშაობა მარტში უნდა გამოიხატოს 2113 სავაგონო ერთეულში. აქედან გადაზიდული იქნება 725 ცისტერნა ნავთი; დანარჩენი მუშაობა განისაზღვრება მშრალი ტვირთების გადაზიდვაში.

მატარებლის დამტვრევა

გუშინ, სადგ. ალიატიდან იგზავნებოდა მატ. № 5001. შემადგენლობის ადგილიდან დაძვრისათვის საჭირო იყო მისი ცოტა უკან დახევა. უკან დახევისას მატარებლის ბოლო დაეჯახა ათბულაღისაკენ მიმავალ მატ. № 4012.

დაჯახების გამო მატ. № 5001-ს შემადგენლობიდან დაიმსხვრა ოთხი ვაგონი და მატ. № 4012-ში დაზიანდა რამდენიმე.

ამ შემთხვევის გამო შეფერხებული იყო მოძრაობა 5 საათის განმავლობაში.

განუწყვეტელ კვირაზე

სტალინის სახ. შემკეთებელ ქარხნის მუშების 75 პროცენტი 1 მარტიდან გადასული არიან განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე.

ოფიციალური განყოფილება

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატისა

1930 წ. თებერვლის 28

შრომის ხელფასის გაცემის ვადების შესახებ

შრომის ხელფასის გაცემის დღეებში საბანკო ქსელის განტვირთვის მიზნით და ამიერ-კავკ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1929 წ. ნოემბრის „1“-ს თარიღით „შრომის ხელფასის გაცემის შესახებ“ გამოცემული ცირკულიარის შესასრულებლად, საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატი, ფინანსთა და სავაჭრო სახ. კომისარიატებსა და საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებით აწესებს:

1. ქ. თბილისში შრომის ხელფასის გაცემისათვის დაწესდეს შემდეგი ვადები:

თვითეული თვის 1-ლ და 16-ს რიცხვში

1. საქ. სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო-ქიმიური ტრესტი; 2. სამთო-ქიმტრესტის საცდელი სახელოსნო; 3. ტყავ-ტრესტის ფეხსაცმელების ფაბრიკა, ქარხანა №1 (ხელფასის თვიურად მიმღებთათვის); 4. საფეიქრო-ტრესტის ბამბისა და ბამბის სართავი ქარხანა (ძირითადი შრომის ხელფასი — 16 რიცხვში); 5. პოლიგრაფტრესტის სამმართველოს სახელოსნოები, საწყობები და მაღაზიები; 6. რკინის გზის სტამბა; 7. ტრამვაი: კანტორა, სახელოსნოები, განყოფილებები და ფუნიკულიორის მოსამსახურენი; 8. ამიერ-კავკ. საავტ-სატრანსპორტო ვაჭრობის („ზაკავტოპრომტორგ“-ი) გამგეობა და კომერციული განყოფილება; 9. თბილისის ალმასკომის საერთო განყოფილება და აბანოები; 10. სახალხო კავშირთა-გამგეობის ოლქი და მისი საქალაქო საწარმონი; 11. თბილისის ალმასკომის ელექტრო-მექანიკური ტრესტის („თელტრესტი“) სამმართველო; 12. თბილისის ალმასკომის მიწად-მოქმედების განყოფილება; 13. მთლიანი მუშათა კოოპერატივის საერთო განყოფილება, სტატისტიკა, საფინანსო გან. სამეურნეო განყოფილება, მექანიკური თორნე პურის ქარხანა, შერეული მაღაზიები (რომელთაც 1-ლი ადგილკომი აერთიანებს); 14. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამასწორებელი დაწესებულებანი და მილიციის სკოლა; 15. განათლების სახ. კომისარიატის საბჭოთა სკოლები, მუშფაკები და ტექნიკუმები; 16. ამიერ-კავკ. სტატ. ცენტრ. სამმართველო, ამიერ-კავკ. სახ. ვაჭრ. კომისარიატი, რკინის გზის ჯანმრთ. განყოფილება, ამიერ-კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტი, შავი ზღვის რკინის გზა, გამოყენებითი მინეროლოგიის ინსტიტუტი და გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო (უკანასკნელისათვის თვეში ერთხელ თვის 16 რიცხვში).

თვითეული თვის 2 და 17 რიცხვში

1. საფეიქრო ტრესტის ზეთსახდელი და საპნის სახდელი ქარხნები (ძირითადი ხელფასი თვეში ერთხელ—თვის 17 რიცხვში); 2. ყოფ. „სამშენი“-ს სახელოსნოები; 3. საბაზისო პურის საცხობები და შერეული მაღაზიები, რომელთაც მუშათა მთლიანი კოოპერატივის მეორე ადგილკომი აერთიანებს; 4. საქართველოს მეღვინეთა კავშირი; 5. თბილისის ალმასკომის ადმინისტრატიული და საფინანსო განყოფილებები, წყალსადენი, კანალიზაცია და სასტუმროები; 6. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ყველა დაწესებულება ცენტრალურ სამმართველოს გარდა; 7. გან. სახ. კომისარიატის სამეცნიერო-საგამომცემლო, უმაღლესი მუსიკალური და სამხატვრო დაწესებულებანი; 8. აბრეშუმის ტრესტი თავისი საწარმოებით; 9. ამიერ-კავკ. მუშგლეხინი; ამიერ-კავკ. საგეგმო კომისია, ამიერ-კავკ. საალმშენებლო ინსტიტუტი, ამიერ-კავკ. სატეხ. კომიტეტი, ამიერ-კავკ. საბაჟო, ამიერ-კავკ. წყალთა მეურნეობის სამმართველო, ამიერ-კავკ. საგეოდეზო სამმართველო, ამიერ-კავკ. გზატკეცილების სამმართველო, გამოყენებითი მინეროლოგიის საგამოკვლევო ინსტიტუტის თბილისის განყოფილება.

თვითეული თვის 3 და 18 რიცხვებში:

1. ტრამვაი: სადგურის უფროსები, კონტროლიორები, მეტაბელენი და დარაჯები, 2. „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა; 3. „ცეკავშირი“-ს სტამბა; 4. კავკასიის წითელდროშოვან არმიის სტამბა; 5. საკანცელარიო ნივთების სახელოსნო; 6. პოლიგრაფტრესტის 1, 2, და მე-3 სტამბა, ლიტოგრაფია და კოლოფების ქარხანა; 7. მაუდის ფაბრიკა (ძირითადი შრომის ხელფასი — 18 რიცხვში); 8. აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა; 9. პოლიგრაფტრესტის ლიტოგრაფიული ქვის დამუშავება; 10. ტყავის ქარხანა №2; 11. ახალშენი; 12. აგურის ქარხანა №№ 4. 5, 6 და 7; 13. ლურსმანი; 14. თბილისის ალმასკომის კომუნალური განყ. სახანძრო რაზმი, სახლების მმართველობა, სავაჭრო ქ.-განყ., კეთილმოწყობის ქ.-განყ., ელსადგურთა სამმართველო; 15. განათლების კომისარიატის სახელმწიფო უნივერსიტეტი; 16. მუშკოოპის ხორც-მწვანეულობ. საწყობები, ფრინველების ბაზა, გასტრონომიული სამხარეულო და საბაკალეო გასტრონომიული მაღაზიების სათადარიგო მოლარეები (რომელთაც პირველი ადგილკომი აერთიანებს).

თვითეული თვის 4-ს და 19 რიცხვში

1. ზეთსახდელი და საპნის ქარხანა (გადამუშავების გასამრჯელო თვეში ერთხელ—4 რიცხვში); 2. ტრამვაი: ცენტრალური სადგურები; 3. აგურის ქარხნები №№ 2—3; 4. ლუდის სახარშავი ქარხანა; 5. მკერავი; 6. მუშკოოპის სარძეო პუნქტები, სათობები სექციები, არა საბაზისო პურის საცხობები; 7. თბილისის ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება და სასაკლაო; 8. განათლების სახალხო კომისარიატის: სახ. პოლიტ. ინსტიტუტი, მუზეუმი და სოციალურ აღზრდელობითი საცდელ-საჩვენებელი დაწესებულებანი.

თვითეული თვის 5 და 20 რიცხვში

1. მე-3, მე-4 და მე-5 სტამბა, პოლიგრაფსკოლა და პოლიგრაფტრესტის სამმართველო; 2. „ამიერ-კავკ. ავტო-სატრან. სამრეწველო საზოგადოება“-ს („ზაკავტოპრომტორგი“-ს) სახელოსნოები; 3. სატყეო ტრესტის საფანერო ფაბრიკა; 4. ქერის ფაბრიკა; 5. ტყავ-ტრესტის ტყავის ქარხანა №1 და ფეხსაცმელების ფაბრიკა (ნარდით მომუშავეთა ხელფასი თვეში ერთხელ—5 რიცხვში); 6. აგურის ქარხანა № 1; 7. მაკარონის ფაბრიკა; 8. თამბაქოს ტრესტი; 9. საფუნთუშე ქარხანა, საბაკალეო-გასტრონომიული მაღაზიები, რომელსაც მეორე ადგილკომი აერთიანებს; 10. ტრამვაი: ვატმანები; 11. ბამბისა და ძაფ-სართავი ქარხანა (გადამუშავების ხელფასი—თვეში ერთხელ—5 რიცხვში); 12. განათლების სახკომისარიატის მცირეწლოვანთა დაცვის დაწესებულებანი და პოლიტგანათლების დაწესებულებანი; 13. იუსტიციის სახ. კომისარიატის ყველა დაწესებულებანი და ცენტრალური სამმართველო; 14. მიწსახკომის ყველა დაწესებულებანი და კოლმეურნეობათა ცენტრი, გარდა ცენტრალური აპარატისა, 15. სმუ-ის ზომა-წონის პალატა.

თვითეული თვის 6 და 21 რიცხვში

1. მაუდის ფაბრიკა (გადამუშავების ხელფასი თვეში ერთხელ—6 რიცხვში); 2. რკინის გზის სტამბა (ნარდ მომუშავეთათვის თვეში ერთხელ—6 რიცხვში); 3. გალეტის ფაბრიკა; 4 პურის მაღაზიები, ხორც-მწვანეულობის მაღაზიები და წყლის გამყიდველები (რომელთაც მუშკოოპის 1-ლი ადგილკომი აერთიანებს); 5. სამოზაიკო სახელოსნო; 6. თბილისის ალმასკომის სახ. განათლების განყ-ბის სკოლები (თვითეულ თვის 21 რიცხვში); 7. სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტი, საქ. საგეგმო კომისია, სოციალურუზრუნველყოფის სახკომისარიატი, საქართველოს სსრ სახ. კომისართა საბჭო, განათლების სახკომისარიატი, საქ. ვაჭრობის სახ. კომისარიატი, საქ. სტატ. ცენტრ. სამმართველო, მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატის ცენტრ. აპარატი, შრომის სახკომისარიატის აპარატი, საქ. სსრ მუშგლეხინი, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი; 8. ამიერ-კავკ. შრომის სახალხო კომისარიატი; 9. ამიერ-კავკ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტი; 10. ამიერ-კავკ. სახკომსაბჭო; 11. საკონცესიო კომისია; 12. ხის (მერქნის) დამამუშავებელი კომისია; 13. ამიერ-კავკ. ზომა-წონის პალატა; 14. რკ. გზ. საფინანსო-საკონტროლო განყოფილება; 15. ამიერ-კავკ. ფინსახკომი; 16. ამიერ-კავკ. საფინანსო კონტროლი; 17. ამიერ-კავკ. სმუ. საბჭო.

თვითეული თვის 7 და 22 რიცხვში:

1. ლითონტრესტი და მისი საწარმონი; 2. ძეხვის ქარხანა; 3. სასწორების სახელოსნო; 4. ხის ნაწარმი (მუშები); 5. ტრამვაი; 6. თბილისის ალმასკომის სახ. განათლების განყოფილების სკოლები (თვითეული თვის 22 რიცხვში); 7. ხორცის, მწვანილეულობის მაღაზიები, რომლებსაც მუშკოოპის მეორე ადგილკომი აერთიანებს და მუშკოოპის მოწაფეები; 8. საქ. ფინსახკომი, საქართველოს ს.მ.უ. საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველო; 9. ამიერ-კავკ. რკინის გზის ტექნიკუმები, საფაბ.-საქარხ. სასწავლებელი, პროფკურსები; ელექტროფიკაციის ბიურო, ნავთსადენი (ყოველი თვის 7 რიცხვში).

თვითეული თვის 8 და 23 რიცხვში:

1. კანფეტის ფაბრიკა; 2. სატყეო ტრესტის ხე-ტყის სახერხი ქარხნები; 3. თბილისის ალმასკომის სახ. განათლების განყ-ბის სკოლები (ყოველი თვის 23 რიცხვში); 4. ტრამვაი (სახელოსნოები და საჰაერო ქსელი); 5. ამიერ-კავკ. რკინის გზა—სამმართველო და „ჰჭ“ (თვეში ერთხელ 8 რიცხვში).

თვითეული თვის 9 და 24 რიცხვში:

1. თბილისის ალმასკომის სახგანათლების განყ-ბის სკოლები (ყოველი თვის 24 რიცხვში); 2. ამიერ-კავკ. რკინის გზა „დნ“ (თვითეულ თვის 9 რიცხვში).

თვითეული თვის 10 და 25 რიცხვში

1. ცეკავშირი; 2. სოფლის კავშირი; 3. ამიერ-კავკ. საავტო-სატრ. სამრეწვ. საზოგადოების („ზაკავტოპრომტორგი“-ს № 1 და 2 გარაჟი); 4. სატყეო ტრესტის სადურგლო საწარმო; 5. თბილისის ალმასკომის სახგანათლების სკოლები) ყოველი თვის 25 რიცხვში); 6. ამიერ-კავკ. რკ. გზა „რზ“, ეკონომ. განყოფილება, საქალაქო სადგური და რკინის გზის პ-კავშირი (თვეში ერთხელ—10 რიცხვში);

თვითეული თვის 11 და 26 რიცხვში:

1. ამიერ-კავკ. რკინის გზა „გრ“, სასწორების სახელოსნო „ნხ“, „დხ“ და „ტჰ“-4 (უკანასკნელი 26 რიცხვში).

თვითეული თვის 12 და 27 რიცხვში:

1. სატყეო ტრესტის სამმართველო; 2. სახელმწიფო ბანკი; 3. ამიერ-კავკ. რკინის გზის პრომ. განათლ. განყოფილება (თვეში ერთხელ 12 რიცხვში); 4. ქვების მზიდავთა ამიერ-კავკ. კომიტეტი; ა.-კ. რკინის გზის „რზ“, „პჰ“-6, „მო“-2, „დკ“.

თვითეული თვის 13 და 28 რიცხვში:

1. მუშკოოპის საქონლის, საბაკალეო საწყობები, ტრანსპორტი, საბავშო მოედნები, ბაზარი, საწყობები და მაღაზიები; 2. ამიერ-კავკასიის რკინის გზა: მატერიალური განყოფილება, „მმ“, „ტჰ“-4.

თვითეული თვის 14 და 29 რიცხვში:

1. მუშკოოპის სამმართველო, სარევიზიო კომისია, საორგ. განყოფილება, პროდუქტები და საერთო სექციები მომუშავეებს და საქონლის მაღაზიები, რომლებსაც 1-ლი ადგილკომი აერთიანებს; 2. კომუნალური ბანკი; 3. სასოფლო-სამეურნეო ბანკი; 4. სსრ. საქართველოს კომუნალური ბანკი.

თვითეული თვის 15 და 30 რიცხვში:

1. შემნახველი სალაროები; 2. ამიერ-კავკ. სამხედრო მომხ. კოოპერატივი („ზაკვოენტო“); 3. ამიერ-კავკ. სახ. ვაჭრობა; 4. საქ. სახ. ვაჭრობა; 5. ამიერ-კავკ. სახ. დაზღვევა; 6. საქ. სახ. დაზღვევა; 7. მწყემსი; 8. ბირჟკომი; 9. სოფლის მეურნე; 10. მუშკოოპის ბუღალტერია და საქონლის მაღაზიები; 11. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება; 12. ხისსაწარმოს სამმართველო; 13. თბილისის ალმასკომის საალმშენებლო სამსახური ტრესტი; 14. ტყავ-ტრესტის სამმართველო; 15. საფეიქრო ტრესტის სამმართველო; 16. ამიერ-კავკ. მომხმარებელთა საზოგადოება და მისი საწარმონი; 17. მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობის ტრესტი; 18. ტრამვაი (შვებულებაში მიმავალნი).

2. შრომის ხელფასის გაცემის ახალ ვადებზე უმტკივნეულო გადასვლის მიზნით, ასეთი თანდათანობითი უნდა იქნეს განხორციელებული ისე, რომ თვითეულ გაცემის პერიოდში ხელფასის გაცემა არ უნდა შეგვიანდეს 1—2 დღეზე მეტი.

3. აღნიშნული დადგენილების სამოქმედოთ შემოღებით კოლექტიურ ხელშეკრულებებსა და სატარიფო შეთანხმებებში დათქმული ვადები უნდა შეცვლილ იქნას ამ დადგენილებაში აღნიშნულ ვადებთან შეფარდებით.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნულ დადგენილების 1-ლ მუხლში დადგენილ წესით შრომის ხელფასის გაცემის ვადა არა სამუშაო დღესთან (ყოველკვირეულ ან დასვენების განსაკუთრებული ან უქმე დღეები) მოხვდება, მაშინ შრომის ხელფასი ამ დღის წინა დღეს უნდა გაიცეს.

5. ის საწარმონი და დაწესებულებანი, რომლებიც ამა დადგენილების 1-ლ მუხლში არ არიან მოხსენებულნი, შრომის ხელფასის გაცემას აწარმოებენ შემდეგი წესით: სამრეწველო საწარმონი ყოველი თვის 6—7 და 21—22, სამეურნეო ანგარიშზე მყოფნი (სავაჭროები, სინდიკატები, ტრესტები, ბანკები და სხვ.) 13—14 და 22—28 რიცხვებში.

6. აღნიშნული დადგენილება არ ვრცელდება კერძო და სამხედრო და საზღვაო უწყების საწარმოებსა და დაწესებულებებზე.

7. წინადადება ეძლევათ საქ. სსრ შრომის სახკომისარიატის რწმუნებულთ აჭარისტანსა და აფხაზეთში აღნიშნულ დადგენილებასთან შეფარდებით დააწესონ ხელფასის გაცემის ახალი ვადები.

8. აღნიშნული დადგენილების გამოცემით უქმდება საქ. სსრ შრომის სახკომისარიატის მიერ 1928 წ. დეკემბრის 12-ს თარიღით და № 24-ით გამოცემული დადგენილება „შრომის ხელფასის გაცემის ვადების შესახებ“ (საქ. სსრ შრომის კანონმდ. კრ. გამოც. 1929 წ. გვ. 499).

9. ეს დადგენილება ძალაში შედის 1930 წლის მარტის 1-დან.

საქ. სსრ შრომის სახკომისარის მაგ. ნ. ათოევი.
საქ. სსრ შრომის სახკომისარის მაგ. მესხი.
შეთანხმებულია საქართველოს პროფსაბჭოსთან მაჭავარიანი.
საქართვ. ვაჭრობის სახკომისარიატთან— ა. ჯაფარიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოდ-ჩამოთვლილ ამხანაგებს, რომლებიც გამოწვეულნი არიან მობილიზაციის წესით, გამოცხადდნენ ცეკაში დღეს, 4 მარტს, შუადღის სრულ 12 საათისათვის:

გორი: ათოევი (შრომის კომისარიატი), ვერა ბრეგვაძე („სოფლის კავშირი“), მელიმონაძე (იქდანბე), კოშკაძე (საბჭოთა და სავაჭრ. მუშაკ. კავ.), რამიშვილი (მუშათა და გლეხთა ინსპ.), დიასამიძე (ხელოვნების მუშაკთა კავშირი), ვასაძე (ხის დამმუშ.), ქუნა (ს. მ. უ. ს.), ბახტაძე (შავი ზღვის სანაპირო რკ. გზა), მ. ცაგურია (თავდაცვა-ავიაქიმი), სიჭინავა (იუსტიციის სახ. კომისარიატი), ცინცაძე (მეტყევეთა კავშირი), ალანია (ზომა-წონის ა.-კ. პალატა),

კახეთი: ლაშხი (უზ. სასამართლო), გოგინაშვილი (სახკინმრეწვი), ფიჩხაშვილი (სოც. დაზღვევა), დვალიძე (საბინაო კავშირი), მამალაძე (ჯანსახკომი), ბაძე (საქ. ღვინო), მიქელაძე (საქ. სახ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა), 6. კალანდაძე (კომუნ. ბანკი), ალავიძე (განათლების სახ. კომისარიატი), ცინცაძე (მეტყევეთა კავშირი), გ. გაბუნია (მიწსახკომი), გაბუნია (სარეწაო კოოპერაცია); გარეჩილაძე (განსახკომი), ვასაძე (იქიდანბე).

ქუთაისი: ბარბაქაძე (გან. სახკომისარიატი), ირ. ქურასპედიანი (კომუნალური ბანკი), ორჯონიკიძე (ა.-კ. რკ. გზა), ნარჩემაშვილი (სოც. დაზღვევა), დვალი (ცენტრ. სტატ. სამმართველო), ა. ცხომელიძე („სოფლის კავშირი“), დ. ქუთელია (ცაკა), ვ. ტალახაძე (უზ. სასამართლო), ს. ლომიძე (სახ. დაზღვევა), პ. ნაჭყებია (სარეწაო კოოპერაცია).

—:—

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 4 მარტს, პირველი საჩვენებელი სკოლის შენობაში შესდგება სახალხო კვების და რესპ. მთავარი საავადმყოფოს ადგილკომების სადელეგატო კრებების ყველა ჯგუფების მეცადინეობა რუსულ და ქართულ ენებზე:

ქალთა ორგანიზატორებს წინადადება ეძლევათ კრების მოწვევის შესახებ აცნობონ ყველა დელეგატ-ქალებს.

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის ბიურო-კოლექტივი იუწყება, რომ დღეს, ნაშუადღევს 3 საათზე შესდგება პედაგოგიური ფაკულტეტის კომკავშირის უჯრედების გაერთიანებული კრება.

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. ლ. კ. ბიურო-კოლექტივი, დღეს 4 მარტს, იწვევს აგიტპროპ თათბირს. გარდა აგიტპროპ ორგანიზატორებისა და პოლიტ. წრეების მდივნებისა თათბირზე უნდა გამოცხადდნენ აგრეთვე ამხ. გ. კვიცარიძე, პ. კერესელიძე და ვ. ტუღუში.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი
1929 - 30 წ. სეზონი

სამშაბათი, 4 მარტი მე-11 აბონემ. მე-4 წარმ. დამს. არტ. ე. მ. პოპოვას გამოსათხოვარი გამოსვლა დ. დ. გოლოვანის მონაწილეობით **სევილიელი დალაქი.**
ოთხშაბათი, 5 მარტი მე-6 აბონემ მე-11 წარმ. ფატმა მუხტაროვას და მ. კ. ბეჩკოვსკის მონაწილეობით **კარმენ**
ამ დღეებში პრემიერა „შოთა რუსთაველი“, ოპერა 4 მოქმედებად და 5 სურათად, მუსიკა დ. ი. არაყიშვილისა.
დადგმა ა. რ. წუწუნავასი. ბილეთები იყიდება.
ნ. 383

აპოლო 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.	მხატვრული ფილმი **ზელიმ-ხანი** ვ. ბესტაევის მონაწილეობით	**არფასტო** 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.	უცხოეთის მხატვრული კულტურული ფილმი **კონგოთი**
სოლეი 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.	გრეტა მოსხეიმი მხატვრ. სურათში **დედაკაცის გალვიძება**	**მინიონი** 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.	მხატვრული ფილმი **უკანასკნელი სისწრაფე** რეჟისორი დოგბელი
პალასი 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ.	მხატვრული სურათი **ცისფერი ექსპრესი** (მატარებელი ნანკინი—სუ-ჯოუ)	**დარბაზი** 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ.	მაცისტი სურათში **პომერის ცირკი** სატირიკოს ანტონოვის და ექსცენტრიკოსების პაულის დუეტი

მ ა ლ ე—კინო-თეატრებში აპოლო, სოლეი, მინიონი განწირულნი. 0—3

საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები
ამ დღეებში **განწირულნი**
კინო-თეატრებში
აპოლო
სოლეი
მინიონი
მხატვრული ფილმი

რეჟისორი—ლ. პუში
ოპერატორი— მ. კერესელიძე
მთავარ როლებში:
გალინა დოლინგო (ეგორიოვისა)
ნ. კოლომენსკი
ი. მპროტი
შ. ხუსკივაძე
პ. ბონდარენკო
ნ. 395

იყიდება
საჩქაროთ ახალი
პიანინო
რენიშის ფაბრიკის.
ორბელიანის ქ. № 36.
ნახვა დილის 10 ს. 2 ს. სალ. 4—7 ს
1283

თანახმად სრულიად საქ. საბჭ. ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის და საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს 1923 წლის 15 მარტის № 12 ცირკულიარისა,
ადმინვანის მმაჩის ბიურო
აცხადებს, რომ მოქ.
არტაშეს იოსების ძემ კუჩუკიანის თავისი გვარი გამოიცვალა ახალ გვარზე
ა ბ ო ვ ი ა ნ—ზე
1293

სახელმწიფო
უნივერსიტეტის
სტომატოლოგიურ
კლინიკაში
&
ოდონტოლოგიურ
ინსტიტუტში
(პლეხანოვის პრ. № 126)
დაიწყო ავადმყოფების მიღება
საღამოს საათებში
შეღავათიან ფასებში.
4—6-მდე კბილების მკურნალობა.
6—8-მდე ხელოვნ. კბილების ჩასმა.
25—3 818

რუსთაველის თეატრი
სამშაბათი
4
მარტი

სერია „ა“ მე-2 აბონ. მე-7 წარმოდ.
ლავრენიევი
რ ღ ვ ე ვ ა
4 მოქ. თარგ. ა. ფაღავასი
შეღავათიან ბილეთებზე შეკვეთა მიიღება თეატრის სალაროში.

საქართვ. წითელი ჯვრის
ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის (ყ. გერმანელების)
საავადმყოფო და პოლიკლინიკა
(კამოს ქ. № 54, ხანაპირო № 15—ტელეფ. № 9—17)

საავადმყოფოს განყოფილებები:

ქირურგიული	გამგე	პროფ.	ა. მაჭავარიანი.
გინეკოლოგიური	„	პროფ.	გ. ლამბარაშვილი
თერაპევტიული	„	პროფ.	ა. ალადაშვილი
სამეანო	„	პროფ.	ი. თიკანაძე
რენტგენის ლაბორატორია	„	ექიმი	გ. ნაზარიშვილი.

პ ო ლ ი კ ლ ი ნ ი კ ა:

		მიღება
ზემოჩამოთვლილ დარგების კაბინეტებში კონსულტანტებათ არიან იგივე პროფესორები:		11 ს.—1 ს.
ტუბერკულოზის კაბინეტში	დოც. ი. აბაკელია	12 ს.—2 ს.
ბავშთა ავადმყოფობის კაბინ.	ექ. მ. უგრელიძე	2 ს.—4 ს.
თვალის სნეულებათა „	პროფ. მუსხელიშვილი	2 ს.—4 ს.
ვენერიულ „ „	ექ. ა. ჯავრიშვილი ექ. თოფურიძე კონსულტანტათ პროფ. ბურგსდორფი	4 ს.—6 ს.
ყელ-ყურის ₰ ცხვირის კაბ.	პროფ. ახპიხოვი მიიღებს მხოლოდ	3 ს.—4 ს.
	ამავე კაბინეტში მიღებას აწარმოებენ სხვა ექიმები	11 ს.—1 ს.
ნერვიული სნეულებების	ექ. პონდოევი	3 ს.—5 ს.
კბილის სნეულებების	ექ. ტოტვენი	12 ს.—3 ს.

პოლიკლინიკაში ავადმყოფებს გადახდებათ – ერთი მან. ნ. 111 0—15

განსახკომის სამრეწველო-ეკონომიური და ადმინისტრატიული ტეხნიკის კურსები
იხსნება მოკლევადიანი (2 თვიანი) ანგარიშმცოდნეობის (და სტატ. აღრიცხვის) ჯგუფები.
იღებიან 9—10 წლედ დამთავრებულები და ანგარიშმცოდნეობის კურსებ დამთავრებულნი, რომლებიც აქამდე უმუშევრად არიან.
ჩაწერა და ცნობების მიღება ყოველდღე: კეცხოველის ქ. (ყოფილი ლორის-მელიქოვის) № 12. საღამოს 5—8 საათამდე. ნ. 1-08

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

გ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი: სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25 1

დ. ს. რიქინაშვილი კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. სალ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის პრ. კუთხე. ტელ. 10—14. 25—1

თბილისის მთლიანი მუშათა კოოპერატივის მუშკოოპის
გამგეობა აუწყებს მე-7 მოწვევის ყველა რწმუნებულებსა და კანდიდატებს, რომ ორშაბათს, 1930 წლის 10 მარტს, საღამოს სრულ 6 საათზე მუშკოოპის გამგეობის შენობაში (ყორეხის ქ., № 7)
დანიშნულია
მუშკოოპის რწმუნებულთა მე-18
კრების გახსნა
დღის წესრიგი: 1) მუშათა ბრიგადის მოხსენება მუშკოოპის გამოკვლევის შედეგების შესახებ (მომხსენებელი ამხ. ბუაძე)
2) მუშკოოპის აპარატის წმენდის შესახებ (ცენტრალური კომისიის მოხსენება—ამხ. მონტინი).
3) მიმდინარე საქმეები.
ყველა რწმუნებულის და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.
ნ. 394 3—1 მუშკოოპის გამგეობა.

თბილისის შრომის ბირჟის კომიტეტი
აცხადებს ყველა საწარმოო, კოოპერატიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ, რომ მუშა-ხელის შრომის ბირჟიდან გამოსაწვევად დაწესებულება ვალდებულია თავის მოთხოვნილებაში გარკვევით აღნიშნოს:
1) რა თანამდებობაზე არის მოთხოვნილება.
2) კვალიფიკაცია მოთხოვნილ თანამდებობისა (კატეგორიებში),
3) მოსამსახურეთათვის ენების ცოდნა და განათლების ცენზი,
4) ხელფასი,
5) რა ხნით სამუშაო.

მოთხოვნილება მიიღება შრომის ბირჟის მიერ ოფიციალურად და ტელეფონოგრამით, რომელშიც, გარდა ზემოთ ხსენებულ ცნობებისა, აღნიშნულ უნდა იქნეს დაწესებულების მისამართი და გვარი პ/მგ. პიროვნებისა, ვისთანაც უნდა გამოცხადდეს შ/ბირჟიდან გამოგზავნილი უმუშევარი.

ერთეული მოთხოვნილებები მიიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან დღის 2 საათამდე. დაწესებულ დროზე გადაცილებით მიღებული მოთხოვნილებათა დაცვათ ჩაითვლება შემდეგი დღე
ნ. 393 შრ. ბირჟ. კომიტეტი.

გაუბედურებული ცოლი ნინა, შვილები: ირაკლი, კოლია, მარუსია, ნანუკა და არჩიკო, ძმა სიმონ ცოლით, დები: ნატალია კალანდარიშვილისა შვილებით, ალექსანდრა აბაშიძისა, თამარა მიქელაძისა ქმარშვილით, ბიძები: ისაკი კალანდარიშვილი შვილებით, კვიროსი ქავჟარაძე და მიხეილ კალანდარიშვილი იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ
კონსტანტინე (კიკ‘ტო) ირაკლის-ძე კალანდარიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, ბინიდან, კალანდაძის (ყოფ. მარტინოვის) ქუჩა № 5. 4 ნახ. საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 1314

დამწუხრებული დეიდა ეფემია ორაგველიძე ქმრით და დეიდაშვილი ვერა ქმრით ვლასა ბარამიძეთი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი
კონსტანტინე (კიკიტო) ირაკლის-ძე კალანდარიშვილი
გამოსვენება დღეს, 4 ნახ. საათზე, მარტინოვის ქ. № 5, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 1171

დამწუხრებულნი: რძალი ელისაბედი, ძმისშვილები; სევერიან, გაიანე, დომინიკა, მაქსიმე, ისიდორე, გაბრიელ, იასონ, სეონ, ქეთო და პეპიკო თოხაძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათთვის საყვარელ
ტრიფონ ბუჭუს ძე თოხაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ზუგდიდში. (ს)

გულდათუთქული მშობლები: ყარამან და სონია ყველა თავისი ნათესავებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან მათი დაუვიწყარი
პაშა ყარამანის ასულ თორიას
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ზუგდიდში, 6 მარტს, 4 საათზე. (დეპ.)

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგულა და მოპარულა) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

— პირადობის მოწმ. და სამხ. საალრ. ბარათი – იაკობ მამისტვალოვის სახელზე. 1240
— საბჭ. და სავაჭ. მუშაკების პროფკავშ. წიგნ. № 37473—ალექსანდრე შალვას-ძე ბეჟუაშვილის სახელზე. 1238
— მუშკ. წიგნ. № 508-7—ანა ლომთათიძის სახელზე. 1239
— ოდონტოლოგიურ ინ-ტის მატრ. № 465, პირად. მოწმ. № 465, პროფკ. წიგნ., დამზღვ. სალაროს წიგნ. № 7628—თამარ სულიაშვილის სახელზე. 1237
— მუშკ. წიგნ. № 65426—მარიამ აბრამიანცის სახელზე. 1232
— პურის წიგნ. № 7571—ალექსანდრე ბერიძეს სახელზე. 1242
— პირად. მოწმობა, რევოლვერის ნებართვა, სანადირო თოფის ნებართვა, პირად მდგომარეობის მოწმ. გაცემ. ხარაგოულის აღმასკომიდან, თამასუქი 20 მან. – ნარიმან კიკნაძის სახელზე გაცემ. ივანე გიორგის-ძე კიკნაძეს სახელზე 1296
— პირად. მოწმ., ავადმყოფ. მოწმ. მიღებული თბილ. ცენტრ. პოლიკლინიკიდან, სიღნ. უბნ. სასამ. დადგენილება გაყრილობის შესახებ და კარდენახის მევენახეთა ამხანაგობის ანაბარის ქვითარი ქარუმა ბეიდაშვილის სახელზე. 1297
— „აბასთუმანის მედსანშრომის“ კავშ. წიგნ. – აკაკი ხელაძის სახ. 1299
— სამხ. წიგნ. გაცემ. მორაპნის მაზრის სამხ. მაგიდის მიერ —ნესტორ დიანოსის-ძე აბვლედიანის სახელზე. 1302
— მუშკოოპის წიგნ.—დანიელ საბარგულიანის სახელზე. 1303
— სამხედ. აღრ. მოწმ. ფორმა №1—ალექსანდრე ილიას-ძე დარახველიძის სახელზე. 1304
— კავშ. წიგნ. № 24721 და პირად. მოწმ № 143—გიორგი დარჩოს-ძე მერაბაშვილის სახელზე. 1151
— ამბროლაურის 7 წლედის დამთავრების მოწმ. № 60 ივანე საგანელიძის სახელზე 1306
— ზაკტპოს წიგნ. № 6089 ვარლამ ხვედელიძის სახელზე. 1241
— პურის წიგნ. ალექსანდრე გაბრიელის-ძე ბალიაშვილის სახ. 1307
— პარტიის საკანდიდატო ბარათი № 16627 სამსონ ხუციძის სახ. 1309
— კოოპერ. წიგნ. № 503 ანდრო ადამიას სახელზე. 1230
— სამხედრო ნუსხა № 1017—ალექსანდრე ფალავას სახელზე. 1230

დამწუხრებულნი შვილები: ავქსენტი ცოლით პანიათი, მიშა (ტიტიკო) ცოლით თამარათი სვანიძეები აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს მათთვის საყვარელ დედის
ქრისტინე ვასილის ასულ სვანიძის
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი კვირას და ორშაბათს, 5 ნახ. საათზე. გამოსვენება სამშაბათს, 4 მარტს, 4 საათზე, გოგოლის ქუჩა № 47. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1225 2—1

დამწუხრებულნი დისშვილები: ნესტორ ასათიანი მეუღლე კატუშათი, მიშა მამარდაშვილი მეუღლე ოლიათი, პეკია გრიგორაშვილი, ნინა, ვარლამი და გრიშა ლექვინაძეები თავიანთი შვილებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს საყვარელი დეიდის
ქრისტინე ვასილის ასულ სვანიძის
გარდაცვალებას. 1298

ფ. მახარაძის სახელობის ჭრა-კერვის კურსების მასწავლებლები, ა.ბ.გ.დ.ე. ჯგუფის მსმენელნი და ხსენებულ კურსებთან არსებულ ლიკსკოლის მოწაფეები მწუხარებას გამოსთქვამენ ლიკსკოლის მოსწავლის ამხ.
ელენე იასონის ასულ კიკნაველიძის
უდროოდ გარდაცვალების გამო. გამოსვენება 5 მარტს, ყ. არამიანცის საავადმყოფოდან. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1315

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი—ძმა აფრასიონი და რძალი მარიამი შვილებით არჩილი, მიშიკო და ბაბოთი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, ძვირფასი
გიგო ასათიანის
გარდაცვალებას. დასაფლავება სოფ. ხიდისთავში, 6 მარტს. 1231

ღრმად დამწუხრებული მეუღლე სონა შვილებით: ვენერა და რუსიკოთი, დები ნინო ამირაჯიბისა შვილებით, მარიამ გეგელიასა ოჯახობით, ძმები ლევანი და დიმიტრი ოჯახობით, რძალი მარიამ, ვეზირიშვილები აუწყებენ საზოგადოებას ძვირფას და დაუვიწყარ
გიორგი იოსების-ძე ვეზირიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 საათზე, გომბორის ქ. № 18. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1301

დამწუხრებული მშობლები ნეოლინა და ლევანი შვილებით: გივი და თინათინ, ბებია ნატალია, მამიდა ლუბა ქმრით, ბიძები პლატონი და დავითი, ბაბუა იოსები, დეიდა ანიჩკა ბოჭორიშვილები, ბაბუა ნიკო და ალექსანდრე ჩაჩიანები ცოლშვილით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი
რეზიკო ჩაჩხიანი
სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 6 საათზე, გამოსვენება ბინიდან, პლეხანოვის პრ. 97, ოთხშაბათს 5 მარტს, 3 ნახ. საათზე. დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე. 1300

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ბავშვებით, მშობლები და ძმა უღრმეს მადლობას უცხადებენ მედსანშრომის პ/კავშირის ც. გ., აფთიაქის მუშაკთა რევიზიოროს, განსვენებულის პირად მეგობრებს და საერთოდ აფთიაქის მუშაკებს და საზოგადოებას გარდაცვალებულ
ივანე (ვანიჩკა) ზოსიმეს-ძე ხუბულავას
პატივისცემისათვის. 1234

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ცუცუ ცომაია, შვილი პაშა ჩოჩუა და სიძე ბორის ჩოჩუა შვილებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 2 მარტს, სოფ. კაპანაში, (აბაშის თემი) გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი
ვასილ ბლახუს-ძე ცომაია
დაკრძალვა სოფ. კაპანაში ა. წ. 5 მარტს. 1239

სადგურ ზესტაფონის თანამშრომლები ძწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარ მეგობრის და იშვიათი ამხანაგის
გიორგი იოსების-ძის ვეზირიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 საათზე, ნაძალადევი, გომბორის ქ. № 18. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1305

ტირაჟი—52,066
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904